საერთო გაზეთი

№4 (357) • 10 თებერვალი, 2016 წ.• გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.



გოგი თოფაძე:

ასე თუ მოხდა, საკანონმდებლო ორგანოს ერთი კი არა, ბევრი დეპუტატი დატოვებს და პარლამენტიც დაიშლება...

„სანამ ზოგიერთები პარლამენტიდან ჩემი წასვლის მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებენ, მე მათი და მათი შვილების უსაფრთხო მომავლისთვის საჭირო კანონპროექტებზე ვმუშაობ და, მერწმუნეთ, რომ ამ კანონებსაც გავიტან. აი, მერე ვიფიქრებ, წავიდე თუ არა..“

ელიზბარ ჯაველიძე:

გიორგი მარგველაშვილი თავად არის ის, რასაც ქართველ ხალხს უნოდებს

საინფორმაციო ომი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ „ხლაპუშკებით“ და ფუჭი ვაზნებით

რა სახიფათო მიზნებს ემსახურება ორგანიზაცია „მუსლიმთა თემი“ და მისი თავკაცი ჭარიელ ნაკაიძე?



კონსტანტინე მორგოშია:

ჩემი და ჩემი თაობის დიდგორიც და ბასიანიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის თავდაუზოგავი შრომაა

კრიმინალებთან „მებრძოლი“ კრიმინალი, გენერლის სამხრეებით და ნაღული, „თეთრი მტრედი“ – შავი გულით და შავი ფრთებით

როდის გამოუტანს მიუკერძოებელ განაჩენს საკუთარ თავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე?

საინფორმაციო ომი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ „ხლაპუშკებით“ და ფუჭი ვაზნებით

ვახტანგ ხარჩილავა

ომს და მათ შორის საინფორმაციო ომსაც საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული თავისი წესები აქვს, მაგრამ არა საქართველოში...

ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, საინფორმაციო ომი კი არ არის, არამედ არის ხელოვნური ანგარიშსწორება მიზანში ამოღებული ამა თუ იმ პირის მიმართ, რომელსაც ერთდროულად ურტყამს რამდენიმე ბეჭდური გამოცემა, რამდენიმე ტელევიზია, რადიო, ჟურნალისტთა რამდენიმე ჯგუფი და ა.შ.

საინფორმაციო ომს იმიტომ ჰქვია საინფორმაციო ომი, რომ ამ ომის დროს ჭურვისა და ტყვიის ადგილს ინფორმაცია იკავებს, თუმცა როცა ეს ინფორმაცია არ არსებობს და მის ნაცვლად ვიღაცის მიერ შეთხზულ ჭორსა და ტყუილს გვთავაზობენ, ასეთი „ომი“, ფაქტობრივად, ფუჭი ვაზნებით „ბრძოლაა“ და მეტი არაფერი.

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ფართო ფრონტით გაშლილი საინფორმაციო შეტევა ფუჭი ვაზნების და „ხლაპუშკების“ „მრისხანე“ ბათქაბუთქის თანხლებით, ომის იმიტაციაა, სადაც ბრძოლაში მონაწილე ჯარისკაცები და მათი „სტარშინები“ ისე იფხორებიან, თითქოს დიდგორიდან მოდიოდნენ გამარჯვებულნი.

* * *

იქმნება შთაბეჭდილება, რომ „რუსთავი-2“, ტექნიკურად კარგად აღჭურვილი, ფინანსურად უხვად დაფინანსებული და გამოცდილი ჟურნალისტებით დაკომპლექტებული ტელეკომპანია, იმისთვის არსებობს, რომ ერთ კაცს, ბიძინა ივანიშვილს, ებრძოლოს და რადაც არ უნდა დაუჯდეს, მისი სახელის გაბიაბრუება და დისკრედიტაცია მოახდინოს.

ესაა „რუსთავი-2“-ის მთავარი მიზანი, მთავარი დანიშნულება, სხვა ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, ამ მთავარ მიზანთან შედარებით, მეორეხარისხოვანი და უმნიშვნელოა.

ერთი შეხედვით, ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთ კაცთან საომრად და მის დასამარცხებლად იხარჯებოდეს ამდენი დრო, ენერგია, ფული, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტი ჯიუტია.

გასაკვირი ამ საქმეში უფრო ის არის, რომ მიუხედავად ამ თავგანწირული მცდელობისა, მიუხედავად მასირებული შეტევისა, „რუსთავი-2“-მა თავისი მრავალრიცხოვანი შტატიანი და უშტატო „ჯარისკაცებით“, შინაური თუ გარეული კონსულტანტებით, ამ ერთ კაცს, ერთ ბიძინა ივანიშვილს, მაინც ვერაფერი დააკლო და საზოგადოება ვერა და ვერ დააჯერა, რომ საქართველოსთვის მთავარი პრობლემა ბიძინა ივანიშვილია.

რატომ მოხდა ეს ასე, რა რის ამის მიზეზი?

რა არის და ის, რომ „რუსთავი-2“-მა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ამბობენ, ინფორმატორების და „სადაზვერვო-ჯაშუშური“ ქსელის წარმომადგენელთა ნაკლებობას არ უჩივის, ვერა და ვერ მოიძია სერიოზული კომპრომატები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის სახელს ჩრდილს მიაყენებდა და რეპუტაციას შეულახავდა.

როგორც ჩანს, მართალი იყო ბატონი ბიძინა, როცა ამ რამდენიმე წლის წინათ ჩხირკედელა ჟურნალისტებს აფრთხილებდა – ტყუილად ნუ იქექებით ჩემს ცხოვრებაში და ტყუილად ნუ ეძებთ კომპრომატებს – ისინი, უბრალოდ, არ არსებობსო.

როცა კომპრომატები არ არსებობს, მაგრამ პატრონისგან მკაცრი დავალება გაქვს მიღებული, რომ საინფორმაციო ომი მიზანში ამოღებული სამიზნის წინააღმდეგ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყვიტო, იძულებული ხდები, შენ თვითონ შეთხზა „კომპრომატები“, იცრუო, იყალთაბანდო, იფარისევლო და დამკვეთს საქმე ისე მოაჩვენო, თითქოს დიდ საინფორმაციო ომს აწარმოებ. არადა, საინფორმაციო ომი კი კომპრომატების გარეშე ბლეფია, ომის იმიტაციაა, ომობანას თამაშია...

„ბანსხვავებული აქცენტების“ ბოლო გადაცემაშიც ქალბატონმა კვესიტაძემ მკლავებიც ბევრჯერ გაშალა, თვალებიც მრისხანედ აბრიალა და ფოლადისებური ხმით მკაცრი კომენტარებიც

როგორც ვთქვით, „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან „ხლაპუშკების“ „გრიალი“, ფუჭი ვაზნების „კაკანი“ ისმის მხოლოდ, „მთავარსარდალი“ ნიკა კი მაინც კმაყოფილია და ბედნიერად იღიმება.

რატომაც არა, ამ უაზრო, არაფრისმომცემ ვაკხანალიაში ასიათასებს იღებს გასამრჯელოდ...

* * *

ბიძინა ივანიშვილისთვის ბოლო ხანებში „მემატიანედ“ მიმაგრებულ ეკა კვესიტაძეს ერთი „პრივიჩკა“ აქვს – საუბრისას მკლავების გაშლა უყვარს და ამას ისეთი ჩქარი ტემპით აკეთებს, გეგონება, რაღაც უხილავ ძალას იგერიებსო.

უხვად აკეთია, მაგრამ ამაოდ – წარსულში ბიძინა ივანიშვილის ბიზნესსაქმიანობის „საიდუმლოებებს“ მაინც ვერ ჩასწვდა.

უფრო მეტიც, მთელი ეს გადაცემა იმის დემონსტრირება იყო, რომ არც გადაცემის ავტორმა და წამყვანმა, არც გადაცემაში მოწვეულმა სტუმრებმა, ფაქტობრივად, არაფერი იცოდნენ იმ თემების შესახებ, რომელსაც ეს გადაცემა მიეძღვნა.

ვერც კვესიტაძემ, ვერც ე.წ. ექსპერტებმა მაყურებელს ვერ უთხრეს, ფლობს თუ არა ივანიშვილი „გაზპრომის“ წილს, გაყიდა თუ არა მთლიანად თავისი ქონება რუსეთში და, აქედან გამომდინარე, აქვს თუ არა რუსეთის ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილზე ზეწოლის ბერკეტები და ა.შ. და ა.შ.

ისმის კითხვა: თუ იმ საკითხებთან დაკავშირებული მასალების და ინფორმაციების მოპოვება-მოძიებას ვერ ახერხებ, რომელზეც გადაცემის გაკეთებას აპირებ, მაშინ რატომ აკეთებ საერთოდ ამ გადაცემას?

რა გრჯის, ვინ გაძალებს ამდენ საეთერო დროს და ამდენ ენერგიას ტყუილუბრალოდ რომ ხარჯავ?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველ ადამიანს, საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ოდნავ მაინც უყვარს თავისი ქვეყანა, რატომ უნდა აინტერესებდეს იქექოს იმ კაცის ბიზნესწარსულში, რომელსაც უზარმაზარი ამაგი აქვს ამ ქვეყანაზე და რომელსაც ამ ქვეყნის განვითარებისთვის მილიონები კი არა მილიარდები აქვს დახარჯული?

საქართველოსთვის ბიძინა ივანიშვილი კი არ არის პრობლემა, როგორც ნაციონალები და მათი რუპორი „რუსთავი-2“ წარმოაჩენენ, არამედ პრობლემაა ის, რომ საქართველოს მხოლოდ ერთი ბიძინა ივანიშვილი ჰყავს და არ ჰყავს რამდენიმე ბიძინა ივანიშვილი, რომლებიც საქვეყნო ტვირთს, რომელიც დღეს მხოლოდ ერთ ადამიანს აწევს მხრებზე, თანაბრად გადაინაწილებდნენ.

ეს დროც დადგება ალბათ, მანამდე კი „რუსთავი-2“ და კვესიტაძეებს ვურჩევთ, ქვეყნისთვის სიკეთე თუ უნდათ, ივანიშვილის ბიზნესსაქმიანობის ამაო ქექვას თავი ანებონ და „ნაცმოძრაობის“ მიერ ყაჩაღურად მიტაცებული მილიარდების წარმოამავლობის შესწავლა დაიწყონ.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

კობა არაბული

ვინ გარეკავს გიენათა ხროვას და ვინ დაეფარავს ქანდარებიდან უჟამოდ მყივარ ქათმებს?

ეს საუბარი ცოტა სხვანაირად უნდა დავიწყოთ, მოკლე და მოჭრილ სენტენციებზე ავაგოთ, რომ საზოგადოებისთვის უფრო ნათელი გახდეს ხიფათი, რომელიც ჩვენს ერსა და ქვეყანას ემუქრება.

პირდაპირ წარმოუდგენელია თუ რატომ უსმენს და უთმენს საზოგადოება ამ ეკრანიდან (და არა ოდენ ეკრანიდან) გამოცხადებულ მაქციებს...

რატომ ანადგურებინებს საკუთარ გულს და ფსიქიკას და აკვლევინებს ერის ინტერესს... მის ნებელობას...

აშკარად დგება კითხვა:

იწყებს თუ არა „ქართული ოცნება“ ქვეყნის მართვას და საკუთარი ერის დაცვას? სამწუხაროდ, ჯერჯერობით იგი თავს უმორჩილებს და ამართინებს არასამთავრობოებს და „რესპუბლიკელებს“, აგრეთვე ნაცებს და ლიბერასტებს, მათ სატელიტ ტელევიზიებს, რომლებიც მთლიანად ანგრევენ ერის ცნობიერებას და ფსიქიკას...

სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელების პირით ალაპარაკდა თოფაძის წინააღმდეგ, უცნაური პოზიცია დაიკავა ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძის წინააღმდეგ, ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ... რაც საგანგაშოა!

უმრავლესობა არ იცავს არამცთუ საერო ინტერესებს, არამედ საკუთარი გუნდის წევრთა ინტერესებსაც კი... ვერ (და არ) უპირისპირდება პედერასტთა და ლიბერასტთა მიერ შემოგდებულ კანონებს, ღია მასონურ ბრძოლას საკუთარი ისტორიული რელიგიისა და ტრადიციული კულტურის წინააღმდეგ...

არ უპირისპირდება მოღალატე პრეზიდენტს, რომელმაც შიგნიდან ციხე გაუტეხა და, ფაქტობრივად, თავზე დააქცია „ოცნების კედელი“...

არ და ვერ უპირისპირდება უცხოეთიდან მართულ ტელევიზიებს და არასამთავრობოებს: რომლებიც „ტროას ცხენის“ ფუნქციას ასრულებენ ჩვენს ქვეყანაში და შიგნიდან ანგრევენ სახელმწიფოს...

საკითხავია:

როგორ ვიწყებთ გამოღვიძებას: როდემდე შეგვიძლია ვუსმინოთ „რუსთავი-2“-ს – გაბუნიას და მისთანების ცილისწამებას, როდემდე, ან როგორ ვუყუროთ I არხს, რომელიც „რუსთავი-2“-ის კოშმარულ დუბლიკატად

* * *

აქ მინდა ერთი სიტუაცია შეგახსენოთ:

არსებობს განწყობის ფსიქოლოგია – ეს თემა ყველაზე უკეთ ჩვენმა თანამემამულემ, უნიჭიერესმა მეცნიერმა (უზნაძემ) დაამუშავა.

ჩვენი ერი, ზოგადად და კონკრეტულად ყველა ჩვენგანი, განწყობის ხალხი ვართ – ჩვენზე ფრიად მოქმედებს ქებაც და წყევლაც!

„წყევლამ ხე გაახმოო“, – ქართული სიბრძნეა და ეს სწორედ ასეა. მართლაც, ამ „მაწყევრებმა“ დაგვიქციეს ქვეყანა და გაგვიმრუდეს საარსებო სივრცე.

წყევლა, ცილისწამება და რაიმეს დაბრალება ჩვენს ქვეყანაში წესად იქცა. ამ მხრივ საგანგებო ინსტიტუტები და კლანები აამუშავეს ჩვენმა მტრებმა, სახელმწიფოში გამოცხადებული, სტატუსის მიმნიჭებელი ცილისმწამებელთა და ცრუ მოენეთა ინსტიტუტები შეგვიქმნეს: არასამთავრობოები, ტელევიზიები, პარლამენტის ნაწილი ამ ტიპის „კომიქსებისგან“ შედგება...

„მკვლელთა ადვოკატებმა“ ზნეობა და სამართალი მიწაში დამარხეს და ა. შ.

აქვე ვიტყვი:

ფხოვში ყოფილა ქალი, რომელიც შეხედავდა ადამიანს შორიდან, დასწყევლიდა და ის ადამიანი ცხენიდან ვარდებოდა ან ცხენი უვარდებოდა! ასეთ ადამიანებს რჯულით სჯიდნენ, გახედვას უკრძალავდნენ... ცრუ ქადაგთ მოსემ თავები დააჭრა – ეს ჩვენ ვიცით...

ჩიორას ტიპის მავნებლები საგანგებოდ ჩადიან ნატოში და ევროკავშირში, რომ საკუთარ ქვეყანაზე (სამშობლოზე) სიცრუე იქადაგონ, აბეზღონ და უარყოფითი რეზოლუციები მიაღებინონ! ამათ ენები ვერავინ დაუმოკლა...

ამ დროს საკუთარი ქვეყნის მაგინებელთა, ჯაშუშთა, დამსმენთა, ცილისმწამებელთა დასჯის რაიმე ბერკეტი (კანონი) და საშუალება არ გაგვაჩნია!

ჩვენ დაუყოვნებლად უნდა შევქმნათ ამ უტიფართა საპირწონედ მორალური „სათემო-საერო“ სამსჯავროები, რომ იქ გაიკიცხონ და ეთქვას სიმართლე დამნაშავეთა ამ კასტას!..

ეგრეთწოდებულმა „გამოხატვის თავისუფლებამ“ გადახაზა და გადაღება ეს ქვეყანა და მართლაც ფოლკნერის ჯორად აქცია!!!

* * *

როგორ მოვიქცეთ ჩვენ, საზოგადოება, როდესაც ქვეყანაში ამდენი არტისახელმწიფოებრივი ჯაშუშური ბუდე, კლანი მოქმედებს, რომლებიც აფრქვევენ მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციებს, აქცენტს უკეთებენ და აპიარებენ ისეთ მოვლენებს, რომელიც ყველგან ყოველთვის ხდება, ვიღაცა კვდება, ვიღაც ვიღაცას აუპატიურებს... 9000 ქალი გააუპატიურეს არაბებმა გერმანიაში, მაგრამ მერკელმა ამაზე ლაპარაკი აკრძალა... იცით, რატომ? არ აწყობდა ქვეყანაში ნეგატიური აურის შექმნა.

აი, დადგა ზამთარი და მოვიდა თოვლი, რატომ და როგორ მოვიდა ამდენი თოვლი, თავისით მოვიდა თუ ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა მოიყვანეს?! – ამას უკეთებენ აქცენტირებას და ცრუ აჟიოტაჟად აქცევენ ნაცები და მათი მასმედია!

დედამიწაზე ყოველ წამში მილიონობით ადამიანი იბადება და კვდება. წარმოიდგინეთ, ამაზე რომ ილაპარაკონ ტელევიზიებმა, რა იქნება. ჩვენი ტელევიზიები კი ნამდვილად იქცნენ დამკრძალავ ბიუროებად და მორგთა სააგენტოებად!

მახსოვს, ყოველთვის იყო გრიპი, რაც გავჩნდი და გავიზარდე, ვირუსის ეპიდემიებიც

5 ბ.

გიორგი მარგველაშვილი თავად არის ის, რასაც ქართველ ხალხს უნოდებს...

გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:

– გული მტკივა, რომ გოგი თოფაძეს, რომელიც, ჩემი აზრით, დიდებული მეწარმე, მამულიშვილი, ქართველია, ქართულ ცნობიერებაზე, ტრადიციებზე შესტკივა გული და, რაც მთავარია, სიმართლის მოუბარია, მხარდაჭერის ნაცვლად ქორებივით შეესიენ: ხან იმის გამო გაასწორეს მიწასთან, რომ რუსეთთან ურთიერთობა დადებითად შეაფასა, მაშინვე „დაასკვნეს“, თოფაძე რუსეთის – პუტინის მომხრეაო, ახლა კი, ერთი ამბავი ატეხეს, მარგველაშვილს შეურაცხყოფა მიაყენაო. სამწუხარო ისაა, რომ გარკვეულ ასპექტში, მარგველაშვილის პოზიცია – ქართველი ხალხი ავადმყოფი ერიაო, მართალი გამოდის. აბა, სხვაგვარად რით უნდა ავსხნათ ის რაც ხდება?! ეს ტვინგამორეცხილობაა და მეტი არაფერი. ამ პროცესს დასავლეთი, ამერიკა მართავს, 60-მდე მეცნიერული ინსტიტუტი პირდაპირ იმაზე მუშაობს, როგორ გამოურეცხონ საზოგადოებას ტვინი, ინდივიდულაური მსჯელობა წაართვან და ის აზრი ჩაუდონ, რომელიც სწორედ, ამ ინსტიტუტებში იქმნება. ილია ბრძანებს, რომ როგორც ადამიანი, ისე ერი სამ განზომილებაში – წარსულში, აწმყოსა და მომავალში უნდა განვსაზღვროთ. დღეს, ირონიით აღნიშნავენ, გოგი თოფაძემ 15 წლის წინ დაწერილი წერილი მოიშველიაო. მათ ავიწყდებათ, რომ მარგველაშვილი „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ ამოზრდილი ლერწამია. ასე ვეძახი მას, რადგან სიმაღლის მეტი არაფერი გააჩნია. შემდგომ, მთელი თავისი აქტიური ცხოვრება „სოროსის ფონდში“ მოღვაწეობდა. იგი თავისი აზროვნებით, სულით, შინაგანად პირწმინდა ანტიქართველია ე.წ. კოსმოპოლიტურად მოაზროვნე, თუ ამას აზროვნებას ვუწოდებთ. იმ ხალხის გამკვირვებია, ვინც გოგი თოფაძეზე ასეა გაწიწმატებული. თავად, „ქართული ოცნების“ წევრებმაც მოითხოვეს, გოგი თოფაძემ ბოდიში მოიხადოსო. არადა, მარგველაშვილი ქართველ ხალხს დებილად, განუკურნებელ ერად ნათლავს, რომელიც ბავშვობის ასაკში ჩარჩა და ვეღარ გაიზარდა. ამის შესახებ, ბევრჯერ დავწერე, თუმცა, ამას

ყურადღება არავინ მიაქცია. ეს იმიტომ დაგვემართა, რომ მისი წარსული არ გავითვალისწინეთ. დღეს, ყველა სახელმწიფოს ებრძვის. გამოდიან ვითომ, მშვიდობის მაძიებელი ე.წ. არასამთავრობოები და თავადაც არ უწყიან რას ყაყანებენ. ისინი ხომ გამოკვეთილად ებრძვიან ქართულ სახელმწიფოს, ეროვნებას, ერს და ქართულ ცნობიერებას. ამას წინათ, სანდო წყაროდან შევიტყვე, რომ 17 ათასი არასამთავრობო ორგანიზაცია გვაქვს, სადაც 100 ათასი მაღალანაზღაურებადი თანამშრომელი მუშაობს. ისინი, ყველანი აგენტები არიან, რომლებიც ამერიკიდან, დასავლეთიდან ფინანსდებიან. სხვათა შორის, ამერიკის საგარეო პოლიტიკა მშვიდობიანი გზით ერთა განთავისუფლებაა, ანუ, სხვა ერების თავის გავლენის ქვეშ მოქცევა, რასაც წორედ, ამ არასამთავრობოებს აკისრებენ. ასე, ამიტომ ყელყელაობენ. აბა, ამ 17 ათასმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთი ფაქტი მაინც დაასახელოს, როდესაც ქართულ ინტერესს, ტრადიციას ან ცნობიერებას იცავდნენ. ასეთი რამ, არ ხდება. სამაგიეროდ, საკმარისია, პიდარასტებს (სოლოლაკში გაზრდილი კაცი ვარ და „ლგბტ“ არ მესმისრა არის) შეურაცხყოფა მივაყენოთ, მაშინვე ყალყზე არიან შემდგარი. იმიტომ, რომ უკაცრავად და თვითონ არიან პირწავარდნილი კახპები, სულიერად გახრწნილნი, ფულზე გაყიდულნი და ქართველი ერის მოძულენი. ახლა, რასაც გეტყვით, შეიძლება პუტინისტობაც დამაბრალონ, მაგრამ ფაქტია, პუტინმა ისინი კუთხეში მიაყენა. არამარტო პუტინმა, არამედ აზერბაიჯანმაც და სომხეთმაც. ჩვენთან კი გალაღებული არიან და თურმე, მათი ხელის ხლება არ შეიძლება, არც იმის გაკონტროლება თუ საიდან მოძრაობს ეს ფული იმიტომ, რომ ეს ამერიკიდან დაძრული ფულია. ესაა მთელი უბედურება. აქვე, ერთ საკითხსაც შევეხები. ყველაზე ტრაგიკული თემა მიწების გაყიდვის პრობლემაა. სანდო ინფორმაციით ვიცი, ამერიკის ახალი ელჩი, ამ არასამთავრობოებს – ლომჯარიებს და გიგაურებს იბარებს და პირდაპირ მითითებას აძლევს – ისეთი პოზიცია დაიკავეთ, რომ ქართული მიწა უნდა გაიყიდოსო. უკვე იმდენი მიწა გაიყიდა, რომ ქართველ გლეხს მიწა აღარ დარჩა. ჩემი თვალით ვნახე დედოფლისწყაროში ინდოელები როგორ აძლევდნენ ქართველ გლეხებს იჯარით მიწებს. ასე ხდება წილკანშიც, საგურამოშიც, მიწებს ან არაბები ყიდულობენ, ან ინდოელები, ან თურქები, ან ებრაელები, ქართველზე მიწა არ იყიდება.

– ქართველს მიწა აღარ დარჩა, ამერიკელები კი მაინც იმაზე წუხან საქართველოს ამდენი მილიარდის დახმარება გავუგზავნეთ და რატომ არ გვიფასებენო.

– დღეს, ჩვენი საგარეო ვალი 14 მილიარდია. ეს მიშას დროს აღებული ვალია, ახლა, არაფერი მომატებია. სწორედ, ამ ვალის სანაცვლოდ გვიყენებენ პრეტენზიას, რომ მიწები არაქართველებზე გაიყიდოს. ეს უკვე დაღუპვაა. ჩვენი დაქცევის უმთავრესი მიზეზიც სწორედ ესაა, რაც პირდაპირ ქართველი ერის განადგურებისკენაა მიმართული.

– **ბატონო ელიზბარ, მიუხედავად ყველაფრისა, კურსი დასავლეთისკენ გვაქვს აღებული, თუმცა ჯერ ვერ გავრკვეულვართ ეს კურსი რა არის ან როგორ ევროპაში გვინდა შესვლა?**

– დიახ, ევროპისკენ თავგამოდებული მიილტვიან და უვიზო რეჟიმს დღესასწაულობენ. ეს ქართველი ერის დაღუპვაა იმიტომ, რომ დღევანდელი ევროპა, რომელსაც ისინი ელტვიან, თვითონ არის დაღუპული. ევროპა აღარ არის ევროპა. ამაზე უამრავი წიგნი დაიწერა, სადაც ევროპულ კულტურას ეთხოვებიან, ევროპული კულტურა დაღუპეს. დღეს რა ხდება? – ლტოლვილების ნაკადი, რაც ევროპისკენ მიდის, ესეც მისი განადგურების ერთ-ერთი გზაა. თითზე ჩამოსათვლელია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ხვდებიან, რომ უცხოტომელთა ლტოლვამ დაღუპა როგორც ფრანგული, ისე გერმანული კულტურა. დღეს ევროპის გადაგვარება ხდება. წაიკითხონ წიგნები: „დაცემა ევროპისა“, „სიკვდილი ევროპისა“. ამის წაკითხვა დღევანდელ ქართველობას არ უნდა. ადამიანს რომელსაც თავისი სამშობლო არ უყვარს, ქვეყანაში, სადაც სამშობლო არ იხსენიება, რაზე შეიძლება საუბარი. აბა, დამისახელეთ პოლიტიკოსი, რომელიც სამშობლოს ახსენებს. ასეთი ერთეულებია და მათაც ებრძვიან. გოგი თოფაძე, ირაკლი ღარიბაშვილი, რომელთაც სამშობლო ახსენეს, ჩამორჩენილია. ვინ გააკეთა ეს? – ამერიკამ. გოგი თოფაძემ ბოდიში მოიხადოსო, ერთი ამბავი ატეხეს. გოგი თოფაძემ კი არ უნდა მოიხადოს ბოდიში, ჩვენ, ქართველმა საზოგადოებამ უნდა მოვუხადოთ გოგი თოფაძეს ბოდიში, რომ ასე ტვინგამორეცხილები ვართ და არ ვიცით ვინ ავირჩიოთ. ბოდიში მოსახდელი გვაქვს იმიტომ, რომ მარგველაშვილი ავირჩიეთ. პრეზიდენტად ავირჩიეთ კაცი, რომელსაც პრეზიდენტობა კი არა დუშეთში ინდაურებისა და ქათმების მოვლა მოუხდებოდა, ამასაც ვერ შეძლებდა. მაგას ქარგვა და ქსოვა უყვარს, დაჯდეს, აიღოს ჩხირები და ქსოვოს, ესაა მისი საქმე და არა ვეტოების დადება. რად უნდა ამას ასე და ისე გავიგეს ძახილი. არაფერი ძნელი გასაგები მარგველაშვილის „ნაშრომში“ არაა. რასაც თვითონ ქართველზე წერს, ზუსტად ისაა თავად. ესაა, მთელი უბედურება. ჩვენთან, პატრიოტიზმის ხსენება ნიშნავს ჩამორჩენილობას, პროვინციალიზმს. ეს არაპროვინციალები არ სცნობენ ილიას, აკაკის, ვაჟას, ლადო ასათიანს. აბა, ვის ცნობს ლევან ბერძენიშვილი, არისტოფანეს „ბაყაყების ომზე“ რომ დაიცვა დისერტაცია? აი, რაშია საქმე. ახლა, ზაზა ბურჭულაძეს გამოუშვია წიგნი „ქართული საუზმე“, ბერძენიშვილს თურმე, ასეთი კარგი წიგნი ჯერ არ უნახავს. ერთი, ვერ ჩავიგდე ხელში ეგ წიგნი, ისე გადავუვლი, ბურჭულაძეს საუზმეს მოვანატრებ საერთოდ. სირცხვილია, როგორ შეიძლება ამ ხალხმა ქართული აზროვნება შექმნას. ეს ლიბერასტები წავლენ-წამოვლენ და მიადგებიან ბიძინა ივანიშვილს. რა ქნას ამ კაცმა, რაც გააკეთა საკმარისი არაა? ვერავინ დამაჯერებს, რომ მე, მისი მადლობელი, მადლიერი არ უნდა ვიყო. მან მოგ-

ვაშორა ჭირი, რასაც სააკაშვილი ჰქვია. თუ ქართველი ხალხი არ გამოვიდა და ჩვენ „მეგობარ“ ამერიკას თავისი ნება არ დაანახა, საქართველოს აღარაფერი ეშველება, დაიღუპება.

– ბატონო ელიზბარ, ქვეყანაში მართლაც დაუჯერებელი ამბები ხდება. ვინმე მაცაცო ჩხარტიშვილი საკონსტიტუციო სასამართლოში საკუთარი უფლებების დასაცავად ჩივის... საინტერესოა, საერთოდ რატომ უნდა დაწყებულიყო საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე მსჯელობა?

– გახსოვს, როდის ვამბობდი, ანტიდისკრიმინაციული კანონი ერთსქესიანთა ქორწინებამდე მიგვიყვანს-მეთქი. დღეს, ამაზე დავა მიდის, რაც ნიშნავს, რომ უკვე გამარჯვებულნი არიან. რატომ შეიწირეს ირაკლი ღარიბაშვილი? – იმიტომ, რომ მან თქვა: ქართველისათვის ერთსქესიანთა ქორწინება მიუღებელია, ნორმალური ოჯახი ქალისა და კაცისაგან შედგებაო. გავიხსენოთ, კიდობანის აშენება. როცა კიდობანზე გადასარჩენად ცხოველები აჰყავდათ, ასე აწყვილებდნენ – დედალი და მამალი, ორი მამალი ან ორი დედალი ერთად არ აუყვანიათ. ეს ღმერთმა შექმნა ასე. ამის უარყოფა ხომ ღმერთის უარყოფაა? ეს როგორ შეიძლება. მათ ღმერთი არ სწამთ. ეს უზნეობა, უდიდესი ცოდვაა, რომლის გამო უფალი მათ აუცილებლად დასჯის, წარღვნასაც მოგვივლენს. მეორე პრობლემა, ესაა ქართველი ერის დემოგრაფიული კატასტროფა. ახლა 3 მილიონ 700 ათასი ვართ. მაშინ, როცა საქართველო მთელს ამერკავკასიაში, მოსახლეობით, პირველ ადგილზე იყო. დღეს, აზერბაიჯანში 10 მილიონამდე მოსახლეა. როგორც ამბობენ, 2050 წელს 28%-ით კიდევ დავიკლებთ. რაღა დავრჩებით? ესაა, ერების მოსპობა. საქართველოსთვის გათვლილია, რომ 800 ათასი ქართველი უნდა დარჩეს, ისიც მომსახურე პერსონალი, ძია სემები რომ ჩამოვლენ, მათ უნდა ვემსახუროთ, ფეხები ვბანოთ, ეს ტრაგედიაა, რაზეც ხმას არავინ იღებს – არც მწერალი, არც მეცნიერი და საერთოდ, არც ე.წ. მოაზროვნე საზოგადოება, არადა ყველამ კარგად იცის რა უბედურებაც გველის. ე.წ. ლგბტ საზოგადოება სამ ეტაპად განვითარდა – ჯერ მორიდებით ამბობდნენ, ჩვენც ადამიანები ვართ, უფლებები მოგვეციოთო, რომ წამომაგრდნენ, გვითხრეს, საზოგადოება ჩვენ ვართ და ჩვენგან უნდა ისწავლოთო,

მესამე – თქვენ აქედან მიბრძანდით, ქვეყანა ჩვენ უნდა ვმართოთო და თუ აკვირდებით, ასეც ხდება. ახლა, მავანს სურს ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდეს და მერე ტაშ-ფანდური გამართონ. ვაი, საქართველო. წარა-მარა გაიძახიან – ასე თუ არ ვიზამთ ევროპარლამენტში არ მიგვიღებენო. ვიზალიბერალიზაცია საქართველოს დაცლას ნიშნავს და მეტს არაფერს. ჩვენ მატლშეჩენილი ერი ვართ, გვესევა მატლი და ჩვენს ცნობიერებას ხრავს და ხრავს.

– ბატონო ელიზბარ, სადაა ამ დროს ეკლესია, რატომ ხმას არ იღებს?

– ეკლესიას უტევენ. ჩვენ, რაც დაგვრჩა – ოჯახი და მართლმადიდებლობა, რაც ქართულ ცნობიერებასა და ზნეობას იცავს, ორივეს უტევენ. პატრიარქმა ბრძანა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი ქართველი ხალხისთვის მიუღებელია, ამათ მაინც თავისი გაიტანეს. ახლა, ეკლესია უნდა გამოვიდეს და ქართველ ხალხს მოუწოდოს, ხალხიც გამოვა და თავის ადგილს მიუჩენს მათ, ვინც ერთსქესიანთა ქორწინებას ითხოვს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ვინ გარეკავს გიენათა ხროვას და ვინ ჩამოსვამს ქანდარებიდან უჟამოდ მყივარ ქათმებს?

3 გვ.

მახსოვს, ქოლერაც იყო, მაგრამ ახლა ამ მართლა „ვირუსის გადამტანი კოღოებისთვის“, რომლებიც ყოველგვარ „ბაქტერიას“ ავრცელებენ, აქ, ჩვენთან ეს იქცა ტელევიზიებისთვის საპიაროდ. კიდევ კარგი, ყოველთვის არ იყვნენ ამ ქვეყანაში ნაცები და ლიბერასტები (და იმედია, არც მომავალში იქნებიან), რომ კოღო სპილოდ გვიქციონ და სინდის-ნამუსი – ფახლავად...

* * *

უნდა მწვავედ დადგეს საკითხი: ნუთუ საკუთარი ერის ინტერესების დაცვაზე უნდა იხადონ მოქალაქეებმა (მეც და სხვებმაც) ბოდიში და ამ ტურებმა იყმუვლონ, როგორც უნდათ ყველა სხვენიდან?!

შეგვჭამეს, გამოგვიხრეს ამათ ქვეყანა კვირისთავის ძვალივით ამ გიენა კოჟორიძე-ნაცვლიშვილ-გიგაურებმა, მათმა მიმყოლებმა და მომყოლებმა, ხალხს თვალებში მეჭეჭი და კორძი ამოუვიდა ამათი ყურებით: ყველა ტელევიზიის ქანდარაზე ეგენი სხედან და დილა-საღამოს დაგვყივიან დედალი ქათმებივით (თუ ყვავებივით).

მოგვაშორეთ, ჩამოსვით ქანდარებიდან ეს უჟამოდ მყივარი ქათმები, თორემ მოვა დრო და მოთმინების ფიალაავსებული ხალხი თავად დააყრევინებს თავებს ამ ქვეყნის მაწყევართ.

ვიდრე ქართველი მამაკაცების ერთმანეთთან ქორწინების დროს დაგვიყენებენ, ამათთან განქორწინების დღე და დრო უნდა დადგეს... ერმა უნდა განდევნოს ეს „პაპარაცები“ საკუთარი სახლებიდან?

რაკი „გამოხატვის თავისუფლებაა“, ადექით და ჰკადრეთ ამ უზნეოებს თითო საკადრებელი პანღური. არ იქნება ურიგო. ვის და რას უცდით?!

* * *

საზოგადოებას უკვირს (და აღარც უკვირს) ამ არასამთავრობოთა ცხოველური ინსტინქტი, თუ როგორ მყისიერად ახერხებენ რეფლექსით თუ რაღაც პაროლებით პავლოვის ძაღლებივით იქ მიძუნძულებას, სადაც ერისთვის, ეკლესიისთვის სასიკეთო საქმეს დაიგულვებენ და პირდაპირ ცოფიანი ლაშებით იდორბლებიან.

ჭორი (ხმა) გამოვიდა, ეკა გიგაური და ნაცვლიშვილი (იურისტთა ასოციაცია) „ზემოთა ლოჟიდან“ გააფრთხილეს, ნამეტანი ერთი და იგივენი ნუ აქტიურობთ, ერთმანეთს შეენაცვლეთ, საზოგადოება რომ არ გააღიზიანოთო.

ეტყობა, ეს მართლაც ასეა, ეტყობა, „სუფლიორების“ დავალებით სულ ახალ-ახალი „წაულები“ იჩეკებიან და ჩნდებიან პოლიტიკურ სივრცეში, ძალიან მომრავლდნენ და გააქტიურდნენ თანდათან. რაღაც იყნოსეს...

* * *

მე, პირადად, სახიფათოდ მეჩვენება ამათი მოჭარბებული გნიასი, მათ მიერ აქოთებული ტელევიზიები, ძალიან დაიგრძელეს ენები („წითლებს იქნევენ ენებსა, გრძელებსა, როგორც შოთებსა“, – იტყოდა ვაჟა-ფშაველა). ეს მიანიშნებს მათთვის ახალი დავალების მიცემას, ახალი „სივის“ მიღებას „ქაჯთა ქალაქიდან“, ეკლესიის და ეროვნული ბასტიონების დასალაშქრად...

„მწყემსებმა“ სრულიად გადაფარეს საერო მოვლენის არსი და მნიშვნელობა საპროტესტო დემონსტრაციით გააფუჭეს...

აყმუვლდნენ სოსო ჯაჭვლიანის მიერ წარდგენილ შესანიშნავ პროექტზე: რომელმაც უნდა შეზღუდოს რწმენის და პიროვნების შეურაცხყოფა, რელიგიურ ძეგლთა ხელყოფა!.. რა, არ უნდა იყოს რელიგიური და პიროვნული ღირსების დამცავი კანონი? დიახ, უნდა იყოს, რომ ზიზღმა და ცილისწამებამ და კიდევ „დიაცთა ენობამ“ და კიდევ პედერასტომანიამ არ დაგვინგრიოს „ახალი ტროას“ ქალაქი.

საზოგადოებას კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ: არასათავრობოთა ხროვა, რომელიც თანდათან მრავლდება რომელიღაც „ჰიბრიდული ბაქტერიით“, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს ხალხს და მთავრობას: ყველგან, ყველა საქმეზე ბოლო მსაჯულნი ესენი არიან და უტიფრად მოძღვრავენ უპატრონო ქვეყანას.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას: იყოს პატრონი საკუთარი ქვეყნის და ხალხის. „ქართულმა ოცნებამ“ მოიხმოს პარლამენტში ღირსეული ქართველები და მიუახლოვდნენ ერის ინტერესებს.

განერიდონ „რესპუბლიკელთა კლანს“, რომელმაც მკვეთრად დააგდო „ქართული ოცნების“ რეიტინგი და ბოლოს თან ჩაიყოლებს პოლიტიკურ სამარხში...

ქართველმა ერმა უნდა შექმნას ძლიერი დამცავი ენერგეტიკული ველი სახიფათო ბედისწერის დასაძლევად და ქვეყნის გადასარჩენად... თორემ ქვეყანა გაჩხერილია ურთულეს გეოპოლიტიკურ სივრცეში და შემჯდარია მოღალატეთა ენაზე, რომლებიც ძირს უთხრიან მას...

ქვეყანას ვერ გადაარჩენს კოაბიტაცია, ამგვარი ლიბერალიზმი. ეს ვითარება მოიყვანს ძალას, რომელიც შეიძლება არ იყოს სასურველი... მაგრამ მოიყვანს.

გოგი თოფაძე

ასე თუ მოხდა, საკანონმდებლო ორგანოს ერთი კი არა, ბევრი დეპუტატი დატოვებს და პარლამენტიც დაიშლება...

„სანამ ზოგიერთები პარლამენტიდან ჩემი წასვლის მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებენ, მე მათი და მათი შვილების უსაფრთხო მომავლისთვის საჭირო კანონპროექტებზე ვმუშაობ და, მერწმუნეთ, რომ ამ კანონებსაც გავიტან. აი, მერე ვიფიქრებ, წავიდე თუ არა..“

პარლამენტის ტრიბუნიდან გაკეთებული ცნობილი განცხადების შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი და ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე საყოველთაო კრიტიკის ობიექტი გახდა. გოგი თოფაძე დისკრიმინაციული განცხადების გაკეთებაში დაადანაშაულეს და ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდეს. რას ფიქრობს ბოდიშის მოხდაზე, აპირებს თუ არა პარლამენტის დატოვებას, ვის იწვევს ღია დებატებში და რა გეგმები აქვს უახლოეს მომავალში, ამაზე „საერთო გაზეთს“ ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე გოგი თოფაძე ესაუბრა:

– როგორც იცით, პარლამენტის ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტი ოთხი მიმართულებით გავაკრიტიკე: გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად ჩვენმა კოალიციამ და მისმა ლიდერმა წამოაყენა, ამიტომ ცოტა მეტი მადლიერება უნდა გამოეჩინა და მაშინვე ოპოზიციაში არ უნდა წასულიყო. მე ვესწრებოდი იმ პოლიტსაბჭოს სხდომას, სადაც გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ავლაბრის რეზიდენციაში არასოდეს შევიდოდა. როცა ახალი, შესანიშნავი რეზიდენცია აუშენეს და ამხელა ხარჯი გაწიეს, მერე გადაიფიქრა და ავლაბრის რეზიდენცია მოინდომა. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი ასე არ უნდა იქცეოდეს და თავის სიტყვაზე პასუხს უნდა აგებდეს. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტმა დააზარალა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი, როცა კოალიციის ერთ-ერთ დამფუძნებელთან და ყოფილ პრემიერ მინისტრთან ქიშპობა დაიწყო. საქართველოდან წასული ორ-ორი დელეგაციით ეს ქიშპობა ყველასთვის ცხადი გახდა. მეოთხე მიზეზი, რის გამოც პრეზიდენტი გავაკრიტიკე, წლების წინ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია იყო, რომელშიც გიორგი მარგველაშვილმა ქართველ ხალხს შეურაცხყოფა მიაყენა და „მსუბუქი დებილობის დიაგნოზი“ დაუსვა. ეს წერილი სწორედ იმ დღეებში წავიკითხე და სხვა რეაქცია არ მექნებოდა. ჩვენს მედიაში და უცხოეთის გრანტებით გაზუ-ლუქებულ ორგანიზაციებში წინასწარ იცოდნენ, რომ კრიტიკულ გამოსვლას ვაპირებდი და წინასწარ ისეთი განწყობა შექმნეს, რომ რაც უნდა მეთქვა, მაინც „შარს მომდებდნენ“. ჩემი უნებლიე შეცდომის გამო, ბოდიში მოვუხადე იმ ადამიანებს და ოჯახებს, ვისაც ეს შეეხო, მაგრამ მედიით გაშუქდა, თითქოს მე პრეზიდენტს მოვუბოდიშე, რაც სიმართლე არაა. ერთ-ერთი სააგენტოთი გავრცელებულ განცხადებაში ვთქვი, რომ პრეზიდენტმა უნდა მოუხადოს ბოდიში ქართველ ხალხს, მაგრამ ეს რატომღაც ეს არ გაუშუქებიათ. სხვათა შორის, ჩემს წინააღმდეგ აგორებულმა კამპანიამ უამრავი მომხრე და გულშემატკივარი შემძინა. იმ დღის შემდეგ, ჩემი ტელეფონი არ გაჩერებულა, იმდენი ადამიანი მირეკავს. რომელი პრეზიდენტი არ გაუკრიტიკებიათ, რომ ჩვენი ხელშეუხებელი იყოს? რომელ დემოკრატიაზე ვსაუბრობთ, თუ კრიტიკის ატანა არ შეგვიძლია? ნებისმიერს გავაკრიტიკებ, ვინც ქართველ ხალხს შეურაცხყოფს და ახლაც მზად ვარ, ამ თემაზე ნებისმიერ ოპონენტს პირდაპირ ეთერში ვეკამათო.

– ამასწინათ, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ერთი სქესის ადამიანთა ქორწინების დაკანონების შემთხვევაში, პროტესტის ნიშნად, პარლამენტს დატოვებს. იქნებ გვითხრათ, რატომ გახდა ეს თემა აქტუალური და მოსალოდნელია თუ არა, მოვლენათა ამგვარად განვითარება?

– სირცხვილია, რომ ეს საკითხი საერთოდ განიხილება, მაგრამ როცა ზოგიერთი პოლიტიკოსი მართლმადიდებლობას დემოკრატიის ყველაზე დიდ მტრად მიიჩნევს, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი და პედაგოგი საჯაროდ აცხადებს, რომ მართლადიდებლობა უნდა ამოიძირკვოს, რა გასაკვირია? ჩვენი წინაპრები მართლმადიდებლობის დაცვას ეწირებოდნენ, ასურელი ქრისტიანები დღესაც ამას ეწირებიან და ამ დროს, ესენი მართლმადიდებლობის განადგურებაზე ლაპარაკობენ. რა უნდათ? ვის ებრძვიან? საქართველოს ბიუჯეტი ყველა რელიგიურ კონფესიას აფინანსებს და მეტი რა ვქნათ? რაც შეეხება თქვენს კითხვას, არა მგონია, რომ ვინმემ ასეთი კანონპროექტის შემოტანა გაბედოს. ყოველ შემთხვევაში, ახალ არჩევნებამდე, ამას არ ველოდები, მაგრამ ასე თუ მოხდა, საკანონმდებლო ორგანოს ერთი კი არა, ბევრი დეპუტატი დატოვებს და პარლამენტიც დაიშლება..

– როგორც ბიზნესის წარმოებაში კარგად გარკვეულმა ადამიანმა გვითხარით, რა გავლენა მოახდინა ლარის გაუფასურებამ ქვეყნის წარმოებაზე და რას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში?

– სავალუტო რყევები გლობალური პრობლემაა, რომელმაც ჩვენზე მდიდარი ქვეყნები დააზარალა, თუმცა ვფიქრობ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შეეძლო ეს პროცესები უფრო შეერბილებინა. ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანას შეეხო, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამის გამო ბევრი ჩემი კოლეგა და მეწარმე, წარმოებას ამუხრუჭებს. წარმოება, რომელსაც ნედლეული უცხოეთიდან შემოაქვს და დოლარზე ყიდულობს, თვითღირებულების დონეზე მუშაობს. დოლარის კურსის მიუხედავად, მწარმოებელი ფასის გაზრდას ვერ ახერხებს, იმიტომ, რომ მოსახლეობაში დაბალი მსყიდველუნარიანობაა. როცა მეწარმე თვითღირებულების ზღვარზე ან მის დაბლა მუშაობს, ეს ძალიან ანგრევს წარმოებას. ქვეყნის ფეხზე დადგომა კი სწორედ წარმოებაზეა დამოკიდებული. ჩემთან ბევრი მეწარმე მოსულა და უთქვამს, აღარ შემიძლია ბიზნესის კეთება, იმიტომ, რომ მოგებას ვეღარ ვნახულობო. აი, ამიტომ უნდა შევამციროთ გადასახადები და ბიზნესი ადგილობრივ ნედლეულზე უნდა გადავიყვანოთ. გაიხსენეთ, რას გვეუბნებოდნენ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თქვენ ისე ჩამორჩით ტექნოლოგიებს, რომ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას ვერ შეძლებთ და ტურიზმზე უნდა გადაერთოთო. ნავთობის გამტარი, ტურისტული ქვეყანა და სატრანსპორტო კორიდორი იქნებით და ეს გეყოფათო. აღარ დავასახელებ იმ მრჩეველებს, ვინც ამ დღემდე მოგვიყვანა, მაგრამ ეს რომ დავიჯერეთ, იმიტომ ვართ ამ დღეში. ახლა ჩვენს ოპონენტებს უნდათ, რომ ამდენი ხნის დანგრეული ეკონომიკა ეროვნული ვალუტის რყევის და წინა მთავრობის დატოვებული ვალების პირობებში, ორ და სამ წელიწადში ავაყვავოთ. უამრავი რამ გაკეთდა, საოცარი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა და თითქმის ყველგან შევიდა ბუნებრივი აირი.წინა ხელისუფლების დროს, ხალხი საავადმყოფოსთან გავლას ვერ ბედავდა ახლა კლინიკები გავსებულია. ამას ვერ ხედავენ და მხოლოდ ნეგატივის გაშუქებაზე არიან გადასული. ხელაღებით ლანძღავენ ადამიანს, ვინც ამდენი რამ გაიღო თავისი ქვეყნისთვის, ამდენი ქვემლოქმედება გაწია, ამდენი რამ აიტანა, მაგრამ აღარავინ იჯერებს ამათ ლანძღვა-გინებას.

– ორი თვის წინ გავრცელდა თქვენი სპეციალური განცხადება, რომელშიც სადეპუტატო მანდატის დატოვებასა და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტაზე საუბრობდით. „საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ მივიღებ, როცა დასრულდება ჩვენი ფრაქციის მრავალწლიანი მუშაობა საქართველოს მოსახლეობისთვის უაღრესად მნიშვნელო-

ვან კანონპროექტზე. ეს კანონპროექტი გულისხმობს ჩვენი ბუნებრივი ბიომრავალფეროვნების დაცვას, რამაც საბოლოოდ უნდა დაუსვას წერტილი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ინტროდუქციას“– ეს თქვენი სიტყვებია. იქნებ გვითხრათ, როდის იგეგმება თქვენს მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიღება და დღესაც ფიქრობთ თუ არა, სადეპუტატო მანდატის დატოვებაზე?

– პოლიტიკაში ყოფნა თუ პარლამენტის წევრობა, ჩემთვის არასდროს ყოფილა თვითმიზანი და არც პარლამენტის დატოვება გამიჭირდება. თქვენ და თქვენს მკითხველს კი გაგახსენებთ 2004 წელს და სააკაშვილის ერთპარტიული პარლამენტის მოითხოვნას. მაშინ ჩვენ „ახალი მემარჯვენეებთან“ ერთად, ბარიერი გადავლახეთდა პარლამენტში შევედით, მაგრამ როცა დავინახე, რომ 235 კაცში 18 კაცი ვერაფერს შევცვლიდით, მეორე დღესვე დავტოვე საკანონმდებლო ორგანო. რაც შეეხება კანპროექტს, პრეზიდენტის მოხსენების მეორე დღეს უნდა გაგვეტანა, მაგრამ ქვორუმი არ იყო და უახლოესი სხდომისთვის გადავდე, მაგრამ მარტო გენმოდიფიცირებული პროდუქცია არ

ეტეხილ ხმაურზე რას გვეტყვით? მთავარი ოპოზიციური ძალა აცხადებს, რომ მთავრობა მოსახლეობისგან ფარულად აწარმოებს ოკუპანტ ქვეყანასთან მოლაპარაკებებს. ეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და ეროვნულ სუვერენიტეტს ლახავს.

– გეტყვით, რომ კომერციულად მომგებიანია, როცა არის ჩვენი უბედურება. 2005 წელს იმპორტირებული საქონლის კონტროლის აკრძალვამ საშიში ქიმიური დანამატების შემცველი პროდუქციის შემოდინება გამოიწვია. მე ქვეყნის ცნობილ მეცნიერებთან, ქიმიკოსებთან და ბიოლოგებთან მაქვს კონსულტაციები და მალე შევიმუშავებთ კანონპროექტს, რომელიც საშიში ქიმიური დანამატების უკონტროლოდ შემოდინებას აკრძალავს. სანამ ზოგიერთები პარლამენტიდან ჩემი წასვლის მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებენ, მე მათი და მათი შვილების უსაფრთხო მომავლისთვის აუცილებელ კანონებზე ვმუშაობ და მერწმუნეთ, რომ ამ კანონებსაც გავიტან. აი, მერე ვიფიქრებ წავიდე თუ არა..

– „გაზპრომის“ გარშემო

ეს ინფორმაცია გავრცელდა ქრისტიანული დღესასწაულების ჩვეულებრივ სამუშაო დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით, ბევრი ადამიანი ჩავარდა საგონებელში, ნეტავ, ეს მოთხოვნა რისი წინმსწრებია, რეალურად, რა დგას მის უკანო?

მაშ, ასე – 2014 წლის 25-29 ივნისს სტრასბურგში ხელი მოეწერა „საერთაშორისო მემორანდუმს“, რომელიც ძალაში შევა 2016 წლის 1 მაისიდან.

საერთაშორისო მემორანდუმი

განათლების სფერო

პოლიტკულტურული განათლება ქვეყნის ყველა სასწავლო დაწესებულებაში 09.11.2016-იდან;

რელიგიური და ეროვნული დღესასწაულების გაუქმება ყველა სასწავლო დაწესებულებაში 09.11.2017-იდან;

მოსწავლეების ეკლესიურობის ლიკვიდაცია 11.11.2016-იდან;

სინაგოგისა და ისლამური მეჩეთის აუცილებელი მონახულება სკოლა სკოლა-დიმოტიკის (დაწყებითი კლასები) დონის მოსწავლეთათვის, ხოლო გიმნაზიისა და ლიცეუმების მოსწავლეებისთვის მუდმივად 11.11.2016 წლიდან;

საგანმანათლებლო დონეზე დიმოტიკის სკოლებში სექსუალური განათლების გაკვეთილების შემოღება (0.9.11. 2016) და უფასო პრეზერვატივების დარიგება ყველა სტუდენტისთვის და დაწყებითი დონის სკოლებში 10.11.2016-იდან;

სექსუალური განათლების კურსის პრაქტიკული რეალიზაცია სასკოლო განათლების ყველა დონეზე 11.12.2017-იდან;

საბერძნეთის (ამ შემთხვევაში – ავტ.) ისტორიის გაუქმება და ბერძენთა აჯანყების შესახებ ინფორმაციის ამოღება სასკოლო პროგრამებიდან, სანაცვლოდ, ევროპის აღორძინებისა და საფრანგეთისა და იტალიის რევოლუციების (1843 წელი. გარიბალდი) საკითხებთან დაკავშირებული გაკვეთილების შემოტანა 11. 12.2018-იდან;

ეროვნული დღესასწაულებისა და ფესტივალების გაუქმება 16.10. 2016-იდან;

სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე მრავალი პროფესიის გაუქმება და ინტერნეტის შეტანა 1.1. 2017-იდან;

სლაიდ-გამოსახულების შემოტანა სექსუალური განათლების გაკვეთილებზე 19.09. 2016-იდან;

სტუდენტთა ელექტრონული იდენტიფიკაციის შემოტანა 20. 09.2017-იდან;

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უნივერსიტეტების გარდაქმნა სექსუალური თავისუფლების ადგილებად 17.09.2017-იდან;

სტუდენტების სექსუალური თავისუფლება 16.09.2016-იდან;

ეკლესიასთან დაკავშირებით

ეკლესიიდან გატანილი უნდა იქნას კანკელი. რეფორმა დაიწყება 26.10.2017-იდან;

ხატების დაწერა აღორძინების ხანის ნიმუშების მიხედვით – ბიზანტიური მენტალიტეტის შეცვლა 01.03.2017-იდან;

დედა-ეკლესიაში მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ორღანის დანერგვა 01.03.2017-იდან;

ეკლესიის გარეთ კლერიკოსთა ტანისამოსის ტარების აუცილებლობის გაუქმება 15.08.2017-იდან;

სასულიერო პირებისთვის წვერისა და გრძელი თმის მოპარსვა 01.05.2017-იდან;

წმინდა ტაძრებსა და მონასტრებში ღამისთევის გაუქმება 14.08.2018-იდან;

ანტირასისტული მიმართულების საგალობლების შემოტანა, რომელიც სავალდებულო იქნება მთელი სასულიერო დასისთვის, ყველა სასულიერო ხარისხისთვის 15.09.2016-იდან;

ანტისემიტური საგალობლების გაუქმება ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში 16.09.2016-იდან;

მართლმადიდებლურ ეკლესიაში ცისკრის მსახურების გაუქმება 16.09.2017-იდან;

ახალი საღვთისმსახურებო წეს-განგების დანერგვა ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში 16.09.2017-იდან;

ყოველი წლის 5 ივნისს მიახლოებულ ოთხშაბათს და 21 დეკემბერს გარემოს დაცვის დღესასწაულის დაწესება, დედამიწის ზეიმის დაწესება 14 აპრილს. რეფორმის დასაწყისი 20.09.2016-იდან;

ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში ებრაულ ჰოლოკოსტთან დაკავშირებული საღვთისმსახურებო წეს-განგება. დღესასწაული აღსრულდება წელიწადში სამჯერ, 27 იანვარს, 21 აპრილს, ქრისტიანული პასექის მეორე კვირას, რომელსაც თომას კვირასაც უწოდებენ. რეფორმის დასაწყისი 1.7.2016-იდან;

ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში ყველა ეროვნული დღესასწაულის გაუქმება 15.07.2017-იდან;

ახალი ქრისტიანული დღესასწაულების დანერგვა ქრისტიანულ ეკლესიებში; ყველა ეკლესიაში უნდა გაუქმდეს ტაძრებში შესვლის აკრძალვის პრინციპები. რეფორმა ძალაში შევა 17.04.2017-იდან;

გაერო-ში შესვლა, რომელიც მოახდენს ყველა გაერთიანებული ეკლესიის კურირებას 15.07.2017-იდან;

8 გვ.

ოთი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამოცხადებულია!

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ე.წ ლიბერასტული არასამთავრობო ორგანიზაციების ნაკრები აპირებს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი მოთხოვნით, რომ გაუქმდეს შობის, ნათლისღების, აღდგომის, გიორგობის და ა.შ უქმე დღეები, რადგან ამ შემთხვევებში, თურმე, სხვა კონფესიების უფლებები ილახება. ამას წინ რაც უძღოდა – საკონსტიტუციო სასამართლოში უკვე შესული სარჩელი, სადაც იგივენი საპატრიარქოსთვის დაწესებული საგადასახადო შეღავათების გაუქმებას მოითხოვენ, ისიც ცნობილია, რომ არც თბილისის მერობის მსურველმა ალეკო ელისაშვილმა დააკლო ხელი, სწორედ მან განაცხადა მიამიტი სახით „რუსთავი 2-ის“ ეთერიდან (გადაცემა „არჩევანი“), დიახაც, აუდიტის სამსახური საპატრიარქოში უნდა შევიდეს და შეამოწმოს საპატრიარქოს ხარჯებიო, ანუ ერთი შეხედვით დამოუკიდებელი დეპუტატი და ცნობილი „ასო-ები“ ერთი ერთზე იმეორებენ და ითხოვენ ერთსა და იმავეს.

როდესაც ზემოთაღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა ქრისტიანული დღესასწაულების ჩვეულებრივ სამუშაო დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით, ბევრი ადამიანი ჩავარდა საგონებელში, ნეტავ, ეს მოთხოვნა რისი წინმსწრებია, რეალურად, რა დგას მის უკანო?

მაშ, ასე – 2014 წლის 25-29 ივნისს სტრასბურგში ხელი მოეწერა „საერთაშორისო მემორანდუმს“, რომელიც ძალაში შევა 2016 წლის 1 მაისიდან.

საერთაშორისო მემორანდუმი

განათლების სფერო

პოლიტკულტურული განათლება ქვეყნის ყველა სასწავლო დაწესებულებაში 09.11.2016-იდან;

რელიგიური და ეროვნული დღესასწაულების გაუქმება ყველა სასწავლო დაწესებულებაში 09.11.2017-იდან;

მოსწავლეების ეკლესიურობის ლიკვიდაცია 11.11.2016-იდან;

სინაგოგისა და ისლამური მეჩეთის აუცილებელი მონახულება სკოლა სკოლა-დიმოტიკის (დაწყებითი კლასები) დონის მოსწავლეთათვის, ხოლო გიმნაზიისა და ლიცეუმების მოსწავლეებისთვის მუდმივად 11.11.2016 წლიდან;

საგანმანათლებლო დონეზე დიმოტიკის სკოლებში სექსუალური განათლების გაკვეთილების შემოღება (0.9.11. 2016) და უფასო პრეზერვატივების დარიგება ყველა სტუდენტისთვის და დაწყებითი დონის სკოლებში 10.11.2016-იდან;

სექსუალური განათლების კურსის პრაქტიკული რეალიზაცია სასკოლო განათლების ყველა დონეზე 11.12.2017-იდან;

საბერძნეთის (ამ შემთხვევაში – ავტ.) ისტორიის გაუქმება და ბერძენთა აჯანყების შესახებ ინფორმაციის ამოღება სასკოლო პროგრამებიდან, სანაცვლოდ, ევროპის აღორძინებისა და საფრანგეთისა და იტალიის რევოლუციების (1843 წელი. გარიბალდი) საკითხებთან დაკავშირებული გაკვეთილების შემოტანა 11. 12.2018-იდან;

ეროვნული დღესასწაულებისა და ფესტივალების გაუქმება 16.10. 2016-იდან;

სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე მრავალი პროფესიის გაუქმება და ინტერნეტის შეტანა 1.1. 2017-იდან;

სლაიდ-გამოსახულების შემოტანა სექსუალური განათლების გაკვეთილებზე 19.09. 2016-იდან;

სტუდენტთა ელექტრონული იდენტიფიკაციის შემოტანა 20. 09.2017-იდან;

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უნივერსიტეტების გარდაქმნა სექსუალური თავისუფლების ადგილებად 17.09.2017-იდან;

სტუდენტების სექსუალური თავისუფლება 16.09.2016-იდან;

ეკლესიასთან დაკავშირებით

ეკლესიიდან გატანილი უნდა იქნას კანკელი. რეფორმა დაიწყება 26.10.2017-იდან;

ხატების დაწერა აღორძინების ხანის ნიმუშების მიხედვით – ბიზანტიური მენტალიტეტის შეცვლა 01.03.2017-იდან;

დედა-ეკლესიაში მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ორღანის დანერგვა 01.03.2017-იდან;

ეკლესიის გარეთ კლერიკოსთა ტანისამოსის ტარების აუცილებლობის გაუქმება 15.08.2017-იდან;

სასულიერო პირებისთვის წვერისა და გრძელი თმის მოპარსვა 01.05.2017-იდან;

წმინდა ტაძრებსა და მონასტრებში ღამისთევის გაუქმება 14.08.2018-იდან;

ანტირასისტული მიმართულების საგალობლების შემოტანა, რომელიც სავალდებულო იქნება მთელი სასულიერო დასისთვის, ყველა სასულიერო ხარისხისთვის 15.09.2016-იდან;

ანტისემიტური საგალობლების გაუქმება ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში 16.09.2016-იდან;

მართლმადიდებლურ ეკლესიაში ცისკრის მსახურების გაუქმება 16.09.2017-იდან;

ახალი საღვთისმსახურებო წეს-განგების დანერგვა ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში 16.09.2017-იდან;

ყოველი წლის 5 ივნისს მიახლოებულ ოთხშაბათს და 21 დეკემბერს გარემოს დაცვის დღესასწაულის დაწესება, დედამიწის ზეიმის დაწესება 14 აპრილს. რეფორმის დასაწყისი 20.09.2016-იდან;

ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში ებრაულ ჰოლოკოსტთან დაკავშირებული საღვთისმსახურებო წეს-განგება. დღესასწაული აღსრულდება წელიწადში სამჯერ, 27 იანვარს, 21 აპრილს, ქრისტიანული პასექის მეორე კვირას, რომელსაც თომას კვირასაც უწოდებენ. რეფორმის დასაწყისი 1.7.2016-იდან;

ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში ყველა ეროვნული დღესასწაულის გაუქმება 15.07.2017-იდან;

ახალი ქრისტიანული დღესასწაულების დანერგვა ქრისტიანულ ეკლესიებში; ყველა ეკლესიაში უნდა გაუქმდეს ტაძრებში შესვლის აკრძალვის პრინციპები. რეფორმა ძალაში შევა 17.04.2017-იდან;

გაერო-ში შესვლა, რომელიც მოახდენს ყველა გაერთიანებული ეკლესიის კურირებას 15.07.2017-იდან;

8 გვ.

ომი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამოცხადებულია!

7 გვ.

იერუსალიმი გახდება სულიერი დედაქალაქი 01.05.2017-იდან;

მიღებული იქნება იერუსალიმის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და სლავური საპატრიარქოების (მოსკოვის გარდა) გაუქმება 01.05.2017-იდან;

დარჩება გაერთიანებული ეკლესიის მხოლოდ სამი საპატრიარქო: რუსეთის, რომის და კონსტანტინოპოლის საპატრიარქო 01.05.2017-იდან;

ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში ახალი პოლირელიგიური მსახურების დამკვიდრება მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით 20.05.2017-იდან;

ყველა ტაძარში მუსიკალური ინსტრუმენტების მიღება და კონცერტების (არა მხოლოდ რელიგიური) ორგანიზება 20.10.2017-იდან;

ანტირასისტული და ანტიფაშისტური კონცერტების ჩატარება ტაძრებსა და მის ფარგლებს გარეთ, რომელსაც ქრისტიანული ეკლესიები რეგულარულად ჩაატარებენ 01.05.2017-იდან;

ათონის წმინდა მთაზე შესვლის აკრძალვის გაუქმება 01.06.2017-იდან;

ქრისტიანული ეკლესიების მიერ ფედერალური და მულტიორგანიზაციების მიღება 01.09.2017-იდან;

ქრისტიანულ ეკლესიაში ვატიკანის პირველი როლის აღიარება 15.08.2017-იდან;

კათოლიკური (პაპისტური) ბერებისა და კათოლიკური ორდენების, ასევე ძველბერძნული ღვთისმსახურების მიმდევარი ბერების მიღება წმინდა მთაზე 20.11.2017-იდან 18.08.2018-მდე

საბაგირო გზის გაბმა ათონის მთაზე. სმარტ-სისტემისა და ძველი საკულტო ქანდაკებების დადგმა. Aათონის გარდაქმნა ეკოლოგიურ არქაულ-ბიზანტიურ საერთო საცხოვრებელ სახელმწიფოდ, რომელსაც მიენიჭება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მმართველობის სტატუსი. ის გადაიქცევა ახალი ქრისტიანული მიმართულებისა და ახალი ქრისტიანული მუსიკის ახალ ცენტრად 14.02.2018-იდან;

ქრისტიანულ ეკლესიათა შეთანხმება, რომ 2016 წლიდან ისინი შედიან ახალ ერაში (ეპოქაში).

ქრისტიანულ ეკლესიებში მწყემსმთავართა ხელდასხმა 28 წლის და მეტი ასაკიდან. რეფორმა დაიწყება 1.11.2017-იდან;

ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული სიმპოზიუმების, კონფერენციებისა და საერთაშორისო ასოციაციების მოწყობა საბერძნეთის კუნძულებზე, ასევე კვიპროსზე და ათონის წმინდა მთაზე; ქრისტიანული ეკლესიების მიერ ეროვნული სახელმწიფოების გაუქმებისა და გაერთიანების შეწყნარება, ისეთებისა, როგორიც იქნებიან მულტიქვეყნები, მულტიცენტრები, მულტიკულტურები, პოლიკონფესიური და რელიგიური სახელმწიფოები, რელიგიური სახელმწიფო წარმონაქმნები, თუნდაც ისეთი, როგორიც მსოფლიო საპატრიარქო იქნება 15.08.2017-იდან;

ზემოთ აღნიშნული შეთახმების რატიფიკაციას მოახდენს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის მსოფლიო კრება 19.02.2016-იდან 09.07.2017-მდე;

წმინდა ტაძრებსა და მონასტრებში ღამისთევითი ლოცვების გაუქმება 14.08.2018-იდან;

საკურთხევლებიდან ანტიმინსების (ოდიკების) აღება 14.08.2016-იდან;

ადმინისტრაციული რეფორმები

ინტერნეტში ბავშვთა (14 წლიდან და ზემოთ) თავისუფალი პორნოგრაფიის აღიარება 24.12.2017-იდან;

ეროვნული დღესასწაულების გაუქმება და მსოფლიო მთავრობის აღიარება 10.12.2016-იდან;

ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზება სასწავლო დაწესებულებებში – ჰომოსექსუალიზმის სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში 20.09.2016-იდან;

გაუქმებული იქნას საბერძნეთისა და მთელი ევროპის დროშები; ევროპის რელიგიური დღესასწაულების გაუქმება 01.03.2017-იდან;

გეების სამოქალაქო პარტნიორობის მიღება და მთელ ევროკავშირში მათი სამოქალაქო და რელიგიური ქორწინების აღიარება 21.10.2017-იდან;

მიცვალებულთა კრემაციის აღიარება 01.05.2016-იდან;

ევროკავშირის ქვეყნებში რელიგიური დაკრძალვის გაუქმება და თანდათანობით მიცვალებულთა კრემაციის სავალდებულო წესად დანერგვა 20.05.2016-იდან;

კრემაციის შეწყნარება ეკლესიის მიერ და ასევე მათ მიერაც, ვისაც სურს რელიგიურად დაკრძალვა 22.05.2016-იდან;

აიკრძალოს წყლის კურთხევა პარლამენტში, სასწავლო და სახელმწიფო დაწესებულებებში და თუ შესაძლებელი იქნება, მთელ ევროკავშირშიც 24.05.2016-იდან;

გაუქმდეს ფიცის დადება ევროკავშირის ქვეყნების პარლამენტებში 25.05.2016-იდან;

გაუქმდეს პატარა ბავშვების ნათლობა და მეტრიკული წიგნაკები 09.12.2016-იდან;

მრავალეროვანი არმიის ან არაეროვნული არმიის შექმნა ნატო-ს სტანდარტების მიხედვით 30.01.2017-იდან...

01.05.2016-იდან შეიქმნას რეფორმებთან დაკავშირებული ევროპის სასამართლო.

15.05.2016-იდან შეიქმნას რეფორმებთან დაკავშირებული ოფისი რომლის საწყისი კაპიტალი იქნება 800.000.000 ევრო.

ხმელთაშუა ზღვის რეგიონალური ასოციაციის შექმნა ხმელთაშუა ზღვის ყველა ქვეყნის ასოცირებით მასში 13.07.2017-იდან. ევროპის საკოორდინაციო ორგანოს თავისი შტაბ-ბინა ექნება ათონის მთაზე17.12.2017-იდან;

ეკოლოგიური ოფისის შექმნა 21.11.2016-იდან, ბაზა დუბროვნიკში. ხორვატია.

ახალი ერის რეფორმებთან დაკავშირებული ოფისის შექმნა ბარსელონაში 22.01.2016-იდან.

ახალი ოფისის შექმნა ევროპული რელიგიური რეფორმებისთვის საკოორდინაციო ცენტრით ვატიკანში 24.11.2016-იდან.

ჩვენ მივილტვით, ცვლილებები დავამკვიდროთ ათონის მთაზე და დავამყაროთ ყველა რელიგიისა და სწავლების მონასტერი, ასევე ვატიკანის მონასტრული ორდენები. მივილტვით ამისკენ იმათ გამო, ვინც გახდება ჩვენი მემკვიდრე. რათა ამოქმედდეს ზემოთ მითითებული რეფორმები, ჩვენ კვლავ და მრავალგზის ვლოცულობთ ერთი ღმერთის მიმართ და ერთი კაცის მიმართ, რათა მოევლინოს წუთისოფელს პლანეტის ყველა პრობლემის გადასაჭრელად.

ვინ არის ის „ერთი ღმერთი“ და „ერთი კაცი“, ეშმაკმა უწყის; აგრეთვე ის, რამდენად შესაძლებელია ვიღაცების მიერ დროში გაწერილი მოცემული გეგმა ამოქმედდეს, თუმცა, რაც აღნიშნული მემორანდუმის სტატიებში პუნქტებადაა მოცემული, ფაქტია, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ სრულდება.

ყველა პუნქტის განხილვას ვერ შევუდგებით და არც არის საჭირო, თუკი მიმოიხედავს ნებისმიერი ჩვენგანი, მემორანდუმით დაგეგმილი ყველა განზრახვის ასრულების მცდელობას, ასრულებას ან ასრულებისთვის ნიადაგის მოშზადებას თვალნათლივ დაინახავს.

ამა წლის 3 თებერვალს შემთხვევით არ იფეთქა ილიას უნივერსიტეტის ლექტორმა გიორგი მაისურაძემ საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე: „ამ ტექსტით მინდა მივმართო ლიბერალური ფასეულობების და საღი, თავისუფალი აზროვნების მქონე საქართველოს ყველა მოქალაქეს. დროა, ყველაფერს ღიად დაერქვას თავისი სახელი! ილუზიებში ნუ ცხოვრობთ, მეგობრებო! დღეს მართლმადიდებლობას იერიში მიაქვს თავისუფალ სიტყვაზე, თვით თავისუფლების უწმინდეს იდეაზე. არა საპატრიარქოს, არა რომელიმე მღვდელმსახურს, არა პარლამენტს და პოლიტიკურ პარტიებს, არამედ, პირველ რიგში, სწორედ – მართლმადიდებლობას, ამ შავბნელ, რუსულ, იმპერიალისტურ იდეოლოგიას, სწორედ მართლმადიდებლობა და არა რომელიმე ორგანიზაცია ან პიროვნება არის მთავარი წინაღობა საქართველოში დასავლური ფასეულობების საბოლოოდ დამკვიდრებისა და ყველა მისი მიმდევარი სინათლის და პროგრესის ცნობიერი თუ გაუთვითცნობიერებელი მტერია. ამიტომ ჩვენ, ლიბერალები, საქართველოს ინტელექტუალური ელიტა, საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები, ვიბრძოლებთ ბოლომდე და ყველა კანონიერი საშუალებით, სანამ ბოლომდე არ დავასრულებთ ამ ანტიპროგრესულ, ანტიცივილურ იდეას საქართველოში, ამ სიბნელის, აგრესიის და უძრაობის დასაყრდენს მართლმადიდებლური რწმენის სახით.“

აღნიშნული პოსტი მხოლოდ რამდენიმე წუთს იყო ფეისბუქის კედელზე. Aმისი დამწერი, ელემენტარულია, თვითონ არ გადაწყვეტდა, როგორც ჩანს, ვინმემ ურჩია და მალევე წაშალა, თუმცა მანამდე პოსტის სქრინის გადაღება მოასწრეს. (რა „ინტელექტუალური ელიტაც“ ბრძანდება ლექტორი მაისურაძე, იმითიც ჩანს, რომ მართლმადიდებლობა რუსული იმპერიალისტური იდეოლოგია ჰგონია, თუმცა, ეს უკვე მხოლოდ მისი კი არა, საყოველთაო პრობლემაა).

ღრმად ჩახედვა არ გვინდა, ის ხომ დანამდვილებით ვიცით, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ამა წლის 22-27 იანვარს ნამდვილად დაესწრო მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების შეხვედრას, რომელიც ჟენევაში გაიმართა. რა ითქვა იქ, ვფიქრობთ, დაწვრილებით განსახილველი აღარ არის, გასაგებია, რის დამადასტურებლად საკმარისია ისიც, რა სიტყვითაც მიმართა ჩვენმა უწმინდესმა იქ მყოფებს.

ამონარიდი უწმინდესის სიტყვიდან: „საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, კვლავ („კვლავ“, მაშასადამე, კიდევ ერთხელ, განმეორებით – ავტ.) ვაცხადებთ, რომ სამი თემის – „ერთიანი კალენდარის შესახებ“, „ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები“ და „მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე მსოფლიოში“ – წარმოდგენილი სახით, წმინდა და დიდ კრებაზე გასატანად მიუღებლად მიგვაჩნია. თუ იქნება მოთხოვნა, რომ ეს საკითხები დღის წესრიგში აუცილებლად უნდა შევიდეს, მაშინ წმინდა და დიდი კრება უნდა გადაიდოს, ვიდრე მათთან დაკავშირებული საერთო შეთანხმება არ მიიღწევა“.

ფაქტობრივად, ომი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამოცხადებულია!

გიორგი ჩხეიძე

„თუკი ჩვენი სიკვდილი გადაარჩენს ჩვენს სამშობლოს, დე, ჩვენი სულები მიითვალოს ზეციურმა საქართველომ!“

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლდაწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან

– მამა ბასილ, ბოლო ხანებში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ე. წ. სექსუმცირესობები. კონსტიტუციაში ქორწინების დაკანონების მუხლის შეტანას ითხოვენ.

– სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ჩვენთან არს ღმერთი!

ალბათ, დამეთანხმებით, როგორც მე, ასევე სრულიად საქართველოს მართლმადიდებელნი აღშფოთებული ვართ, განსაკუთრებით ამ ბოლო დღეებში მმართველი ტელევიზიების (რომლებიც ჯორჯ სოროსის, ევროპის თუ ამერიკის ქვეყნების მიერ ფინანსდებიან) ამაზრზენი სცენებით, საიდანაც ნიაღვარივით მოედინება ყოვლად უზნეო გადაცემები, რაც იმას ადასტურებს, რომ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლობას. თითქმის ყოველდღიურად იწვევენ ერთსა და იმავე ზნედაცემულ, სულიერად დაავადებულ მამათმავლებს და მათ მხარდამჭერებს. ისინი სპეკულირებენ სიტყვის თავისუფლების უფლებით, სინამდვილეში კი ხდება აშკარა პროპაგანდა, რათა გადაიბირონ საზოგადოება და ჯოჯოხეთის გზას გაუყენონ. ესენი არიან სულიერად დაავადებულნი, რომელთა ადგილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია.

5 იანვარს ტელეკომპანია „იმედზე“ მოწყობილ შოუში ნებისმიერს დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები ყოველგვარი უფლებით სარგებლობენ. სულის შემძვრელი იყო, როგორ ებრძვიან ქართველობას, რწმენას ვაი-მწერლები. განსაკუთრებით ვინმე ახალგაზრდა „ეპისკოპოსი ქალი“ შეურაცხყოფდა უფალს. მისი სიტყვებით: „300 ლარის საპირწონედ ქრისტეც ჩადიოდა რაღაცებს, თუნდაც ის, რომ შაბათი დაარღვია... ან თავის თავს ღმერთს უწოდებდა“ და ა.შ.

გეკითხებით, რომელ ქვეყანაში ნახავთ, ამდენი უფლება მისცენ ე. წ. ეპისკოპოს ქალს, რომელიც გეებს თავგამოდებით იცავს?

ხალხო, 20 საუკუნეა, ოჯახური სიწმიდით მოვაბიჯებთ, დღეს კი როგორ ვიტყვით, რომ მართლმადიდებელნი ვართ, როცა ვიღაც „მაცაცოს“ სახით, რომელსაც ვერ გაუგია, კაცია თუ ქალი, სასამართლოში შეაქვს საჩივარი ოჯახის სიწმიდის მოსასჰობად.

ასევე, ვინმე ზნედაცემული თუთბერიძე გვიკანონებს ცხოვრების წესს და სისხლისმღვრელი სააკაშვილის მიერ გასხვისებული ტერიტორიების დაბრუნებას ზნეობის, ტრადიციების, სარწმუნოების დათმობის და სოდომ-გომორის ცოდვის დაკანონების საფასურად გვთავაზობს.

შევახსენებ ფაქტობრივი პარლამენტის იმ წარმომადგენლებს, რომელთაც ღილაკს თითი დააჭირეს და ხმა მისცეს ანტიდისკრიმინაციულ კანონს. ალბათ, აცნობიერებთ – ამით ფართო გზა დაუთმეთ ერთსქესიანთა ქორწინებას. დღეს, ფაქტობრივად, ჩვენს ქვეყანას რესპუბლიკელები, იგივე ნაციონალები მართავენ. უსუფაშვილმა თავის პარტიასთან ერთად ყველაფერი გააკეთა, რათა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიეღოთ, მოახერხა კიდეც, რამეთუ უწყოდა, ამით აამებდა ოკეანისგაღმელებს. ამერიკა ხომ ჰომოსექსუალების, ტრანსგენდერების და სხვა ამორალურ ხალხთა სამშობლოა?! აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი აცხადებს: „მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა. კულტურა აქვს იმ ერს, რომელიც იცავს ლგბტ საზოგადოების ინტერესებსო“.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ვაი-ქართველებთან ერთად ჩვენი ბედკრული საქართველოს ბედი ამერიკის საელჩოში წყდება. ამერიკის ელჩის სიტყვებით: „შეგიძლიათ ყველა ქვეყანას ევაჭროთ, ვაშინგტონის გარდა“.

სწორედ ამათი იმედი აქვთ ერისა და სარწმუნოების მოღალატეებს.

მინდა მივმართო ე. წ. მწერალს თუ ისტორიკოსს ლაშა ბუღაძეს: შენ თუ ნამდვილი ისტორიკოსი ხარ, ალბათ, საქართველოს ისტორია გეცოდინება. გეცოდინება, რომ წარსული საუკუნეებიდან სარწმუნოებამ დღემდე ატარა ჩვენი ქვეყანა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართველი ხალხი გამუდმებით სხვადასხვა დამპყრობელს ებრძოდა. ჩვენს სახელოვან წინაპრებს, მეფეებს, დედოფლებს და სხვა წარმოჩენილ პიროვნებებს საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ იმ სიწმიდეების დაცვა, რამაც მოგვიყვანა დღემდე. რამ დაგაბრმავა, შვილო, ლაშა, რამ შეგაზიზღა ასე ქართველი ერი, დაუნდობლად რომ ებრძვი. რამ შეგაყვარა მამათმავლები, რომ მათ ადვოკატადაც უდგები.

– მამაო, ალბათ, გსმენიათ, გურიის ეპარქიაში, სოფელ შუხუთის ეკლესიის მოძღვარს ლიმუზინი შეუძენია. რად უნდა მღვდელს ლიმუზინი, ხომ არ იცით?

– ჩემო კარგო, რა გიკვირთ, იშვიათია სასულიერო პირი, რაიმე ბიზნესით არ იყოს დაკავებული. ლიმუზინი მათთან რა მოსატანია. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგიერთი ასეთი საქციელის შემყურე ტოვებს მართლმადიდებლობას და სექტებში გადადიან. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა სასულიერო პირი თავის ნებაზეა მიშვებული და რაც უნდათ, იმას აკეთებენ. მათ აკრძალული აქვთ პრესითა და ტელევიზიით გამოსვლა და მართლმადიდებლობის დაცვა. მე ბევრ მღვდელს ვიცნობ, რომლებიც აღნიშნავენ, რომ თავიანთი ეპისკოპოსები უფლებას არ აძლევენ, ინტერვიუ მისცენ. იოანე ოქროპირი ბრძანებს: მღვდელს თავი ბალიშზე არ უნდა ედოსო. დღევანდელ ზოგიერთ სასულიერო პირთა ფუფუნებაა, ჯიპებით გადაადგილდნენ, ლიმუზინის გაქირავებით ფული იშოვონ, საინტერესოა, ეკლესიას ახმარენ აღებულ თანხას? არა მგონია.

მე 40 წლის „24“-ით სამშენებლო მასალებს დავატარებ და იმის ფიქრში ვარ, რა ავაშენო, რა გავაკეთო მომავალი საქართველოსთვის. ასე ვარ, სხვა რა გითხრათ?!

– რას გვეტყვით მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მრევლის პროტესტზე – მეუფე ვახტანგის სასულიერო პირები გოგონებს აუპატიურებენო. შეიძლება ყოველივე ეს სიმართლე იყოს? მღვდლების დისკრედიტაციისთვის ხომ არ იგონებენ ასეთ ცილისწამებებს?

– მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსი **ვახტანგ ახვლედიანი** ჩამოაცილეს ამ ეპარქიას, თუმცა სისტემატიურად სამებაში პატრიარქის გვერდით დგას და ხალხს აღიზიანებს. ალბათ, მის დაქვემდებარებაში მყოფი სასულიერო პირნი მისნაირნი არიან... რასაც მეკითხებით, ვერც დავამტკიცებ და ვერ უარვყოფ. მეც მსმენია ამის შესახებ და მწყინს ჭეშმარიტად, რამეთუ სწორედ ასეთი სასულიერო პირნი აძლევენ საბაბს მართლმადიდებლობის მტრებს, ჩირქი მოსცხონ მღვდლის პატივს.

მღვდლობა უმძიმესი ჯვარია. მღვდელში გაჭირვებაში მყოფი ადამიანი მშველელს ხედავს, ის სასოებით შეჰყურებს შუაკაცს ღმერთსა და კაცს შორის. მისგან ელის სულიერ საზრდოს, რომელსაც ერის კაცნი ვერ უწილადებთ უერთიერთს. ბასილი დიდი ბრძანებს: „ქრისტიანი ყოველნაირად უნდა ცდილობდეს გაბოროტებული ადამიანი დაამშვიდოს, ლმობიერ ჰყოს და მისდამი კეთილად განაწყოს“. – ვკითხულობთ ლამაზ სიტყვებს, მაგრამ, სამწუხაროდ, შემსრულებელი იშვიათია.

– ილიაუნის პროფესორის გიორგი მაისურაძის განცხადებაზე რას იტყვით? მან თქვა: სანამ მართლმადიდებლობას არ მოვსპობთ, არ მოვისვენებთო.

– ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, „როცა ერი თავის ისტორიას ივიწყებს, მაშინ იწყება მისი გადაგვარებაო“. ალბათ, ახლა ბორგავს დიდი ილიას სული, რამეთუ მისი სახელობის უმაღლესი სასწავლებელი ზნედაცემულთა ნავსაყუდელია. ეს ახალი ამბავი არ არის. გიგი თევზაძე მათი მამა და მარჩენალი იყო. ყოველგვარი უზნეობა, აღვირახსნილობა იქ იბადება, იზრდება და წამლავს საზოგადოებას. ამ უზნეო ფესვებზე არის აღმოცენებული **დეისაძე, ძარუშიძე, ბურჭულაძე, ბულაძე, თუთბერიძე** და მათი მსგავსნი. მათი იდეებით ჩამოყალიბდა მთლიანად რესპუბლიკური პარტია, თვით მარგველაშვილიც, რომელიც ქართველებს დებილებად და გონებაჩლუნგებად მოგვიხსენიებს. **უსუფაშვილ-ხიდაშელი, ბოკერია,** რომლებიც კალიებივით შემოესივნენ მართლმადიდებლობას და მის დანგრევას ცდილობენ. მათი სულისჩამდგმელია სოროსი, რომელიც კვებავს და ასაზრდოებს მათ. სანამ ბოკერია, რესპუბლიკელები და ძმანი მისნი არ მოშორდებიან სახელმწიფო მართვის ორგანოებს, საქართველოში სიმშვიდე ვერ დაისადგურებს. მე ესენი ანათემას გადავეცი, შევაჩვენე საქართველოს ღალატისთვის. ნებისმიერი მოვიდეს და გამესაუბროს. დავუმტკიცებ, რომ ისინი სამშობლოს მოღალატენი არიან.

– მამაო, რას გვეტყოდით მოახლოებულ მე-8 მსოფლიო საეკლესიო კრებასთან დაკავშირებით?

– რითაც ვხელმძღვანელობთ, ეს არის მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრება, სადაც წმიდა მამებმა სულიწმიდის მადლით დაგვიდგინეს მართლმადიდებელთა კანონები, ცხოვრების წესი, რომელიც დოგმა და ჭეშმარიტება არს.

თვით უფალმა იესო ქრისტემ, სანამ ზეცად ამაღლდებოდა, დაგვიდგინა აღსარება, ზიარება, წმიდა მცნებები, რომელსაც ქრისტეს მეორედ მოსვლამდე არც არა რაი უნდა მიემატოს და არც გამოაკლდეს. „ცანი და ქუეყანა გადავლენ, ხოლო ჩემი სიტყვები არ გადავლენ“ (მკ. 13-31). ის, რაც ჭეშმარიტ მორწმუნეს სჭირდება, დადგენილი და უცვლელია. წმიდა მამები გვასწავლიან: „ის, ვინც მიკვლეული ჭეშმარიტების შემდეგ რაღაცის ძიებაშია, სიცრუეს ეძებს“. მაგათ ქრისტეს მცნებები სააკაშვილის კონსტიტუცია ხომ არ ჰგონიათ?

ამ ახალმა, მოგონილმა კრებამ რა უნდა დაადგინოს მართლმადიდებელთა საკეთილდღეოდ, თუ არა პირიქით? ყველაფერი მიჰყავთ რწმენის მოშთობისკენ. მათი მიზანია ახალი სტილის კალენდარზე გადასვლა, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება. მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა და სხვათა ე.წ. კოჰაბიტაცია – ერთიანი ლოცვა, რაც ეწინააღმდეგება მე-7 მსოფლიო კრების დადგენილებას.

ვაფრთხილებ ეკლესიის მესვეურთ, დროებითი განცხრომით არ უნდა ლაპარაკობდნენ, პირიქით, ამას თქვენ გავალებთ უფალი. ჭეშმარიტი რწმენის დასაცავად ყოველგვარ წინააღმდეგობას უშიშრად უნდა ხვდებოდეთ. გაითვითცნობიერეთ, რომ ღმერთზე მინდობილი ადამიანი ყველაზე ძლიერია. როცა ეკლესია მოწოდების სიმაღლეზე დგას, მაშინ ერიც ძლიერია. განა ღმერთი არ დაიცავს მათ, ვინც დღედაღამ შეჰღაღადებს?

მართლაც უდიდეს გასაჭირში ვართ. ადრე თუ ფიზიკურად გვანადგურებდნენ შინაური თუ გარეული მტრები, დღეს მათი მიზანია სულიერი გადაგვარება, რათა ჯოჯოხეთის გზას გაგვიყენონ. სოდომ-გომორი იმიტომ მოსრა უფალმა, რომ იქ გარყვნილებამ პიკს მიაღწია, სწორედ მსგავსი მდგომარეობა გვაქვს საქართველოში. ყოვლად მიუღებელია ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მართლმადიდებლობას ებრძოდეს ქართველი, რის გამოც საშინელი რისხვა დაგვატყდება თავს. ვიცით, რომ ამერიკის პრეზიდენტმა მთელ ქვეყანაში დააკანონა ერთსქესიანთა ქორწინება. ჩვენც ხომ იმათი ერთერთი შტატი ვართ. სწორედ ამიტომ უნდა ველოდეთ რისხვას.

მეგობრებო, ჩემო სულიერო შვილებო, ახლოვდება ქრისტეს მეორედ მოსვლა. ჩვენ ბედკრულ ქვეყანას დიდი ბრძოლები ელოდება. უფალი დაგვყურებს, როგორ მოვიქცევით – დავიცავთ მართლმადიდებლობას თუ ბელიარს შევეკვრებით, მზად ვიყოთ, თუ ჩვენი სიკვდილი გადაარჩენს ჩვენს სამშობლოს, დე, მიითვალოს ჩვენი სულები ზეციურმა საქართველომ.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ირანდა კალანდაძე
ტელ.: 593 56 11 18

რა სახიფათო მიზნებს ემსახურება ორგანიზაცია „მუსლიმთა თემი“ და მისი თავკაცი ტარიელ ნაკაიძე, რომელიც ბათუმში ახალი მეჩეთის აშენებას ითხოვს?

გასულ კვირას ბათუმში ახალი მეჩეთის აშენების ინიციატივით „მუსლიმთა თემმა“ საპროტესტო აქცია გამართა, რომელზეც წარმოდგენილ იქნა 12 000 ხელმოწერა, რომელიც საინიციატივო ჯგუფმა შეაგროვა. როგორც აქციაზე ითქვა, საინიციატივო ჯგუფი ამ ხელმოწერებს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესა და საქართველოში აკრედირებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს გადაუგზავნიან. აღსანიშნავია, რომ – ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო საერთოდაც არ განიხილავს!

როგორც ეტყობა, აჭარაში ვითარების დაძაბვას მართლაც უნდა ველოდოთ, რადგან გარდა იმისა, რომ რელიგიური თემატიკა ყოველ არჩევნებზე აქტუალური ხდება, არც ქვეყნის გარედან დაფინანსებული ძალები სხედან გულხელდაკრეფილები და ვის აწყობს ამგვარი რყევები ქვეყანაში, თავად განსაჯეთ, ძვირფასო მკითხველო! „საერთო გაზეთის“ დღევანდელი სტუმარი კი ბატონი ასლან ფალავანა, რომელიც ვრცლად გვესაუბრება იმ ყველაფერზე, რამაც შესაძლოა ვითარება დაძაბოს აჭარაში...

– ბატონო ასლან! გასული კვირის ხუთშაბათს „ფეისბუკზე“ რიტორიკული სტატუსი დადეთ: „ვის დასჭირდა ე. წ. „მუსლიმთა თემის“ გააქტიურება!“-ო? იქნებ გვითხრათ, თქვენი სტატუსი რამ განაპირობა და რა მოხდა ბათუმში ისეთი, რამაც ასე აღგაშფოთათ?

– უპირველესად მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველს და მადლობა მინდა გითხრათ თქვენ ამ თემით დაინტერესების გამო...

მოხდა ის, რომ ამ რამდენიმე დღის წინ ბათუმში გაიმართა ერთობ ხმაურიანი აქცია, რომელზეც კატეგორიული მოთხოვნები გაჟღერდა და რომელზეც აქციის მონაწილეებმა მთავარ მოთხოვნად დააყენეს – ბათუმში ახალი მეჩეთის აშენების აუცილებლობა! აგრეთვე, მოითხოვეს ამ მეჩეთის ასაშენებელი ტერიტორიაც და მთელი რიგი სხვა მოთხოვნებიც იმ კონტექსტში დააყენეს – თუკი ეს ყველაფერი არ შეგვისრულეთ „ცულს მოვიტანთ ცუნცულასა, ხელეჩოს და წალდუნასაო“... მეტიც, აქციის მონაწილეები დაიმუქრნენ, რომ უფრო ხალხმრავალ აქციებს მოაწყობენ, მიმართავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, თუკი ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს...

– ვინ არიან „მუსლიმთა თემი“ დამოუკიდებელი ორგანიზაცია თუ სამუფთოსთან ასოცირებული ჯგუფი?

– აი, ეგ არის ძალიან კარგი შეკითხვა და შევეცდები, თქვენმა მკითხველმაც კარგად გაიგოს, რასთან გვაქვს საქმე... ე. წ. „მუსლიმთა თემი“ 2004 წელს გამოჩნდა ქართულ სივრცეში (თუ შეიძლება ასე ითქვას)... ანუ, ეს ორგანიზაცია გამოჩნდა მალევე, როგორც კი შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველ მუსლიმთა კავშირი“. აი, ამ ორგანიზაციების შექმნის შემდეგ კი ინერგება ტერმინი „მუსლიმური თემი“, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან საზიანოა ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ეს ტერმინი და რეალობა – პირდაპირ უსვამს ხაზს ქართველთა დაყოფას რელიგიური ნიშნით! ქართველო ქართველია იქნება ის მუსლიმი, კათოლიკე, მართლმადიდებელი, ლუთერანი თუ ა.შ. ჰოდა, ამათი დაყოფა რელიგიური ნიშნით როგორ შეიძლება? ეს ხომ პირდაპირ ანტისახელმწიფოებრივი ქმედება იქნება, არა?! აი, ეს „მუსლიმთა თემი“, მოყოლებული 2004 წლიდან, ნელ-ნელა ძლიერდება, საკმაოდ სოლიდურად ფინანსდება მეზობელი ქვეყნებიდან და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათმა დაფინანსებამ იმ მასშტაბებსაც მიაღწია, რომ არამხოლოდ მთელი რიგი პროგრამები განახორციელეს, არამედ საქველმოქმედო ღონისძიებების შესაძლებლობაც გაუჩნდათ იმისთვის, რომ მათი რიგები უფრო შეივსოს და უფრო მეტი ადამიანის გადმობირების საშუალება ჰქონდეთ! ისინი საუბრობენ ქართველი მუსლიმების სახელით მიუხედავად იმისა, რომ – აჭარაში არსებობს სამუფთო, ჰყავთ მუფთი, რომელიც საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა ერთ-ერთი ლიდერია და ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ არც მუფთი და არც სამუფთო ბათუმში ახალი მეჩეთის აგებას არ ითხოვს! თქვენი ნებართვით ერთ ფაქტს შეგახსენებთ... ამ რამდენიმე წლის წინ, საქართველოს მთავრობამ გამოჰყო 4 მილიონი ლარი, აგრეთვე გამოჰყო მიწის ფართობი იმისათვის, რომ სამუფთოს რეზიდენცია აშენებულიყო. ეს კეთილი ჟესტი კი იმიტომ განხორციელდა მთავრობის მხრიდან, რომ იყო პრეტენზია გარკვეული ჯგუფებისა, რადგან ბათუმის ჯამეშია რეზიდენციაა განთავსებული, მლოცველები ველარ ვეტევითო... ეს მოთხოვნა მალევე დაკმაყოფილდა – გამოიყო თანხა, მიწის ნაკვეთი და სამუფთოს რეზიდენცია გავიდა ჯამედან... თუკი ახალი მეჩეთის მშენებლობის აუცილებლობა მართლაც იდგა და მლოცველები ველარ ეტეოდნენ, სამუფთოს ახალი რეზიდენციის ეზოში, როგორ ფიქრობთ, ახალ მეჩეთს არ ააშენებინებდნენ? მაგრამ... ახლა, ისევ და რატომღაც კვლავ გააქტიურდნენ, დააყენეს ახალი მეჩეთის აშენების საკითხი და ეს გასაგებიცაა, რატომ...

– რატომ? განა სამუფთოს და ორგანიზაციას „მუსლიმთა თემის“ ერთმანეთთან კოორდინაცია არ აქვთ?

– ისინი ერთმანეთთან არიან ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში და, მეტიც, მიუხედავად ამისა, მე არ მსმენია, რომ სამუფთოს ისინი მიუხედავად ყველაფრისა გაეკრიტიკებინოს. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციას „მუსლიმთა კავშირი“ და „მუსლიმთა თემი“ აქტიურად უპირისპირდება, აკრიტიკებს სამუფთოს და ბრალს სდებს მათ – ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში! მე თუ მკითხავთ, ეს თუ მართლაც ასეა – ძალიანაც კარგი იმიტომ, რომ ხელისუფალთა და რიგი კონფესიების ურთიერთთანამშრომლობით მთელ რიგ სახელმწიფოებში არაერთი საჭირბოროტო საკითხო დადებითად გადაჭრილა და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა კონსტანტინეპოლის პატრიარქს სახელმწიფო არ ნიშნავს?!

– როდესაც თქვენ სოციალურ ქსელ ფეისბუკში ზემოთხსენებული სტატუსი გამოაქვეყნეთ, მაშინვე გაჩაღდა ურთიერთსაპირისპირო არგუმენტების მოყვანა იმის შესახებ, უნდა აშენდეს თუ არ აშენდეს ბათუმში ახალი მეჩეთი და ერთერთმა მოქალაქემ ბატონმა თემურ გორგაძემ ისიც კი დაწერა, რომ – „მუფთი პირდაპირ „სუსმა“ დანიშნაო!

ტარიელ ნაკაიძე

– ნუ, ახლა ეს პარალელური სტრუქტურები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს რომ აკეთებენ, არახალია... ისინი ხან ამბობენ, რომ არ ერევიან მუფთის საქმიანობაში, რომ მათი მიზანი ეს არ არის და იქვე ამბობენ იმასაც, რომ მუფთს არ ემორჩილებიან და მის კომპეტენციას ეჭვქვეშ აყენებენ... ესეც

გასაგებია, რატომ ხდება ასე... ასეთი პროვოკაციული ქმედებები ჩვენ ორ მეზობელ ქვეყანას შორის პოლიტიკურად დაძაბული ვითარების ფონზე აქტიურდება ხოლმე, რადგან ორივე მათგანი ცდილობს(რუსეთი და თურქეთი) ჩვენში დაამკვიდროს თავისი ინტერესები და სამწუხაროდ, მე ვერ ვატყობ, რომ ამ ყველაფრის აღმოსაფხვრელად ჩვენი ხელისუფლება რაიმე ქმედით ნაბიჯებს დგამს!

– ბატონო ასლან! თქვენ აჭარაში ერთ-ერთ მაღალ თანამ,დებობაზე მუშაობდით მაშინ, როცა აჭარის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე იყო. როგორც მე მახსოვს, ბათუმის ჯამეში მლოცველთა რაოდენობა, მართალია, დიდი კი იყო, მაგრამ არა იმდენად, რომ შენობაში ვერ დატეულიყვნენ... მეორეც, დღეის მდგომარეობით, ბათუმის ჯამეს მიმდებარე ტერიტორიაზე და ლამისაა, მის ეზოშიც კი, ბიზნეს ობიექტებია გახსნილი, როგორიცაა კაფეები, ჩაიხანები, სასტუმრო და ა.შ. იქნებ უფრო უპრიანი იქნებოდა, ჯამეს ტერიტორიიდან ამ ობიექტების გადატანით მოგვარებულიყო მლოცველთა პრეტენზიები „ვერ ვეტევითო“, ვიდრე ახალი მეჩეთის აგება, რომელიც დიდი თანხების გარდა სხვა პრობლემებსაც შექმნის?

– მოგეხსენებათ, რომ მე ბათუმელი გახლავართ და ძალიან კარგად ვიცი ის განწყობები, რომელიც დღეს სუფევს იქ... ბოლოსდაბოლოს ორჯერ არჩეული დეპუტატი ვარ ბათუმიდან და ხელვაჩაურის რაიონიდან... მე ვერავინ ვერ დამარწმუნებს იმაში, რომ ქ. ბათუმში იმდენი მუსლიმი მორწმუნე იყოს, რომ ჯამეში სისტემატიურად დადიოდეს და მითუმეტეს ადგილი არ ჰყოფნიდეთ ლოცვისთვის! ბოლოსდაბოლოს, მთელ ბათუმს ვიცნობ და ასეთს ვიცნობ რამდენიმეს, ანუ ამით იმის თქმა მინდა, რომ ბათუმის ცენტრალურ ჯამეში სალოცავად ძირითადად ის ხალხი დადის, ვისაც ბათუმში სოფლიდან ჩამოტანილი ჭირნახული დააქვთ ბაზარში და ვენაცვალე თითოეულ მათგანს იმისთვისაც რომ იცლიან, ილოცონ!

დღესასწაულებზე, მოგეხსენებათ, ბევრი ადამიანი ჩამოდის სოფლებიდან ბაზარში, ჰოდა, სწორედ აი, მაშინ არის ხოლმე პრობლემა ჯამეში შესვლისა, მაგრამ განა სხვა დანარჩენ სალოცავებში, იგივე ეკლესიებსა თუ სინაგოგებში დღესასწაულებზე იგივე პრობლემა არ დგას? თითქმის ყოველთვის მორწმუნეების უდიდესი ნაწილი ხომ ეზოშია თავმოყრილი და ლოცულობს? ე. ი. თუკი პრობლემა ის არის, რომ მუსლიმურ დღესასწაულებზე მორწმუნეთა რაოდენობა ცენტრალურ ჯამეში ვერ ეტევა, მაშინ ლოგიკურია, რომ სწორედ ამ ჯამეს გაფართოებაზე უნდა იზრუნონ, ხომ? მაგრამ... აქ ახალი მეჩეთის შენების მეორე მიზეზსაც ასახელებენ და ამბობენ, რომ აჭარაში – ბევრი უცხოელი ჩამოდის და ჩვენ მათ ხომ ვერ დავუშლით შემოსვლასო? კი, ბატონო! ლოცვას ვერავის დავუშლით, მაგრამ იგივე „მუსლიმთა თემი“-ს ხელმძღვანელების გასაგონად ვამბობ, რომ მთელ მსოფლიოში საერთაშორისოდ აღიარებული და მიღებულია, რომ თუკი მუსლიმი უცხოელების დიდი რაოდენობა იკრიბება ამა თუ იმ ქალაქში და მათ სურთ თავიანთი რელიგიური რიტუალების აღსრულება, ისინი ამას ქუჩაში აკეთებენ და ამისთვის მათ ჯამეებს არავინ უშენებს! ამიტომაც ვიძახი და ვეუბნები მათაც – მოდით, ჯერ დათვალეთ ქ. ბათუმში რამდენი მუსლიმი ცხოვრობს, ამათგან რამდენი დადის ჯამეში სისტემატიურად, დაითვალოს აგრეთვე, რამდენი მუსლიმი ლოცულობს სისტემატიურად რაიონებში და ამის შემდეგ ვიმსჯელოთ – არის თუ არა იმის აუცილებლობა, რომ ახალი მეჩეთი აიგოს? ყველა მლოცველი ხომ ბათუმში არ დაიარება და ცენტრალურ ჯამეში არ ლოცულობს? ფაქტია, რომ ყველა რაიონში ფუნქციონირებს ჯამე და, აბა, მითხარით, რა უშლით მათ ხელს, რომ თავიანთი რელიგიური რიტუალები აღასრულონ? მე მგონია, რომ არავინ უშლით და პირიქითაც კია...

– „ბაღნები დეიზარდნენ, დადიან სალოცავად 15-20 წლის ბიჭები და რა ვქნათ, არ შემოვუშვათო?“ – გკითხათ ბატონმა თემურ გორგაძემ...

– კი. ბატონო, იარონ, მაგრამ ბათუმის ჯამე გააფართოვონ, რა უშლით ხელს? თქვენ ხომ დაუსვით შეკითხვა ბატონ მერაბს: „ვის ეკუთვნის ის ბიზნეს ობიექტები, რომელიც ჯამეს ტერიტორიაზეაო?“ – რაზედაც გიპასუხათ, რომ: „ნაწილი თურქ ბიზნესმენებს და ნაწილი ქართველ ბიზნესმენებსო!“ თუ მაინცდამაინც კომერციულ საქმიანობაზეა საუბარი, არც მე მაქვს პრეტენზია ვინმემ ინვესტიცია განახორციელოს საქართველოში, კი, ბატონო, შემობრძანდნენ და დახარჯონ ფული, თუნდაც იმუშაონ, ოღონდ – როდესაც ეს ტერიტორია ჯამეს ეკუთვნის და რელიგიური აღმსარებლობის განმეჩეთის აშენების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენოს და თანაც, თქვენ როგორ ფიქრობთ – ისინი, ყველა სისტემატიურად დადიან ჯამეში? მეორეც – ამ ადამიანებს ჩემთვის ზუსტად იგივე უფლებები აქვთ, როგორიც ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს და როგორც საქართველოში დაბადებულ ნებისმიერ მუსლიმს.

– ბატონო ასლან, თქვენ ალბათ იცნობთ, ან გსმენიათ რამე „მუსლიმთა თემის“ თავკაცი, ვინმე – ტარიელ ნაკაიძეზე და იქნებ ჩვენს მკითხველსაც უამბოთ, ვინ არის ეს ადამიანი?

– მე მას მხოლოდ გამარჯობის დონეზე ვიცნობ, მაგრამ იმ ქმედებებით, რომლითაც იგი დროდადრო შეგვახსენებს ხოლმე თავს – არა მგონია, ქართულ საქმეს ქართული სახელმწიფოებრივი თუ ზოგადად ქართველი ერის ინტერესების ერთიანობის საქმეს ემსახურებოდეს!!! თუ მე ვცდები, კი, ბატონო, მაგრამ მე არც ის მგონია, რომ ტარიელ ნაკაიძე თუნდაც და განსაკუთრებით, ქართველი მუსლიმების სასიკეთო საქმეს ემსახურებოდეს! თქვენ, ქალბატონო ირინა, შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ მე ქართველი მუსლიმების გარემოცვაში გავიზარდე, მყავს უამრავი ნათესავი და მეგობარი ქართველი მუსლიმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც მათ და არც მე არ გვგონია, რომ საქართველოში უნდა არსებობდეს „მუსლიმთა თემი“ და მითუმეტეს – შანტაჟის ენით ელაპარაკებოდეს სახელმწიფოს!!!

– ვიდრე ინტერვიუს ჩასწერად დაგირეკავდით, ბათუმში ერთ-ერთ ყოფილ მაღალჩინოსან ძალოვანს გადავურეკე და ვკითხე – აქვს თუ არა რაიმე ინფორმაცია „მუსლიმთა თემის“ ლიდერ ნაკაიძეზე? პირველი მისი რეაქცია ჩემს შეკითხვაზე იყო – გადახარხარება და შემდეგ პასუხი: „ნაკაიძე ტარიელა ცნობილი აგენტია ჯერ კიდევ ადრე და საერთოდ, ვინც ფულს მისცემს, იმისი აგენტიც გახდებაო! ახლა თურქეთსა და რუსეთს ერთდროულად ემსახურება, მაგრამ თუ გამოჩნდა, მესამე, მეოთხე ან მეხუთე ქვეყანა – არც იმათ ფულზე იტყვის უარს!-ო.

– რადგან ის ადამიანი, ვინც ხორციელებას რაღაც ფორმით ხელს უშლის, მაშინ კეთილი ინებონ, მოელაპარაკონ ერთმანეთს და ან ბიზნესი გავიდეს იმ ტერიტორიიდან, ანდა სამლოცველოს შესაბამისი იერსახე მისცენ იქაურობას! ხომ არ შეიძლება მუდმივად შანტაჟის ენით ელაპარაკო შენს ქვეყანას – თუ მეჩეთს არ ამიშენებ, საპროტესტო აქციებს გავმართავ და მსოფლიოს გავაგონებო?

– ბატონო ასლან, ცნობილი ფაქტია, რომ აჭარაში მუსლიმთა რაოდენობამ იმატა ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეზობელი თურქეთის სახელმწიფოდან ასობით მოქალაქე დასაქმდა ჩვენში და მეორეც იმიტომ, რომ – გაქრისტიანების, ანუ ყველაზე პირველი ქრისტიანების აჭარლების დედა-რელიგიაზე დაბრუნების პროპაგანდა მინავლდა, არადა, ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში ყველას გვახსოვს – მასიური ნათლობების რიტუალები ზღვაში, მდინარეებში და ჩარჩქერების ძირშიც კი... აღარაფერს ვამბობ მართლმადიდებლური ტაძრების შშენებლობასა თუ რესტავრაციაზე...

– ქალბატონო ირინა, მე როგორც ვიცი, თურქეთის და ახლა უკვე საქართველოს მოქალაქეობა მიღებული ეროვნებით თურქი ადამიანების რიცხვი არც იმდენად დიდია, რომ ამ რაოდენობამ თუნდაც ახალი

თქვენ ეს გიტხრათ, ამას ამბობს, ე. ი. მას გარკვეული ინფორმაციაც აქვს და არ აქვს მნიშვნელობა, ყოფილი მაღალჩინოსანია თუ მოქმედი!

– თქვენი ფეისბუქ ოპონენტები იმ არგუმენტებსაც იშველიებენ, რომ მაშინდელმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა არა მხოლოდ მათთან, არამედ რეჯეფ ტაიპ ერდოღანთანაც დადო პირობა და თქვა, რომ ბათუმში ახალ მეჩეთს ჩემი ფინანსებით ავაშენებო! ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ვისმენდით მე და თქვენც, ისევე, როგორც მტელი საქართველო...

– მართალი გითხრათ, როდესაც ეს დაპირება მოვისმინე, მეც არ მესიამოვნა, მაგრამ მაშინ ხომ გახსოვთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია-მოვლის საკითხები განიხილებოდა აქტიურად და ორი ქვეყნის ლიდერებმა განცხადებებიც გააკეთეს ამის თაობაზე! მაშინ აზიზიეს სახელობის ჯამესთან დაკავშირებით, მის აღდგენაზე იყო დიდი ვნებათაღელვები, რითაც ზოგიერთებმა პოლიტიკურადაც ისარგებლეს, მოიპოვეს რა – დეპუტატობის მანდატებიც კი, მაგრამ დაპირება მაინც შეუსრულებელი დარჩა, ხომ? მე ვერც იმაში ვერ ვხედავ პრობლემას, თუკი იგივე „აზიზიე“ რაღაც ფორმით აღდგება, სამუზეუმო დანიშნულება მიეცემა მას და ეს ჩემი ქვეყნის ინტერესებისთვის სასარგებლოდ იქნებოდა გაკეთებული, მაგრამ – ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ის, რომ თუნდაც ჩემი ქვეყნისადმი მეგობრულად განწყობილმა მეზობელმა, რომელმაც 90-იან წლებში დამოუკიდებელ საქართველოს ბევრი სიკეთე გაუკეთა ნებისმიერი მიმართულებით – ჩემი ქვეყნის ხელისუფლებისგან ითხოვდეს თუნდაც სალოცავების აგებას, რადგან მიმაჩნია, რომ ეს სხვა ქვეყნის საქმეებში, რბილად რომ ვთქვა, უხეში ჩარევაა! აქვე ვაფიქსირებ იმასაც, რომ თურქეთის სახელმწიფოსადმი მე ანტაგონისტურად განწყობილი არ ვარ და ვიმეორებ იმასაც, რომ კარგად მახსოვს, რა სიკეთე გაუკეთებიათ მათ საქართველოსთვის, გნებავთ, 90-იანებში და, გნებავთ, ახლა! მაგრამ... ქვეყნის პრემიერ-მინისტრი რომ ხარ, ჩადიხარ უცხო ქვეყნის ლიდერთან, დებ პირობას იქ და შემდეგ უკვე აქ, შენს ამომრჩეველთან ამბობ, ჩემი დაფინანსებით აღვადგენ „აზიზიეს“ მეჩეთსო და შემდეგ ამ სიტყვას არ ასრულებ, ჩემი აზრით – უპასუხისმგებლობაა! ამიტომაც, აი, ამ შეუსრულებელი დაპირებების გამოძახილი ხდება ხოლმე ის, რაც დღეს ხდება! მშობელი, როცა კი რაიმეს დაპირდება ხოლმე შვილს, იმ პირობას ასრულებს, რათა მისი ავტორიტეტი შვილის თვალში არ დაეცეს და როცა ვერ უსრულებს, მაშინ უხსნის ამ სურვილის შეუსრულებლობის მიზეზი რა გახდა, ხომ? ასე უნდა მოიქცეს სახელმწიფოს ხელმძღვანელიც და, ჩემი აზრით, ყოველგვარი დაძაბულობაც მაშინვე მოიხსნება!

– ბატონო ასლან, როგორც უკვე მოვახსენე მკითხველს, თქვენ ასლან აბაშიძის დროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ბრძანდებოდით და იცით, რა მითხარით? მაშინაც ხომ იყო რაღაც პრეტენზიები ქართველი მუსლიმების მხრიდან და ასლან აბაშიძე მათ მოთხოვნებს რა გზებით ჭრიდა? ანუ, როგორ აგვარებდა ასლანი მათთან პრობლემებს ისე, რომ ამის შესახებ არც არავინ არაფერი იცოდა?

– მე, როგორც იმ ხელისუფლების ნაწილი, ვამბობ იმას, რომ უამრავი ნაკლოვანებები არსებობდა მართვისა, მაგრამ ასლან აბაშიძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს – ეროვნული საკითხები ყოველთვის უპირველეს ადგილზე იდგა და

Temur Gorgadze ალბათ ისიც იცით მუფთი ვინ დანიშნა და რა მეთოდებით ხოო?!
ნუ გასაგებია ბატონო ასლან თქვენი აზრი..სამწუხაროა...
4 თებერვალი, 22:44-ზე

ასლან ფალავა და ისინი ვინ დანიშნა თემურ, ვინ თავის თავს "მუსლიმურ თემს" უწოდებს?
1 · 5 თებერვალი, 0:11-ზე · ჩასწორებული

Temur Gorgadze არავინ არ ჩამოდის ბატონო ასლან და არამგონია თქვენისთანა კაცს იმის გეკეროდეტ რომ ყოველ პარასკევს ბიძაჩემი ხულოდან სალოცავად ბათუმში დადის
4 თებერვალი, 22:45-ზე

Temur Gorgadze არა ბატონო ასლან..სუსმა პირდაპირ სუსმა...
4 თებერვალი, 22:45-ზე

ასლან ფალავა ჩამოდიან თემო და ახლა ისეთ რამეს მეუბნები, რაც აშკარად არ არის მართალი. ბაზარში ჩამოდიან და მერე მანდ მოდიან. ყოველდღე არა, ჯუმას
4 თებერვალი, 22:46-ზე

ასლან ფალავა სუსი ჩემი სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურია თემურ, რა გაქვს მისი საწინააღმდეგო? და ისინი ვინ დანიშნა, თავის თავს მუსლიმური თემის ლიდერებს რომ უწოდებენ?

Ira Gogosashvili ჩაიხანებზე და კაპეებზე მიპასუხეტ, გელოდებით თან ისიც დაცერეთ ვის ეკუთვნის ეს ობიექტები.... მე ისედაც ვიცი
1 · 4 თებერვალი, 23:07-ზე

Temur Gorgadze ბატონო ასლან..სამწუხარო იცით რაა პირადად ჩემთვის როგორც რიგითი ქართველი მუსლიმისთვის..
ის, რომ თუ ბაზარში ჩამოდის ხალხი და შემდეგ სალოცავად მოდის (ნუ ჯერ ერთი ეგრც ვერ გავიგე რა ლოგიკაა მაშინ როცა მგზავრხე ჯუმა ნამაზი "ფარძი" აუცილებელი) არაა) ე.ი მაშ... იხილეთ მეტი
4 თებერვალი, 23:08-ზე

Temur Gorgadze მიმდებარე კაფეები გაქირავებულია და ეკუთვნის ნაწილი თურქ ბიზნესმენებს ნაწილი ქართველ ბიზნესმენებს..ხოლო საკუყრება ოფიციალურსდ არის სახრლმწიფოსი და ქირის საფასურს იღებს სამუფთო..

Temur Gorgadze და რა ვქნათ ბატონო ასლან რომ არ არის ბათუმელი არ შემოვუშვათ.....
კიდე ერთხელ გეყბნებით ეგეც არ არის სწორი მაგრამ ვთქვაყ რომ ეგრეა რა ვქნათ ავუკრძალოთ ხალხს ჯუმა დღეს ბაზარში ჩამოსვლაა..
კარგით რაა ნუთუ თქვენც იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომელიც ამკიცებენ რომ ხალხი სპეციალურად ჩამოგყვას რომ აქ ვალოცვოთ.
4 თებერვალი, 23:17-ზე

ასლან ფალავა ვინ გითხრათ, არ შემოუშვათ მეთქი კაცო? გითხარი ზემოთაც და გაგიმეორებ: თუ ვერ ეტევით, გაფართოეთ ეს ჯამე, მესმის, რომ ადამიანებს ცენტრალურ ჯამეში ლოცვის სურვილი შეიძლება ჰქონდეთ. რატომ მართავთ მიტინგებს და იწვევთ დაძაბულობას?
5 თებერვალი, 0:16-ზე · ჩასწორებული

Temur Gorgadze და თქვენ რა პრობლემას ხედავთ იმაში რომ ავაგოთ მეორე ნუ თუნდაც ხოფის ტერიტორიაზე ან სადმე სხვაგან მოშორებით
1 · 4 თებერვალი, 23:38-ზე

ასლან ფალავა ბევრი პრობლემაა როგორც ჩანს თემურ. მთავარი კი ჩემი აზრით ის არის, რომ ვიღაცებს ხელსუფლების დაშანტაჟება უნდათ, შანტაჟის გზით ასეთი რამის გაკეთება არ შეიძლება, ანტისახელმწიფოებრივია.
4 თებერვალი, 23:40-ზე · ჩასწორებული

Temur Gorgadze შანტაჟის მიზეზის მოსპობაა მარტივია.ჯერ კიდე ბიძინა ივანიშვილმა დადო მეჩეთის აშენების პირობა (ჯერ ერდოღანთან შეხვედრისას (რაც ჩემი აზრით არასწორი იყო) და შემდგ მუსლიმებთან შეხვედრისას) დს შემდეგ ღარიბაშვილმა, მაგრამ..... ის მაგრამაა რომელიც წლებია სიმსივნედ იქცა....

თუკი ბატონი ასლანი დაინახავდა, რომ ამ ეროვნულ ინტერესებს რაიმე პრობლემა საფრთხეს უქმნიდა, მაშინვე, დასაწყისშივე სპობდა მას და ასლანს ამ მხრივ თავისი მეთოდები ჰქონდა!!! როგორც კი, წამოვდოდა ხოლმე რაიმე პრეტენზია ან განცხადებით მოგვმართავდნენ, მაშინვე ერთვებოდა ხელისუფლება, ხოლო თუ პროვოკაციის ელფერი დაჰკრავდა ხოლმე რაიმე მოთხოვნას – მაშინვე აღკვეთდა! გაიხსენეთ, აბა? მაშინაც ჰქონდათ მოთხოვნები იგივე ჯამეების რესტავრაციასთან და მინარეთის დადგმასთან დაკავშირებით, რაც მინარეთის შემთხვევაში დაუკმაყოფილდათ კიდეც, მაგრამ რისი შესაძლებლობაც მაშინ ფინანსურად არ იყო, იმას როგორ დაპირდებოდა? მახსოვს, ერთ-ერთი ასეთი პრობლემის დროს სოციალური საკითხები მოუგვარა და ამით დასრულდა ყველაფერი. ანუ, ბატონ ასლანს პრობლემის მოგვარების თავისი მეთოდები ჰქონდა და იყო კიდეც სიმშვიდე ამ თვალსაზრისით!

– ჩემი ბოლო შეკითხვა ასეთია – რუსეთ-თურქეთის ამჟამინდელი დაძაბული პოლიტიკური ორთაბრძოლა შესაძლებელს თუ გახდის იმას, რომ რელიგიური ნიშნით აჭარაში ვითარების ესკალაცია მივიღოთ? ანუ, ამ ორი ქვეყნის ინტერესებში რამდენად შეიძლება მოექცეს ის კუთხე, რომლის შექმნაზეც (ვგულისხმობ ავტონომიას) თავის დროზე რუსეთმა და თურქეთმა ასე იზრუნეს?! რას ეტყოდით თქვენს თანამოქალაქეებს ბათუმელებს და მთლიანად აჭარის მოსახლეობას ამ ვითარებაში?

– უმორჩილესად ვთხოვ ყველას, გავიხსენოთ ჩვენი წინაპრები, რომლებმაც მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, პოლიტიკურად ურთულეს ვითარებაში შესძლეს ქართული ეროვნული სხეულის ისე გამთლიანება, რომ რელიგიური გაყოფის საკითი საერთოდ არ დამდგარიყო დღის წესრიგში! არც მემედს, არც გულო-აღას, არც ჰაიდარს და არც ჯემალს, არცერთ იმ მოღვაწეს, რომლებიც მაშინ იყვნენ და შეგვინარჩუნეს ბათუმ-აჭარა, თავისი თავისთვის უფლება არ მიუციათ, რომ რელიგიურ თემებზე საჯაროდ ესაუბრათ და საქმე რაიმე სახის დაპირისპირებამდე მიეყვანათ!!! ისინი ამ ქართულ-მამულიშვილურ საქმეს აკეთებდნენ უხმაუროდ და ზუსტად ისე, როგორც ამას მათი გვარიშვილობა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული კარნახობდა!

ინტერვიუ ჩაწერა
ირინე გოგოსაშვილმა
555 25 43 35

ჩემი და ჩემი თაობის დიდგორიც და ბასიანიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის თავდაუზოგავი შრომაა

ექსკლუზიური ინტერვიუ „Grande Group Georgia“-ს დირექტორთან და ერთ-ერთ დამფუძნებელთან **კონსტანტინე მორგოშიასთან.**

– თქვენი კომპანიის სახელწოდება ასე ითარგმნება: „დიდი ქართული ჯგუფი“. ერთგვარად პრეტენზიული და მრავლისმთქმელი დასახელებაა. მოგვიყევით, რას საქმიანობთ, რა გააკეთეთ, რას აპირებთ?

– ჩვენი კომპანია აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ ინვესტორებთან, ძირითადად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნებში იმ ხალხთან, რომლებსაც სურთ ინვესტიციები განახორციელონ საქართველოში. მაგრამ, რაც ყველაზე საინტერესოა, ჩვენი ინვესტორები არიან ეთნიკურად ქართველი ბიზნესმენები, რომლებიც წლების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობდნენ.

პირადად მე, დაახლოებით, წელიწადნახევარია, რაც კომპანიას ვხელმძღვანელობ.

პროექტები, რომლებსაც ეტაპობრივად ვახორციელებთ, 125 მლნ. ლარამდე ღირებულებისაა.

ძირითადად ორიენტირებულნი ვართ სოფლის მეურნეობაზე, ტურიზმზე, სასტუმროების კუთხით და ფარმაცევტულ ბიზნესზე.

პირველ ეტაპზე სამუშაოები მცხეთაში გავშალეთ.

– ახალგაზრდა ხართ. როდის და როგორ მოახერხეთ ბიზნესსაქმიანობაში გამოცდილების დაგროვება ისე, რომ მილიონიან პროექტებს ეჭიდებით?

– პროფესიით ბანკირი ვარ. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ბანკში ვმუშაობდი სხვადასხვა პოზიციებზე. ბოლო წლებში სტანდარტ-ბანკისა და კორსტანდარტ-ბანკის მცირე და საშუალო დაკრედიტების დეპარტამენტის უფროსი ვიყავი. „Grande Group Georgia“-ს 2014 წლიდან, ანუ დაარსების დღიდან ვხელმძღვანელობ.

– მცხეთის პროექტზე საუბრობდით...

– მცხეთაში კერამიკულ ქარხანასთან ჰექტარნახევარი მიწის ფართობი შევიძინეთ ორი კერძო პირისგან, ეკონომიკის სამინისტროსგან ხუთი ნაკვეთი, მცხეთის მუნიციპალიტეტისგან ერთი ფართობი და სანიჩბოსნო კლუბის ბოლო სართულის ტერასა, რომელიც ემიჯნება ჩვენს მიერ შეძენილ ნაკვეთებს.

ინვესტიციების მოზიდვა წინა წლებთან შედარებით გაიოლებულია, რადგან ქვეყნის გარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები კარგად ხედავენ უკვე, რომ შესაძლებელია საქართველოში ინვესტიციების ჩადება და ბისნესსაქმიანობის წარმოება. ქვეყანაში უფრო მშვიდი გარემოა და პოლიტიკური ვითარებაც სტაბილურობისკენ მიდის.

რაც შეეხება თვით ინვესტიციას, ამაზე მაქვს საკუთარი შეხედულება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საინვესტიციო კომპანიას ვხელმძღვანელობ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენს თაობას ალბათ არ მოუწევს დიდგორის და ბასიანის ომი, მაგრამ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ეკონომიკით. თუ ინვესტიციები არ მოიზიდება, საწარმოები არ აშენდება, არ იქნება სამუშაო ადგილები და ხალხი იქნება გაღატაკებული და გაჭირვებული. ჩვენ უნდა გავხსნათ რაც შეიძლება მეტი საწარმო, შეიქმნას სამუშაო ადგილები...

საქართველოში არაა ენერგომატარებლები, მაგრამ გვაქვს სერიოზული ტურისტულ-რეკრეაციული ზონები, არის მინერალური და მტკნარი წყლების უზარმაზარი რესურსი, თუ ავიღებთ განვითარების სხვა ვექტორს და აქცენტებს გავამახვილებთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება-მიღება-ექსპორტირებაზე, მოსალოდნელია, აქაც გვქონდეს დიდი წარმატებები. ამას დავუმატოთ მშენებლობა, მომსახურება, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა. ამ უკანასკნელზე დიდი ინვესტიციების განხორციელებას აპირებენ; ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს იმის რესურსი და პოტენციალი, რომ რეგიონში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა გავხდეთ.

კერამიკული ქარხნის აღორძინების გარდა მცხეთაში, სოფელ მუხრანში 170 ჰა-მდე მიწის ფართობი შევიძინეთ, სადაც იტალიიდან იმპორტირებული კაკლის ხეების დარგვა დავიწყეთ. 30 ჰა-ზე უკვე გავაშენეთ კაკლის ნერგები. 5 წელიწადში მოსავალს ველოდებით. ორ წელიწადში კი მთელი ფართობი გვექნება განაშენიანებული. იქვე ავაშენებთ ევროპული დონის გადამამუშავებელ საწარმოს, რომელიც მოემსახურება არა მხოლოდ კომპანიას, არამედ მოსახლეობიდანაც მივიღებთ კაკალს. გვექნება უმაღლესი დონის ლაბორატორია. კონტაქტებს დავამყარებთ იტალიურ მხარესთან პროგნოზული მარაგების ექსპორტის კუთხით.

10-15 ადამიანს მივავლენთ ევროპაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად აგრონომიული კუთხით.

პროექტი 9-10 მლნ-იანია. მას ემატება დახურული ციკლის ბეტონის ქარხანა, რომელიც ეკოლოგიურ საფრთხეს არ შექმნის.

სულ მალე გადაწყდება თიანეთში 200-ზე მეტი მსხვილფეხა საქონლის ფერმის მშენებლობის საკითხი.

სახელმწიფო სტრუქტურებთან შეთანხმება-კონსულტაციების შემდეგ უკვე გადამწყვეტ ფაზაშია ჩვენი პროექტი 15016 მლნ-იანი GMP სტანდარტების საწარმოს მშენებლობის თაობაზე. ვგულისხმობ A, B, C, D, E კატეგორიებს, რომლებიც საქართველოში დღემდე არ არსებულა. პროექტში ჩართულნი არიან ჩვენი ავსტრიელი და ინდოელი პარტნიორები. ერთ მათგანს 87 GMP წარმოება აქვს შექმნილი მსოფლიოს მასშტაბით. როგორც უკვე გითხარით, ვაპირებთ საქმიანობის გაფართოებას ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის კუთხითაც.

ეს მოკლედ ჩვენს ინვესტიციებთან და იმ პროექტებთან დაკავშირებით, რაც უკვე მიმდინარეობს და რასაც ვიწყებთ უახლოეს ხანებში.

კონტაქტები გვაქვს მთელი საქართველოს მასშტაბით მუნიციპალიტეტებთან. მერიებთან, საკრებულოებთან, ვამუშავებთ ერთობლივ პროექტებს, თუმცა ჯერჯერობით პროექტების უმრავლესობის ინსცენირებები არ მოგვიწყვია.

– კერძოდ, რა პროექტები გაქვთ?

– ამ ეტაპზე ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ, რადგან, ჯერჯერობით, პროექტების სრული კალკულაცია არ ჩაგვიტარებია, თუმცა, ვვარაუდობთ, რომ 5-6 პროექტი, სავარაუდოდ, მაინც იქნება ხელისუფლებისგან მოწონებული.

სისტემატური შეხვედრები გვაქვს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან – პრემიერ-მინისტრთან, ეკონომიკის მინისტრთან, ეკონომიკის სამინისტროში ქონების მართვის დეპარტამენტთან. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა პარტნიორობისა და ხელშეწყობისთვის სწორედ ეკონომიკის სამინისტროს, ქონების მართვის დეპარტამენტს.

განსხვავებული სიტუაციაა რეგიონებში.

ხელმძღვანელობას უჭირს გადაწყვეტილების მიღება, ფერხდება კომუნიკაცია მოსახლეობასთან. თითქმის ყოველდღე ვხვდები როგორც რეგიონების ხელმძღვანელობას, ასევე ხალხს და უნდა ითქვას, რომ შემორჩენილია ერთგვარი შიში ძველი რეჟიმის მმართველობისადმი. ხალხი, საზოგადოება, ნელ-ნელა გამოდის 9-წლიანი დეპრესიიდან. ეს ჩვენი საზოგადოების დამსახურებაა, პირველ რიგში. ხალხი, ასე ვთქვათ, სხვანაირად სუნთქავს, თავისუფლად, თუმცა კადრების პრობლემა არის რეგიონებში.

სხვათა შორის, ქვეყანაში ბევრი რამ ხდება კარგი, არის უამრავი კარგი პროექტი, ბევრი კარგი ინიციატივა, მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“, მუნიციპალური განვითარების პროექტი – ინვესტორებისა და ინვესტიციების წახალისების კუთხით, თუმცა ამის, ასე ვთქვათ, გაპიარება, ფაქტობრივად, არ ხდება. შესაბამისად, მოსახლეობამ არ იცის, რა სიკეთე შეიძლება მიიღოს ინვესტორისგან, ინვესტორიც არაა ინფორმირებული და ვართ იმ სიტუაციაში, როგორშიც ვართ.

საერთო ჯამში, რეგიონების ხელმძღვანელები სოლიდურად არიან წარმოდგენილნი, კარგი, კომპეტენტური ადამიანები არიან.

მაგალითად, ამ დღეებში ვიყავი კასპში, შესანიშნავი გამგებელი ჰყავთ, ასევე თიანეთში, მინდა მადლობა ვუთხრა მათ. ჩვენი ინტერესები დაემთხვა ერთმანეთს.

– ზემოთ ნაციონალურ მმართველობას რეჟიმი და დეპრესიული წლების პერიოდი უწოდეთ. თქვენც რომ არ შეგხებიათ „ნაციონალური ცელი“?

– თქვენ ხუმრობთ და მართლა ცელივით სხეპავდნენ განსხვავებული შეხედულებების ადამიანებს.

პირადად მე ციხეში გამომკეტეს, მაგრამ მოდით, ამას ახლა ნუ გავიხსენებთ.

მე საკუთარი შეხედულება მაქვს სააკაშვილის რეჟიმზე.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი მათ მმართველობას დემოკრატიულს არქმევდა, მიმაჩნია, რომ ეს იყო წმინდად ანტიდემოკრატიული მმართველობა.

ახლა ზოგი მათ ბოლშევიკებს ადარებს, მაგრამ ბოლშევიკებს ჰქონდათ იდეა, რომლის მისაღწევადაც იბრძოდნენ, ამათი იდეა ქართველი ხალხის შეურაცხყოფა, ტერორი, დამცირება, საბოტაჟი იყო და ეს დემოკრატია არ არის. ნაციონალური მმართველობა იყო რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი კრიმინალური ბანდა, უკიდეგანოდ ამბიციური, საკუთარი ინტერესების გამტარებელი ადამიანები, რომელთათვისაც ხალხი მეასეხარისხოვანი ღირებულება იყო. ყველაზე ცუდი, რაც მათ დასახასიათებლად შემიძლია ვთქვა, ესაა: მათ არ უყვარდათ ქართველი ხალხი.

– საუბარი თქვენი საქმიანობის შესახებ ქალაქ მცხეთაში განხორციელებული პროექტებით დაიწყეთ. რითი მიიპყრო მცხეთამ თქვენი განსაკუთრებული ყურადღება?

– მცხეთა, ტურისტული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ქალაქია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად, ამერკავკასიაში. ამდენი სიწმინდე იერუსალიმის შემდეგ მსოფლიოში არ არის. მიუხედავად ამისა, მცხეთაში არ არსებობს არც ერთი მაღალი კლასის სასტუმრო, სადაც შესაძლებელია მაღალი რანგის სტუმარი მიიღონ.

სასტუმროსთვის შევარჩიეთ ქალაქის ერთ-ერთი საინტერესო ლოკაცია, სადაც ავაშენებთ 14000კვ.მ. ბრენდულ ხუთვარსკვლავიან სასტუმროს. სასტუმრო ყოფილი კერამიკული ქარხნის ტერიტორიის მიმდებარედ აიგება და მისი ბიუჯეტი, დაახლოებით, 30 მილიონი ლარი იქნება. იქვე შეიქმნება ყველანაირი ინფრასტრუქტურა – დახურული და ღია რესტორნებით, ასევე ღია და დახურული საცურაო აუზებით, საკონფერენციო დარბაზებით.

შევისყიდეთ ორი იალქნიანი გემი, რომელიც მტკვრის 8-9 კმ-ზე გაასეირნებს ტურისტებს.

მუხრანის ტერიტორიებიც, ჩემი აზრით, საქართველოში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლველია, ნატახტრის აუზი უხვია მტკნარი და მინერალური წყლებით, თუმცა სხვა რეგიონებშიც ვმუშაობთ.

მაგრამ არის რეგიონები, სადაც გვიჭირს კომუნიკაცია.

მაგალითად, მარნეულში არის კომუნიკაციის სერიოზული პრობლემა.

ხელმძღვანელობას ვხვდებით, მაგრამ საკითხებისადმი მიდგომა რადიკალურად განსხვავებულია. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ინვესტორებს უყურებენ, როგორც დამპყრობლებს და არ უნდათ მიწების პრივატიზება მოხდეს, საქმე გაკეთდეს. ორიენტირებულნი არიან იმაზე, რომ მიწა თვითონ ჰქონდეთ იჯარით.

მეტი კომუნიკაცია არის საჭირო ამ ხალხთან. მეტი ახლობლობა, მეტი საერთოს პოვნა...

იქ ყოფნისას მითხრეს, რომ კარგი იქნებოდა, თუ მარნეულის მოსახლეოას შევხვდებოდი. მეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი, თუმცა მოსახლეობამ მოითხოვა, შევხვედროდი ადგილობრივ მოლას. ჩემთვის გაუგებარი აღმოჩნდა, რატომ უნდა მელაპარაკა სასულიერო პირთან ინვესტიციებზე. საბოლოოდ ჩვენი შეხვედრა მაინც არ მოხდა...

– თუ გსმენიათ რამე მცხეთაში განსახორციელებელი „ახალი იერუსალიმისა“ და „გეთსამანიის ბაღის“ პროექტის შესახებ? ამბობენ, ებრაელებს 49 ჰა მიწის ნაკვეთი ამ მიზნით უკვე აქვთ შესყიდულიო.

– დიახ, იყო ამაზე საუბრები, მაგრამ მხოლოდ იდეის დონეზე. ლაპარაკი იყო ჯვრის მონასტრის ქვედა მიმდებარე ტერიტორიაზე.

პირადად მე ყოველთვის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ამ პროექტის და უნდა გითხრათ, რომ არავითარი 49 ჰა მიწა არ არის მიყიდული ებრაელებისთვის. რამდენადაც ვიცი, სახელმწიფო არ აპირებს ამ ტერიტორიის გასხვისებას.

– კონსტანტინე, რას ფიქრობთ ერთსქესიანთა ქორწინებაზე. უნდა შევიდეს თუ არა საქართველოს კონსტიტუციაში კანონი ქალისა და ქალის, მამაკაცისა და მამაკაცის ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ?

– არ ვიცი, ვის აწუხებს ის, რომ ვერ ქორწინდება თავისივე სქესის ადამიანზე, მაგრამ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობისთვის ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი. ასეთი კანონი საქართველოში ვერასდროს ვერ ამუშავდება. ჩემი პირდაპირი კომპეტენცია რომ იყოს, ამ კანონს მხარს არ დავუჭერდი. ეს ჩვენს ტრადიციებს ეწინააღმდეგება და თუ საკითხი რეალობას მიუახლოვდა, პროტესტის დიდი ტალღა იქნება ჩვენი საზოგადოებისგან.

არავინ აპირებს მათ ჩაგვრას, მაგრამ დაუშვებელია ქალაქის ცენტრში არსებობდეს ე. წ. გეიკლუბები და სექსუალური უმცირესობების თავშეყრის ადგილები.

ან თუნდაც, როგორ შეიძლება გეი-აღლუმი ჩატარდეს იქ, სადაც 9 აპრილს ახალგაზრდების სისხლი დაიღვარა, თუნდაც მეტეხის ხიდზე მოაწყონ გეი-

მსვლელობა, იქ, სადაც ქრისტიანობის დამცველ ასი ათას მოწამეს თავი მოჰკვეთეს?!

მესმის სექსუალური უმცირესობების, ვცდილობ გავუგო მათ, მაგრამ მათაც უნდა ესმოდეთ ჩვენი და გაგვიწიონ ანგარიში.

მე ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი. ჩვენი დედა-ეკლესიის ერთ-ერთი შვილი და მიმაჩნია, რომ მეორედ მოსვლის წინ ადამიანებს არ ექნებათ პიროვნული იდენტობა, იცხოვრებენ ცხოველური ინსტინქტებით, დაკარგავენ ადამიანურ, ანუ ღვთიურ სახებას, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც დიდი ძალისხმევის შედეგად შეინარჩუნებენ ადამიანურ სახეს, მიიჩნევენ არანორმალურებად და გარიყავენ.

აქეთკენ მივდივართ, თუმცა სიმართლე ისაა, რომ ადამიანი უნდა იყოს და არის ღვთის ხატი და სახე და მაქსიმალურად უნდა ერიდოს სიბილწეს.

– კონსტანტინე, რას ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტირი – ნატო, ევროკავშირი, ევრაზიული კავშირი თუ გამუსულმანება? ზედმეტად რადიკალური ხომ არ ვარ?

– არა, საფრთხეები და პერსპექტივები, თუ პერსპექტივას დავარქმევთ, რეალურია.

გმადლობთ, რომ ეს შეკითხვა დამისვით.

მიმაჩნია, რომ საზოგადოება უნდა შეთანხმდეს პოლიტიკურ ორიენტირებზე.

რუსეთთან ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი განვითარება და მომავალი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გავხდეთ რუსეთის ფედერაციის რომელიმე ოლქი.

ასევე უნდა გავაღრმაოთ ურთიერთობები ევროკავშირთან.

რაც შეეხება ნატოს საკითხს. ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან ინტეგრაციაში, პოზიტურს, მე, პირადად, ვერაფერს ვხედავ.

მით უმეტეს, რომ გვეუბნებიან კიდევაც, ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა ნულის ტოლია. თან რუსეთის ფაქტორიც გასათვალისწინებელია და ა.შ.

რუსეთის ოკუპაციაზე მიმდინარეობს მუდმივი საუბრები ჩვენთან. ვეთანხმები, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიები აფხაზეთში და სამაჩაბლოში, მაგრამ თუ ორმაგი სტანდარტი არაა, რატომ არავინ ლაპარაკობს თურქეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების მითვისებაზე, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ ჩვენი მიწების მიერთებაზე. თუ ტერიტორიების წართმევას ხანდაზმულობის ვადა ეხება? მხოლოდ რუსეთი არის ოკუპანტი, ხოლო სხვა ქვეყნები არა?! ჩვენ მხოლოდ აფხაზეთი და სამაჩაბლო გვტკივა და ტაო-კლარჯეთი, საინგილო და სამცხის ნაწილი არა?

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს ვეძახოთ ოკუპანტი და ისეთი დამოკიდებულება გვქონდეს, როგორც დღეს გვაქვს რუსეთის მიმართ, მაგრამ ჩვენი პოზიცია, აზრი უნდა იცოდეს მეზობელმა სახელმწიფოებმა.

მაგალითად, თურქეთი აშკარად აცხადებს, რომ აჭარა და გურია იყო და არის თურქეთის ნაწილი და ამაზე არავითარი რეაგირება არ არის, თუმცა, ამავდროულად, აღიარებს ჩვენს ტერიტორიულ საზღვრებს. დამეთანხმებით, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებია.

რაც შეეხება ევროპას – ევროპა, რომელიც გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილს, ბაჩანა ახალაიას პოლიტპატიმრად მიიჩნევს, ხოლო სააკაშვილს დემოკრატიის შუქურად, მასთან საერთო ვერაფერი მექნება.

– ე. ი. სწორი ყოფილა სტალინი თავის დროზე ე. წ. „რკინის ფარდა“ რომ აღმართა დანარჩენ მსოფლიოსთან.

– საქმე იმაშია, რომ მაშინ სხვა დრო იყო, სხვა პოლიტიკური ვითარება. რუსეთის იმპერია იქმნებოდა ფერფლისგან და შეუძლებელი იყო არ ყოფილიყო გადაცდომები, ლაფსუსები მმართველობაში, თუმცა ვფიქრობ, რომ ზოგი ისტორიული ფაქტი უტრირებულად არის წარმოდგენილი.

როდესაც საუბარია მილიონობით ადამიანის დახვრეტაზე: რუსული ორგანიზაცია „მემორიალი“ დაინტერესდა ამ საკითხით და მოიკვლია დაღუპულთა რაოდენობა, აღმოჩნდა, რომ ის 750 000-ია. ეს ციფრი, ცხადია, არ არის მცირე, მაგრამ როცა მილიონებზეა ლაპარაკი, 750 000 სხვაა, მილიონი – სხვა.

გასაგებია, რომ პროპაგანდისტული მანქანა მუშაობდა და არავინ ლაპარაკობდა იმას, რომ სწორედ მე-20 ს-ის 30-იან წლებში ამერიკაში 500 000 ადამიანი ელექტროსკამზე სიკვდილით დასაჯეს.

კი, ბატონო, დემოკრატია და ადამიანის თავისუფლება არის ჩვენი საზოგადოების მონატრებული, მაგრამ იმას რა ვუყოთ, აშშ-ის ზოგიერთ შტატში დღემდე რომ მოქმედებს სასჯელის უმაღლეს ზომად სიკვდილით დასჯა?!

ფაქტია, რომ პროპაგანდა ცხოვრების ნაწილია, მაგრამ ცუდის და კარგის გარჩევა ჩვენი პრეროგატივაა.

მაგალითად, სტალინის წინააღმდეგ ათეული წლებია მუშაობს პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც მის ნამოღვაწარს მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიური კუთხით გვაჩვენებს, მაგრამ, ფაქტია, რომ სტალინის სახელს ვერაფერს აკლებენ, მეტიც, მისი ავტორიტეტი უფრო მასშტაბური ხდება. მსოფლიოს ბევრ ქალაქში სტალინის ძეგლებს დგამენ.

ჩვენთან ასეთი ტენდენციაა, თუ სიმართლეს იტყვი, მაგალითად, ევროპაზე, რუსეთუმედ გამოგაცხადებენ, არაა ეს სწორი მიდგომა.

მე ვარ ქართველი, ჩემი ქვეყნის ინტერესები არის ჩემთვის ყველაზე ძვირფასი, რუსეთთან ურთიერთობაც მინდა, ევროპასთანაც და სხვა ქვეყნებთანაც, რომ საქართველო ყველა სივრცეში, თავისი ტრადიციებით, მენტალობით, ღირსებებით თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობდეს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

როდის გამოუტანს მიუკერძოებელ განაჩენს საკუთარ თავს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც დღემდე ბლადაძის უკანონოდ ჩამორთმეულ ბინაში ცხოვრობს?

თბილისის საქალაქო სასამართლო ჩამორთმეულ ქონებასთან დაკავშირებულ რეზონანსული საქმის განხილვას იწყებს. მოსარჩელე როლანდ ბლადაძის ინტერესებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ იცავენ, მოპასუხე მხარედ კი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან ერთად იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროები ფიგურირებენ. მოგეხსენებათ, 2007 წელს აწ უკვე პრეზიდენტყოფილმა მიხეილ სააკაშვილმა, ბათუმში გადამისამართებული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები „გულუხვად დაასაჩუქრა“ და მათ სიმბოლურ ფასში გადასცა საცხოვრებელი ბინები. როლანდ ბლადაძისთვის ჩამორთმეული ბინა ხსენებული სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს ერგო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უამრავმა ქონებაჩამორთმეულმა მიმართა პროკურატურა-სასამართლოს, თუმცა თითზე ჩამოსათვლელი მომჩივნები თუ დაკმაყოფილდნენ. ადვოკატ მირიან ნიკოლაძეს თუ დავესესხებით, ხელისუფლება მხოლოდ ძირგავარდნილ ავტომანქანებს თუ აბრუნებს. რა ბედი ეწევა პაპუაშვილსა და ბლადაძეს შორის სადაო ქონებას მომავალი გვიჩვინებს.

რატომ გაჭიანურდა სამართლიანობის აღდგენის პროცესი ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი გვესაუბრება.

- ამ საქმეს საზოგადოება კარგად იცნობს, რადგან არაერთხელ გაშუქდა მედიასაშუალებების მეშვეობით, ამიტომ მოკლედ მოგიყვებით მის ისტორიას. როლანდ ბლადაძე 2001-2004 წლებში სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის დირექტორის მოადგილის თანამდებობას იკავებდა და აჭარის მაშინდელ ლიდერთან ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამიტომ გახდა „ვარდოსნების“ მხრიდან დევნის ობიექტი. 2004 წლის სექტემბერში აჭარის პროკურატურამ მის მიმართ სს-ის საქმე აღძრა და ბათუმის სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, რომ ბლადაძეს უკანონოდ შეძენილი, დაუსაბუთებელი ქონება ჩამორთმეოდა. ბლადაძეს საჯარო სამსახურში მუშაობისას არ შეიძლებოდა ჰქონოდა იმხელა ოფიციალური შემოსავალი, რომ ბათუმის ცენტრში პრესტიჟული ბინა შეეძინაო. სასამართლომ რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა, რითაც დაირღვა ყველანაირი საპროცესო-ნორმატიული აქტი. სასამართლო ბლადაძის მხარის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა, რადგან მათთვის არავის უცნობებია აღნიშნულის შესახებ, არადა კანონმდებლობით სასამართლო ვალდებული იყო მეორე მხარის დასაბუთებაც მოესმინა. ერთი სიტყვით, ბლადაძეს უძრავი ქონება ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა. როდესაც მათთვის ცნობილი გახდა ხსენებული გადაწყვეტილების შესახებ, მაშინვე, ანუ 2004 წელსვე დაიწყეს სასამართლო დავა. საქმე იმაშია, რომ ხსენებული ბინა როლანდ ბლადაძემ 1999 წელს შეიძინა, ხოლო 2000 წელს ნოტარიულად გადაიფორმა, ასე რომ, სასამართლოს პროკურატურის არგუმენტი სარწმუნო გარემოებად არ უნდა მიეღო. როგორც გითხარით, ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნაც მიმდინარეობდა, ამიტომ, პიროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ის იძულებული გახდა ქვეყნიდან გადახვწილიყო. 2007 წლის 21 ივნისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბლადაძისთვის ჩამორთმეული ბინა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს 1000 ლარად გადასცა. რახან ხსენებული სასამართლო ბათუმში გადავიდა, შესაბამისად იქ მომუშავე მოსამართლეთა სოციალური უზრუნველყოფის, ანუ საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების საკითხი დადგა. მაშინ მთავრობამ მსოფლიოში უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და დანარჩენებსაც 1000-1000 ლარად გადასცა მათ შორის ჩამორთმეული ბინებიც. ჩვენი ინფორმაციით, მხოლოდ ჯონი ხეცურიანმა და ვახტანგ გვარამიამ თქვეს უარი ამ „ჯილდოზე“. ეს არის ელიტური კორუფციის მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მთლიანად დაიმორჩილა სასამართლო ხელისუფლება, რამაც შემდგომ იჩინა თავი, ვგულისხმობ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ ლოიალურ გადაწყვეტილებებს, თუნდაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ (ამის აშკარა მაგალითია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული „პერიპეტიები“ - მ.ს.). ბატონი პაპუაშვილისთვის გადაცემული ქონება დღეს არის სადაო, ჩვენ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ვადასტურებთ, რომ იგი არაკეთილსინდისიერი შემძენია და უკანონოდ ფლობდა და ფლობს ამ ქონებას.

- იქნებ უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ ამ საკითხზე.

- სანამ ხელისუფლება ზემოხსენებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას გაუფორმებდა, გიორგი პაპუაშვილმა კარგად იცოდა, აღნიშნული ქონება სადაო იყო, რასაც ამტკიცებს სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. არსებობს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის **ელენე თევდორაძის** და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის **ლევან ბეჟაშვილის** ოფიციალური წერილები მთავრობის შეასაბამისი უწყებების მიმართ ერთადერთი მოთხოვნით, რომ ქონება იყო სადაო და არ უნდა გასხვისებულიყო. გარდა ამისა, 2007 წლის მაისში ბლადაძის ოჯახმა წერილობით მიმართა პრეზიდენტ სააკაშვილს, რომ მათ ჰქონდა ინფორმაცია ჩამორთმეული ბინის გასხვისებასთან დაკავშირებით და რომ ის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს უნდა გადასცემოდა. მოგვიანებით ეს მოსამართლე გიორგი პაპუაშვილი აღმოჩნდა. ასე რომ, ყველა ინფორმირებული იყო ქონების სადაობასთან დაკავშირებით. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შემძენი პირი, რომელიც ინფორმირებულია ქონების სადაოობასთან დაკავშირებით, ხოლო საერთო დავაში არსებობს მტკიცებულებები, რომელიც მიუთითებს პირველი მესაკუთრის უფლების ნამდვილობაზე, არაკეთილსინდისიერი შემძენია. ამ შემთხვევაში ბატონი პაპუაშვილის არაკეთილსინდისიერების საკითხი გამოკვეთილი და დადასტურებულია. 2014 წლის დეკემბერში ელენე თევდორაძემ თავის სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ ხსენებული ქონების გასხვისებამდე იგი პირადად შეხვდა გიორგი პაპუაშვილს სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ უთხრა, რომ მის კომიტეტში შესული იყო ბლადაძის ოჯახის განცხადება, ქონება იყო სადაო და არ უნდა მიეღო, თუმცა პაპუაშვილი პირიქით მოიქცა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ როლანდ ბლადაძესაც მიეცა შესაძლებლობა, რომ სასამართლოს წესით ედავა უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებასთან დაკავშირებით. საქმის მასალებზე მუშაობისას ძალიან საინტერესო მიმოწერას წავაწყდით, გიორგი პაპუაშვილი წერილობით მიმართავს იუსტიციისა და ეკონომიკის მინისტრებს (2012 წლის დეკემბერი), სადაც მათგან ერთადერთს მოითხოვს, რომ თუ მისთვის გადაცემული ქონება რეალურად იყო სადაო, სახელმწიფომ ეს მიუთითოს და იგი მზადაა ხსენებული ქონება სახელმწიფოს დაუბრუნოს. არ გაინტერესებთ რას პასუხობს მას ეკონომიკის სამინისტრო? 2013 წლის იანვრით დათარიღებულ წერილში, რომელსაც ხელს აწერს ქონების მართვის სააგენტოს მაშინდელი ხელმძღვანელი **დიმიტრი ჟუმსიშვილი,** მითითებულია, რომ აღნიშნული ქონების შესახებ დავის მიმდინარეობა არ დასტურდებოდა, რაც ცალსახად არის არაზუსტი, უფრო მეტიც, არასწორი ინფორმაცია, რადგან მოცემულ ეტაპზე საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობდა. ბატონი ქუმსიშვილი ვალდებული იყო ამის შესახებ სცოდნოდა, მის ქვემდებარე ორგანო, სანამ პასუხს გასცემდა უნდა მოეკითხა და გამოეკვლია ყველა სახის ინფორმაცია და მერე უნდა მოემზადებინა საპასუხო წერილი, რადგან ამ პასუხზე იყო დამოკიდებული სადაო ქონების დაბრუნების საკითხი. რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს, საქმეში არსებობს გიორგი პაპუაშვილისადმი გაგზავნილი 2013 წლის 17 თებერვლით დათარიღებული წერილი, რომელსაც ხელს მინისტრი **თეა წულუკიანი** აწერს, რომ თუ როლანდ ბლადაძის მიმართ 2004 წელს აღძრული სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდებოდა და იგი გამართლდებოდა, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან გიორგი პაპუაშვილისთვის გადაცემული ქონების კანონიერების საკითხი ეჭვქვეშ დადგებოდა. 2013 წლის 12 აპრილს პროკურატურამ მიიღო დადგენილება როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის, გამართლების და პატიმრობის გაუქმების თაობაზე, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ანუ იმ დანაშაულის, რის გამოც მას ქონება ჩამოართვეს. ბუნებრივად დგება ქონების დაბრუნების საკითხი. 2015 წლის ნოემბერში ამ მოთხოვნით მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს და უპირველესად სადაო ქონების დაყადაღება მოვითხოვეთ, რადგან 2015 წლის მარტში, ბატონმა პაპუაშვილმა ეს ქონება მალულად 187.000 აშშ დოლარად გაასხვისა თავისი მეუღლის დის (ტელეწამყვან **მპა ხოფერიას**) ყოფილ ქმარზე გიორგი ლევიძეზე (ჩვენი ინფორმაციით, ბატონმა პაპუაშვილმა ამ პიროვნებას გაცილებით ადრე, როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტოფარეხი მიყიდა, რომელიც კანონიერი მფლობელისთვის არც ჩამოურთმევიათ – მ.ს.),

თუმცა ჩემი უშუალო ჩარევით, საკადასტრო კოდზე ხარვეზი წარმოიშვა და ბატონმა პაპუაშვილმა შეასაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება ვერ დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში. მოგვიანებით თავად გიორგი ლევიძემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ხსენებული ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ ქონების სადაოობა. ამ ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო მოვითხოვეთ ყადაღის უზრუნველყოფა, საქმე წარმოებაში გადაეცა მოსამართლე **ტარიელ ტაბატაძეს,** რომელმაც აბსურდული მიზეზებით ორჯერ თქვა უარი ყადაღის უზრუნველყოფაზე. რა თქმა უნდა მისი გადაწყვეტილებ ზემდგომ ინსტანციაში გავასაჩივრეთ, საპელაციო სასამართლომ გააუქმა მოსამართლე ტაბატაძის გადაწყვეტილება და იგი იძულებული გახდა ხსენებული ქონება დაეყადაღებინა. 2016 წლის 4 იანვარს ბატონმა ტაბატაძემ მიიღო საქმე წარმოებაში, სადაც მოპასუხეები გიორგი პაპუაშვილის გარდა, იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროებიც არიან. როდესაც მოვისმინეთ და შევაფასეთ მხარეთა სამართლებრივი დასაბუთება, ფრიად გაკვირვებული და გაოგნებული დავრჩი. არადა მთავრობა მოქმედ მთავრობას სწორედ ამ ორი უწყების იმედი აქვს სამართლიანობის აღდგენის კუთხით.

– რას გულისხმობთ?

– იუსტიციის სამინისტრო თავისი შესაგებელი სარჩელით ითხოვს, რომ არასათანადო მოპასუხედ იყოს ცნობილი, ანუ გავიდეს სამართლებრივი მხარის სტატუსიდან, ხოლო ეკონომიკის სამინისტრომ შუამდგომლობა დააყენა, რომ საქმე სამოქალაქო წესით არ განიხილონ, თითქოსდა 2007 წელს გიორგი პაპუაშვილთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხასიათის ხელშეკრულებაა, ამიტომ საქმე ადმინისტრაციულმა კოლეგიამ განიხილოსო. მოხდა სასწაული, როცა ვითარება კარდინალურად არის შეცვლილი და ყველას სასამართლოს დამოუკიდებლობა გვაკერია ენაზე, ანუ, როცა მოსამართლე დამოუკიდებლად, შინაგანი რწმენის საფუძველზე უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას, მოსამართლე ტაბატაძემ ისე დააკმაყოფილა ეკონომიკის სამინისტროს შუამდგომლობა და საქმე ადმინისტრაციულ კოლეგიას გადასცა, რომ მოსარჩელე მხარე ინფორმირებული არ ვიყავით, რაც უხეში დარღვევაა. საპროცესო კანონმდებლობაში პირდაპირ წერია, რომ შუამდგომლობების განხილვას ორივე მხარე უნდა ესწრებოდეს, მოსამართლემ მათი სამართლებრივი პოზიცია უნდა მოისმინოს და ისე იმსჯელოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამჟამად საქმეს ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლე **დიანა ფარქოსაძე** განიხილავს, ის კეთილსინდისიერ და მიუკერძოებელ მოსამართლედ ხასიათდება, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე მხარე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროები არიან, მოსარჩელე კი სრულიად მართალი, მტკიცებულებებით შეიარაღებული, მაგრამ მაინც რიგითი მოქალაქე, არსებობს ალბათობა, რომ მოსამართლემ ვერ გაუძლოს მაღალ საზოგადოებრივ და საჯარო ინტერესს და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღოს, თუმცა არ მინდა მოვლენებს გავასწრო. გიორგი პაპუაშვილმა ყადაღის უზრუნველყოფის წარმოშობაც გაასაჩივრა და ამ საკითხსაც მოსამართლე ფარქოსაძე იხილავს და 8 თებერვალს გვეცოდინება, ყადაღას ძალაში დატოვებს თუ არა (ინტერვიუ 5 თებერვალსაა ჩაწერილი – მ.ს.), რაც გამოწვევა და ტესტია სასამართლოსთვის. ამ საქმის მიმართ ძალზე მაღალი ინტერესია, მონიტორინგს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დიპლომატიური კორპუსი განახორციელებს, მედიაც სრულად იქნება წარმოდგენილი. ჩემი წინასწარი ინფორმაციით, შეიძლება სასამართლო სხდომა დაიხუროს, პროცესს მხოლოდ მხარეები დაესწრონ, რაც გაუგონარი შემთხვევა იქნება, რადგან არ იხილება ისეთი საქმე, რომელიც პირად საიდუმლოებას, ან კონფიდენციალურ კომერციულ ინფორმაციას ეხება. მე ვაპირებ სხდომისთვის დიდი დარბაზი მოვითხოვო, რადგან ეს იქნება საზოგადოებრივი პროცესი. მოსამართლე ტარიელ ტაბატაძე თავისი სრულიად მიკერძოებული გადაწყვეტილებებით, ცდილობს მისი განსახილველი არ იყოს ეს საქმე, თუმცა არსებობს იმის სამართლებრივი პერსპექტივა, რომ საქმე სამოქალაქო კოლეგიას დაუბრუნდეს, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულებაზეა საუბარი და არა რომელიმე მინისტრის ბრძანებაზე, ან ნორმატიულ აქტზე.

– თქვენი აზრით, რეალურად რა უდევს საფუძვლად იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროების, ასევე მოსამართლე ტაბატაძის რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ პოზიციებს?

– მე არ ვიცი რატომ ცდილობს იუსტიციის სამინისტრო მხარის არასათანადო სტატუსით დამკვიდრებას მაშინ, როდესაც საქმეში არსებობს მინისტრ წულუკიანის ოფიციალური წერილი, სადაც ის პირდაპირ მიუთითებს დავის სამომავლო ბედზე. ეს უწყება აუცილებლად უნდა იყოს მხარე, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ, როდესაც როლანდ ბლადაძე ოფიციალურად ფლობდა ხსენებულ ქონებას, მისმა ოჯახმა აღმოაჩინა, რომ მაშინდელი საჯარო რეესტრის ამონაწერში მესაკუთრის გრაფა საერთოდ გაუქმებული იყო, რაც სს-ის დანაშაულია. ბლადაძის მეუღლემ ბათუმის სარეგისტრაციო ორგანოს რომ მიმართა, უპასუხეს როლანდ ბლადაძე აღნიშნული ქონების მესაკუთრედ არ ფიქსირდებაო, მოგვიანებით ისევ ფიქსირდებოდა ამ სტატუსი, მერე ისევ გაქრა და ბოლოს გიორგი პაპუაშვილი ფიქსირდება მესაკუთრედ. ეს უწყება ცდილობს შეინარჩუნოს კონსტრუქციული, სოლიდური და არაგამაღიზიანებელი პოზიციები. ალბათ, აქაც პოლიტიკური კონტექსტია, არ უნდათ ისე წარმოჩნდეს, რომ თეა წულუკიანისთვის (ან თავად უწყებისთვის), რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმებს იწყებს, რასაც ეწინააღმდეგება სასამართლოს მოქმედი თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, ბლადაძის საქმე არის ერთგვარი საჯილდაო ქვა. წულუკიანი და პაპუაშვილი ამ საქმის გაარკვევენ ურთიერთობებს რეფორმების ნაწილში, თუმცა მაინც მგონია, რომ სამინისტროს სამართლებრივი პოზიცია იმიტომაცაა ასეთი ხსენებული საქმის მიმართ, რომ თითქოსდა მას არ იყენებენ რაღაც დიალოგის ბერკეტად გიორგი პაპუაშვილთან. იუსტიციის სამინისტროს პოზიცია წმინდა სამართლებრივი, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონტექსტებიდან გამომდინარე, პრაგმატულია, ახლა სასამართლომ უნდა შეაფასოს, იქნება თუ არა ეს უწყება არასათანადო მოპასუხე. თუ დავუშვებთ იმ აზრს, რომ გიორგი პაპუაშვილმა რომელიმე სამინისტროსთან ასე ვთქვათ, იმუშავა, იუსტიციის სამინისტრო არ მგონია, რადგან წულუკიანის გუნდი არის კვალიფიციური, დამოუკიდებელი და კომპეტენტური. სავარაუდოდ, ეს ეკონომიკის სამინისტრო და მისი იურიდიული სამსახური მგონია და აგიხსნით რატომ.

ეკონომიკის სამინისტროს დღევანდელი პოზიციით მართლა გაოგნებული ვარ. რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან გვქონდა შეხვედრა, სადაც დავაყენე საკითხი, რატომ ხდება, რომ საერთო სასამართლოებში იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროების პოზიციები არ არის დაახლოებული დაზარალებულების ინტერესებთან, მაშინ, როდესაც 2012 წლის შემდგომ ეკონომიკის სამინისტროს ოთხი პრეცენდენტი ჰქონდა, როცა ჩამორთმეული ქონებები მორიგების აქტით თუ სხვა ფორმით დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელებს. პრემიერი დაინტერესდა, რას ვგულისხმობდი, მას მივაწოდე როლანდ ბლადაძის საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, ასევე ეკონომიკის სამინისტროს პოზიციაც. ბატონმა კვირიკაშვილი დაინტერესდა ამ საქმით და განაცხადა, რომ ეკონომიკის მინისტრს დაელაპარაკებოდა. მან თავისი სიტყვა შეასრულა, თებერვლის დასაწყისში ეკონომიკის მინისტრსა და ამ უწყების იურიდიული დეპარტამენტის უფროს **ოთარ იაშაღაშვილთან** ერთობლივი შეხვედრა მქონდა და განვიხილეთ ეს საკითხი, მინისტრმა ქუმსიშვილმა უშუალოდ მიიღო ბევრი ინფორმაცია ამ საქმეზე, პირდაპირ ვუთხარი, რომ მისი ქვემდებარე უქყება იყო პრობლემა ამ საქმეში. მან ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებით უსაყვედურა დეპარტამენტის უფროსს, თუკი როლანდ ბლადაძის საქმეში გამამართლებელი მტკიცებულებები არსებობს, დოკუმენტებით დგინდება, რომ გიორგი პაპუაშვილის არაკეთილსინდისიერი შემძენია, ეკონომიკის სამინისტრო რატომ უნდა ანვითარებდეს დაზარალებულის ინტერესებისგან განსხვავებულ პოზიციებსო. ამ კითხვებზე ბატონ იაშაღაშვილს პასუხი არ ჰქონდა. მინისტრს ისიც ვუთხარი იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მსჯელობები პირდაპირ ლახავდა სამართლიანობის აღდგენის მთავრობისეულ დაპირებას და ამკვიდრებდა ანტისახელისუფლებო განწყობებს. მინისტრი პოლიტიკური თანამდებობის პირია, ამიტომ მას მართებს ჩემი განცხადების და ხსენებული საქმის პოლიტიკური და სამართლებრივი კონტექსტების კარგად შეფასება, ასევე იმის შეფასებაც, რომ ამ თემაზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. მინდა ერთ საგულისხმო დეტალზეც გავამახვილო ყურადღება, ეკონომიკის სამინისტროსა და გიორგი პაპუაშვილის მიერ სასამართლო ეტაპზე წარმოდგენილი შეფასებების დოკუმენტში მტკიცებულებები ერთი ერთში ემთხვევა ერთმანეთს. მე არ მაქვს ამის რწმუნება და მტკიცებულება, თუმცა ამის თაობაზე მინისტრი საქმის კურსში ჩავაყენე. როგორ შეიძლება ორი დამოუკიდებელი მხარე-სუბიექტის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი მტკიცებულებები ერთმანეთს დაემთხვეს. მე ვერ ვიტყვი, რომ გიორგი პაპუაშვილს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა ეკონომიკის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტთან და მინისტრის გვერდის ავლით მოახერხა, რომ სასამართლოს წინაშე ეს უწყება და გიორგი პაპუაშვილი ფაქტობრივად ერთიანი პოზიციით წარდგენილიყო როლანდ ბლადაძის წინააღმდეგ. ამ დოკუმენტებში იდენტური პოზიცია აშკარად ჩანს, რაც არის სკანდალი, ეს არის შემთხვევა, როდესაც მე, როგორც იურისტი სხვანაირ შეფასებას ვერ გავაკეთებ. ძნელია ამ ყველაფერს დამთხვევა დავარქვათ, მაგრამ აქ ალბათ საინტერესოა შიდა პოლიტიკური კულისები, პასუხი გაეცეს კითხვას, რატომ დაემთხვა გიორგი პაპუაშვილისა და ეკონომიკის სამინისტროს პოზიციები ერთმანეთს ამ რეზონანსულ დავასთან დაკავშირებით. მე ამ კითხვას ვსვამ, როგორც ეკონომიკის მინისტრის და მისი იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიმართ, ისე პრემიერ-მინისტრის და გიორგი პაპუაშვილის მიმართაც, ყველაზე მეტად კი საზოგადოების მიმართ, რომ მან შეაფასოს, ზემოჩამოთვლილნი ქეისით თამაშობენ თუ ერთმანეთს ეთამაშებიან.

რაც შეეხება მოსამართლე ტარიელ ტაბატაძეს, ის პროფესიულ წრეებში ე.წ. შემსრულებელ მოსამართლედ ხასიათდება. თავისი დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებით ორჯერ თქვა უარი ყადაღის დადებაზე, რითაც ცდილობდა საქმის პერსპექტივის დაკარგვას, ანუ არ უნდოდა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება, ეს ზემდგომმა აიძულა. როგორც კი დააყენა ეკონომიკის სამინისტრომ შუამდგომლობა ადმინისტრაციული წესით განხილვასთან დაკავშირებით, ტაბატაძემ დაუყოვნებლივ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება და ადმინასტრაციულ კოლეგიას გადაულოცა საქმე. ერთი სიტყვით, იგი ყველანაირად ცდილობს, რომ ეს საქმე არ განიხილოს. ჩემი აზრით, იგი ვერ უძლებს წნეხს და აგრძელებს პოლიტიკური დაკვეთების შესრულებას, რადგან იგი მუდმივად გამოირჩეოდა ნაცმოძრაობის ლობირებით სასამართლოში. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერით გიორგი პაპუაშვილზე გადაცემულ ქონებას, პაპუაშვილი თავის მხრივ ნაცმოძრაობის ინტერესების გამტარებელია საერთო სასამართლოების სისტემაში, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის ანტისახელისუფლებო და ანტისახელმწიფოებრივი, ასე რომ, ტაბატაძის საქციელი გასაგები ხდება. ნაცმოძრაობა გიორგი პაპუაშვილის მონაწილეობით, ბოლომდე იბრძვის რომ ხსენებული ქონებრივი დავა სასამართლოს განსჯადი არ იყოს, მაგრამ მე საზოგადოების იმედი მაქვს, რომ იგი არ დაუშვებს ეს საქმე სასამართლო დარბაზების მიღმა გავიდეს. იგი სასამართლოში დარჩება და ობიექტური მოსამართლე განიხილავს, იქნება ეს ტარიელ ტაბატაძე თუ სხვა. ტაბატაძე დღეს არ არის ობიექტური მოსამართლე, უკიდურესად მიკერძოებულია, ყოველ შემთხვევაში, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სხვა შთაბეჭდილებას არ მიქმნის.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

კრიმინალებთან „მებრძოლი“ კრიმინალი, გენერლის სამხრეებით და ნანული, „თეთრი მტრედი“ – შავი გულით და შავი ფრთებით

„ამ ბოლო დროს, რაც თვალშისაცემი გახდა ფასეულობების და ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლა და იმ ადამიანების დისკრედიტაციაა, რომელიც ქვეყანას თუ სჭირდებოდა, ომში წინა ხაზზე იდგნენ და ასევე ქვეყანას რომ სჭირდებოდა, ქვეყნის შიგნით კრიმინალებს ებრძოდნენ (რის გამოც ამ ადამიანებისგან შავი პიარით მითებს ქმნიდნენ). ხშირად მიფიქრია არა ჩემს მეულლეზე, არამედ გენერალ კოდუაზე. რატომ არავის არ ახსენდებოდა ის. ვფიქრობდი, ან იმ ღირებულებების ტიპად არ თვლიდნენ, ან „არ უფასებდნენ“ არც ომის წინა ხაზზე დგომას, არც კრიმინალთან ბძოლას). დღეს, როდესაც გავიგე, რომ თითქმის ორწლიანი წვალების შემდეგ (საგამოძიებო სამსახურების) ერეკლე კოდუას, გენერალს, 7 წელი სოდის უფროსს და ამ სამსახურის შემქმნელს საქმე აღუძრეს რაღაც გაურკვეველ ავტომანქანებზე დავშშვიდდი:) მივხვდი, რომ კრიმინალსაც ებრძოდა, ომშიც წინა ხაზზე იყო და ღირებულებებშიც იმ მხარეს დგას, სადაც უნდა იდგეს!“ – ეს „ღაღადი“ **ნანუკად** წოდებულ **ნანული ჟორჟოლიანს** ეკუთვნის!

ცოტაც და მეცხრე ციდან გადმოსული სიწმინდის შარავანდედი გადაეფინებოდა და გაუნათებდა ნანულისაც და ერეკლეირაკლისაც მოქინძულ გზაზე, რომ არა უიღბლობა და რომ არა „გმირი“ გენერლის მორიგი „დასტუკება“ – ახალი სიყვარული და კიდევ ერთი კოდუა „საოჯახო ნამატში“. ისინი „მეგობრებად“ კი „დარჩნენ“, მაგრამ ნანულის აღარ გახსენებია ფრთიანი „ქინძის“ არც გენერლობა და არც „გაურკვეველი მანქანები“ იმ ავბედითი დღის შემდეგ, რაც ნანუკამ თავისი „წმინდანი“ არაქართული წარმოშობის კონკურენტთან ერთად იხილა...

არაფერია გასაკვირი იმ უტიფარი ქალისგან, რომელსაც სინანულის გრძნობა არ გააჩნია და დღემდე ცდილობს საზოგადოებას თვალებში ნაცარი შეაყაროს. ან რა უნდა გაგვიკვირდეს მისგან, როცა არც თავად ჩამორჩებოდა აწ უკვე ქმარყოფილს, სისხლის სუნით და ხილვით იღებდა სიამოვნებას. დაახლოებით 9 წლის წინ, როცა მისი გულისსწორის დაბადების დღე მიიწურა, 16 თებერვალს, მასთან განხორციელებული ზარის გამო, მისმა „გმირმა“ სპეცოპერაცია მოაწყო სვანეთში. არადა, ტელეფონის ნომერი აფრასიძეების სისხლით დამტკბარმა, ატკვარცალებულმა ნანულიმ თვითონ მისცა სვან ახალგაზრდას... სპეცოპერაციის „მსხვერპლებს“ ნარკოტიკი ძალით გაუკეთეს, იმ სამ ახალგაზრდას სამი საბრძოლო ყუმბარა და რვა აბი „სუბოტექსი“ „გადაუნაწილეს.“ აღნიშნული საქმე სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში მოხვდა, სოზარ სუბარმა მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „საქმის შესწავლის შედეგად იკვეთება დანაშაულის ნიშნები „სოდის“ უფროსის **ერეკლე კოდუას,** შსს თანამშრომლების და პროკურატურის თანამშრომლების ქმედებაში“. იმ დაწყევლილ დროს ამ სამ უწყებას ვინ დაუპირისპირდებოდა? ამიტომაა, რომ სოზარ სუბარს ნანული თავის ფანკლუბთან ერთად დღემდე ერჩის. სხვათა შორის, იმ „გაურკვეველი მანქანების“ საქმეც თავის დროზე სუბარმა გამოიტანა სააშკარაოზე და ერთი „გაურკვეველი“ მანქანის საჭეს ნანული ძლივს „აახიეს“.

ნანუკასთვის სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, წამებაში ადანაშაულებს **ლევან ტაბიძესა** და **ერეკლე კოდუას** გენერალი და სამხედრო ექსპერტი **ტრისტან ფითელაშვილი.** მისი განცხადებით, 2008 წლის 26 აგვისტოს სწორედ ლევან ტაბიძემ დაგეგმა სახლიდან მისი და მისი მეგობრების გატაცება და წამება. წითელაშვილის განმარტებით, მოდულის შენობაში 2 დღე უშუალოდ ტაბიძე და კონტრდაზვერვის სხვა თანამშრომლები მას და მის მეგობრებს აიძულებდნენ სამშობლოს ღალატი ეღიარებინათ. 2 დღის შემდეგ კი ისინი უკვე სოდ-მა დააკავა და ჩვენების მისაღებად ერეკლე კოდუამ აწამა. წითელაშვილი აცხადებს, რომ დანაშაულის უღიარებლობის შემდეგ იგი გლდანის ციხეში გადაიყვანეს, სადაც 4 წელი სასჯელს სამშობლოს ღალატის მუხლით იხდიდა. გენერალი 2013 წლის იანვარში პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლეს.

პატიმარი **ბადრი ვაშალომიძე** „გურია ნიუსთან“ საუბრისას ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ ზის ციხეში და 5 წლის განმავლობაში რატომ ვერ იპოვა სამართალი. გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ: „ჩვენთან საუბრისას პატიმარი ყვება, რომ გამოძიების დროს, მას ბრალად თარგამაძის და კოდუას გარდა, თეა თუთბერიძის, გიორგი ვაშაძის და დათა ახალაიას მკვლელობის ორგანიზებაც წაუყენეს:

– დიდი სია ჰქონდათ, თუმცა შემდგომ, სასამართლოზე, ეს სია აღარ წარმოუდგენიათ. ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ **ერეკლე კოდუას, გივი თარგამაძის, გიორგი ვაშაძის** და **დათა ახალაიას** მკვლელობა **ვალიკო მშავიამ** შემიკვეთა, რომელთანაც არანაირი კავშირი არ მაქვს და ეს ვერც დაამტკიცეს. ამბობდნენ, რომ მათი მკვლელობა თითქოსდა მათ მიერ გატარებული რეფორმების გამო გვსურდა, რომ მათ გაიჩინეს მტერი“, – ამბობს ვაშალომიძე.

– წამებულების და გმირის იმიჯის შესაქმნელად უნიჭო სცენებს არ იშურებდა ნაცხროვა, კოდუას „დაუკვეთეს“ **გია გვიჩიანის** უმძიმესი ბრალდებით დაკავებაც სამწუხაროდ, მას დღემდე უჭირს ადეიშვილის კონტროლირებად პროკურატურაში და სასამართლოში სიმართლის დამტკიცება. კოდუას სული დიდი ხანია ჯოჯოხეთშია, მაგრამ, არა მგონია, მის ოჯახს უკვალოდ ჩაუაროს ამდენი უდანაშაულო ადამიანის წამებამ.

აღსანიშნავია „მუხროვანის ამბოხის საქმეც“, სადაც ვანო ორგვამს უკვეთავს. კრიალაშვილის და მისი მეგობრების მოცილება და სამაგალითოდ დასჯა სერიოზულ სახელისუფლო მაფიას სურდა, რადგან ათეულობით მილიონი დოლარი ფიგურირებდა და არაფერი ჰქონდა საერთო სამხედრო ამბოხთან, რაღა თქმა უნდა, პროკურატურისთვის ცნობილი იყო მიზეზი, მაგრამ მთავარი გველეშაპი ადეიშვილი არ იყო დაინტერესებული, სიმართლე გარკვეულიყო, მთავარ გმირებთან 90-იანელ თეთრსაყელოიან ყაჩაღებთან, რომლებიც მთავრობაში თბილად იყვნენ მოკალათებული, ბიჭი ერეკლე მეგობრობდა და ამიტომაც მონდომებით ასრულებდა დავალებას...

ასევე საინტერესოა „რეპორტიორში“ გამოქვეყნებული **ბესო კეიდიას** წერილიც:

ერეკლე კოდუა ბადრის ინფორმატორი იყო. მისნაირები ბევრი ჰყავდა სააკაშვილს ხელისუფლებაში, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე „ნაციონალურ მოძრაობაში“. ისინი და მათთან ერთად, ცხადია, კოდუაც, სისტემატიურად აწვდიდნენ ცნობებს მნიშვნელოვანი პროცესებისა და საინტერესო ფაქტების შესახებ. ამან რაღაცნაირად გაჟონა და ამიტომ იყო, კოდუას მისმა ხელმძღვანელებმა ეჭვის თვალით რომ შეხედეს და მის ლოიალობაში დასარწმუნებლად, ბადრისთან დაკავშირებული საეჭვო ოპერაციის განხორციელება მაინცდამაინც მას დაავალეს. ისიც იძულებული გახდა, დათანხმებულიყო, რადგან მხოლოდ ასე შეძლებდა თავის გადარჩენას: დავალების მიმცემთა ლოგიკით, ბადრი კოდუას ენდობოდა, რადგან გადაბირებულ კაცად მიაჩნდა, რაც კოდუას გაუადვილებდა საიდუმლო დავალების შესრულებას. თუ გაიშიფრებოდა, შსს ხელს დაიბანდა და უსიტყვოდ გასწირავდა კოდუას.

აქვე დავძენ, ბადრი არ იყო ისეთი გულუბრყვილო და მიმნდობი ადამიანი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა. მეგობრებისთვის თავგადადებული იყო, მტრების მიმართ – დაუნდობელი. კოდუამ ეს იცოდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ თუ ბოლომდე გაიშიფრებოდა, მარტო თანამდებობა კი არა, შეიძლება თავიც დაეკარგა“.

კოდუამ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა „რუსთავი-2“ „გენერალს“ ნანულის გამო ბეჭებზე ამოსულ „ქინძს“ უვარცხნიდა, ტელეკომპანიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მას **ბადრი პატარკაციშვილმა ვანო მერაბიშვილის** და **გოგა ხაინდრავას** მკვლელობა შეუკვეთა. შემდეგ ვანო უკვეთავდა დიდი პრემიის სანაცვლოდ ორ გვამს. რა ხდება, ამ „პატიოსან“ კაცს როგორ უბედავენ ქილერის როლის შეთავსებას, იქნებ არაერთი გვამია მის სინდისზე, რომელიც არ გააჩნია და ჯერჯერობით საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის? ამავე ინტერვიუში „გენერალმა“ ისეთ „სტრატეგიაზე“ ისაუბრა, დღემდე ანეკდოტად რომ დადის: „მე მაშინ პალტო მეცვა. პალტოში რკინის „ბულავკები“ გავიკეთეთ – ამას რომ ეყვირა, როცა აპარატი იყვირებდა. დაიწყეს შემოწმება... ერთი ბულავკა, ორი ბულავკა, სამი... რომ შეწუხდნენ ამით და ბოლოს ტუფლზე რომ ჩავიდნენ, იქაც რკინა იყო, რაც გარედან ჩანდა. აპირებდნენ, რომ აპარატს ხმა არ ამოეღო და ფეხსაცმელი გამეხადა, რაზეც ვუთხარი, რომ შეხვედრა პატარკაციშვილის ინიციატივა იყო და წავიდოდი, რადგან ფეხსაცმლის გახდა შეურაცხმყოფელი იყო“.

აი, ასეთი იყო ეს „დაუფასებელი“ „გმირი“. ეტყობა, ეს „სტრატეგია“ მხოლოდ პატარკაციშვილთან გამოიყენა და გამოადგა, თორემ თელიას და მის მამას, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა და დიდი ხნის შემდეგ გარდაცვლილი ნახეს ნაწამები, ან უამრავ პოტენციურ მოწინააღმდეგეს, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან დღემდე, „ბულავკებით“ არ დასდევდა, იქ საკმაოდ „კარგი“ კვალი დატოვა. თუ ვინმე იტყვის, რატომ არ მოსთხოვეს მას პასუხი, აქვე ვიტყვი, რაც პროკურატურაში ძალიან კარგად იციან და რაშიც არჩილ კბილაშვილის დიდი წვლილია, სწორედ მის დროს გარიგდნენ „ძველი“ და „ახალი“ პროკურორები, სწორედ მისი „გულმოწყალების“ „პირველი აგურია“ პროკურორებს შორის ე.წ. ჯენტლმენური გარიგება, რითაც „დადგინდა“, რომ ნაციონალებისათვის საჭირო საქმეებს „ახლები“ ხელს არ ახლებდნენ. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ეს რეალობაა...

კოდუა კრიმინალებს ებრძოდაო, ამბობდნენ მისი ცოლყოფილი და ნანუკას კომპანიის „ვარსკვლავები“. საინტერესო ფაქტია და ეს, როგორც ჩანს, არ იცოდა ნანულიმ, იმ დროს როცა „გენერალი“ თურმე კრიმინალს ებრძოდა პარალელულად, ქურდის მეჯვარეც იყო!! როგორ მოახერხა ეს „გმირთა გმირმა“ არ ვიცი, მაგრამ ლივლივა ქორწილის ფოტოები, დავიჯეროთ, ნანულის არ უნახავს? ვერ დავიჯერებ! აი, ჩემს მეგობრებს ნანახი აქვთ და სწორედ მათგან მაქვს ზუსტი ინფორმაცია „გენერალი“ ქურდებთან ერთად ნარკოტიკსაც რომ ეტანებოდა. ისიც ზუსტად ვიცი, ერთ „კოჭლ“ ქურდთან ერთად ვარდების რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე კოდუას „ბრატი“ ქურდი ჩემმა ნაცნობებმა რომ დააკავეს, გორიდან მომავალი და დიდი ვაჭრობის შემდეგ 8000 ამერიკულ დოლარად რომ გაუშვეს. საჭირო თანხა საჭირო კაცს კოდუამ თავად ჩაუცუნცულა ქურდის „გამოსახსნელად“. ვარდების რევოლუციის შემდეგ მართალია, ის თანამშრომლები „ჩაჩორტა“ და შსს -ს აღარ გააკარა, მაგრამ არც ერთი არ დაკარგულა...

მეჯვარეობისა არ იყოს, ისიც საკითხავია, როგორ ახერხებდა კოდუა ერთი ხელით იმათთან მეგობრობას, ვისაც „ებრძოდა“ და მეორე ხელით „ნაცზონდერებთან“ ერთად ცეცხლით და მახვილით ვარდების რევოლუციის მონაპოვარის დაცვას?!! დავიჯეროთ „იქ“, „ზემოთ“ არ იცოდნენ, როგორი „გმირი“ ჰყავდათ „უბანში“? იცოდნენ, იცოდნენ და აწყობდათ კიდეც!!! ამიტომ იყო, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს თავის გარეწარ თანამშრომლებთან ერთად სისასტიკით და დაუნდობელი ქმედებით უსწორდებოდა მომიტინგეებს, ერთგულებას უმტკიცებდა „ნაცმოს“.

ერეკლეს ნარკობიზნესი ნაცელიტამ, ნარკოტიკის სიყვარულის გამო ჩააბარა ალბათ, ბოლოს და ბოლოს, ოჯახური გამოცდილება არ უწყობდა ხელს თუ რა? ნაცხროვა პრეზიდენტის მეთაურობით მხოლოდ ძლიერ და ძვირადღირებულ ნარკოტიკს ეტანებოდა და შემოტანა ვინც იცოდა და გაყოფაც, სწორედ ის სჭირდებოდათ საქმეში. ამიტომ იყო რომ „გასოდებულ“ ერეკლეს ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. მისდამი დაქვემდებარებულ უწყებაში ზოგი ნარკოტიკის რეალიზაციით იყო დაკავებული და ზოგიც „კაიფით“. როგორც ამბობენ, ვიღაცას „ყელში ამოსვლია“ კოდუას საქმეები და გენერალურ ინსპექციას ჰქონია მცდელობა „მოკაიფე“ თანამშრომლები დაესაჯათ, მაგრამ მაშინ ვანოსთან ტკბილი და მურაბა ურთიერთობა ჰქონდა კოდუას და საქმეც გვარდებოდა. წლების შემდეგ, როცა ვანოსთან ურთიერთობა დაეძაბა, თავის მეგობარს და მარჯვენა ხელს (რომელიც ლონდონში ახლდა) ვერ დაეხმარა და ორგანოდანაც გაუგდეს. იმანაც ვერ გადაიტანა ეს შეურაცხოფა, ამაგი არ დაუფასეს და, ეტყობა, ბევრი „გაიჩხირა“ და „პერედოზით“გარდაიცვალა.

როცა პრეზიდენტი მძიმე ნარკოტიკს მოიხმარს და არაადეკვატურად იქცევა, „სოდის“ უფროსიც თავისნაირი სჭირდება. ასე „ებრძოდა“ვარდების ხელისუფლება ნარკოტიკების წინააღმდეგ! სხვათა შორის, ჰიტლერიც ანალოგიურად „აბოლებდა“ სამოქალაქო საზოგადოებას, თვითონ კი მძიმე ნარკოტიკებს მოიხმარდა. მეტიც, მეორე მსოფლიო ომში ჯარისკაცებს თავიდან აიძულებდნენ მიეღოთ „პერევენტინის“აბები, რომელიც მძიმე ნარკოტიკს წარმოადგენდა, შემდეგ კი ჯარისკაცები ეხვეწებოდნენ დამატებით დოზებს. ვფიქრობ, ნაცნობი სურათია...

შერჩევითი სამართალი, ნაცების ხანაში ფრთები რომ გაშალა და დღესაც გრძელდება, არახალია თორემ ნანული ჟორჟოლიანს წესიერ ქვეყანაში ხმას ვინ ამოაღებინებდა? მოკლე მახსოვრობის გოგოს დაავიწყდა, რომ ნანუკა ჟორჟოლიანის ძმის პირველი დაკავება სწორედ ირაკლის და ვანოს დაპირისპირების გარიჟრაჟზე მოხდა, მერე მეორედაც დააკავეს „წმინდანი“ სიძის და „უწმინდესი“ დის „ქინძებს“ შორის თავშეფარებული ბიჭი. საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ **ნატო ხუჯაძემ ერეკლე კოდუას** ცოლის ძმა **მიხეილ ჟორჟოლიანი** გირაოს სანაცვლოდ პატიმრობიდან გაათავისუფლა. იმჟამად წერდნენ, რომ დაუზუსტებელი მონაცემებით, ჟორჟოლიანმა 10 000-ლარიანი გირაო გადაიხადა.



ჟორჟოლიანი მეორედ გათავისუფლეს გირაოს სანაცვლოდ, მაშინ, როცა პირველი პროცესი ჯერ არ იყო გამართული და სასჯელის ვადა დადგენილი, როცა ის პირველ ფაქტზე ან გამართლებული, ან გამტყუნებული არ იყო. სხვებს, ჩვეულებრივ მოკვდავებს, მსგავს შემთხვევაში, ციხეში ჩაალპობდნენ, ნანუკას ძმა კი „სრულიად სამართლიანად“ შეეცოდათ.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის აპრილში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა მიხეილ ჟორჟოლიანი პოლიციისთვის ჯგუფური წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით (353-ე მუხლის მეორე ნაწილი) დააკავეს, წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს და შემდეგ, გირაოს გადახდის სანაცვლოდ, გაათავისუფლეს (მუხლი 4-7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა).

ნაწყვეტი გავრცელებული ინფორმაციიდან: „ასევე, დაზუსტებით ვიცით ისიც, რომ სანამ მეორედ დააკავებდნენ, მიხეილ ჟორჟოლიანმა საქართველოს საზღვარი სასამართლოს ნებართვის გარეშე ორჯერ გადაკვეთა, რასაც სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია“.

მოკლედ, ვირთხების კანონი დაიწყო, მაგრამ... როგორც ჩანს, მთლად ბოლომდე ვერ გავიდა,... ახლა კი, მხოლოდ და მხოლოდ საქმის დეტალურად გახსენებისთვის pres-cavcasia.ge კიდევ ერთხელ გთავაზობთ 30.11. 2010 წლის ინფორმაციას იმ დარღვევის შესახებ, რომელიც გათამაშდა მიშა ჟორჟოლიანის სასამართლო პროცესზე – ალბათ, კარგად სთხოვა ერეკლემ ვანოს, მიშიკოს და... შედეგიც დადგა! ეტყობა, **ვლადიმერ დოლიძეს** პატრონი არ ჰყავს!

რა გასაკვირიც ესაა, დღევანდელ ინვალიდთა თავშესაფარში, საქართველო რომ დარჩა სახელად მხოლოდ?! ერეკლე კოდუას ცოლის ძმა პატიმრობიდან მეუღლის ფეხმძიმობის მოტივით გაათავისუფლეს: „კრიმინალური პოლიციის შეფის მეუღლის ნანუკა ჟორჟოლიანის ძმასთან – მიშა ჟორჟოლიანთან ერთად დაკავებული ვლადიმერ დოლიძე პატიმრობაში დაუსაბუთებლად დატოვების მოტივით ქართულ მართლმსაჯულებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში უჩივის. როგორც ჟურნალისტებს დოლიძის უფლებების დამცველმა **მამუკა ნოზაძემ** განგვიცხადა, დოლიძე პატიმრობაში დაუსაბუთებლად იმყოფება, რითაც ევროპული კონვენციის მეხუთე მუხლის მესამე ნაწილი ირღვევა.

„აღნიშნული მუხლის თანახმად, ყველა პატიმარს, მოსამართლის მიერ შესაბამისი არგუმენტების არ წარმოდგენის შემთხვევაში გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების უფლება ენიჭება. ჩვენ 5-ჯერ დავაყენეთ გირაოს შუამდგომლობა, მით უფრო, რომ დოლიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და ამის დასტურად სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც მოგვეპოვება, მაგრამ შუამდომლობა არც ერთხელ არ დაგვიკმაყოფილეს. „აღსანიშნავია ისიც, რომ დოლიძესთან ერთად დაკავებული მიშა ჟორჟოლიანი სასამართლომ „გირაოს სანაცვლოდ, „მეუღლის ფეხმძიმობის“ მოტივით გაათავისუფლა, რაც მართლმსაჯულების ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტია. რაც შეეხება დანარჩენ სამ დაკავებულს – დ. ბ.-ს, კ. ჩ.-ს და ი. ღ.-ს, ისინი ჯანმრთელობის გაუარესების საფუძველზე გათავისუფლდნენ, მაშინ, როდესაც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რეალურად, მხოლოდ დოლიძეს გააჩნია, რომელსაც ღვიძლის და კუჭის სერიოზული პრობლემები აქვს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს გირაოს სახით ყველაზე დიდ თანხას – თავდაპირველად 10 000, შემდეგ კი 15 000 ლარს ჩვენ ვთავაზობდით, დანარჩენმა დაკავებულებმა კი 5-5 000 გადაიხადეს“, – აცხადებს მამუკა ნოზაძე, რომლის ინფორმაციით, საქმე სტრასბურგში უკვე გადაიგზავნა.

ადვოკატის მტკიცებით, ვლადიმერ დოლიძე პატიმრობისთვის „წინასწარ იყო განწირული.

მოსამართლე ნატო ხუჯაძეს ვადა ეწურება, დიდი სურვილი აქვს სასამართლოს კედლები არ დატოვოს. ვფიქრობ, იუსტიციის საბჭო უნდა დაინტერესდეს მის მიერ გამოტანილი მიკერძოებული განაჩენებით, ნატო ხუჯაძე პროკურატურის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდა, სამართლიანი სასამართლოს, საკუთრების და დაცვის უფლებას ართმევდა „სოდი“-ს მიერ უკანონოდ, დაუშვებელი მტკიცებულებებით წარდგენილ მსჯავრდებულებს! რაც შეეხება პროკურატურას, ახია, უარეს პრეტენზიებს იმსახურებს ნანულისგან, გვამების შემგროვებელ, ყაჩაღ, ნარკომან და ნარკობარონ ერეკლე კოდუას რომ ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის მუხლს წარუდგენ, უნდა დაიხურონ ქუდი და დაადონ დიდი ბოქლომი მთავარ პროკურატურას. არავინ ფიქრობს იმაზე, კოდუამ და მისმა ხროვამ რამდენი ოჯახი გაძარცვეს, დააქციეს, გაანადგურეს ფიზიკურად თუ სულიერად, რამდენ მოზარდს თუ ზრდასრულ ადამიანს დაუმახინჯეს სული, სად დაილექება და როდის ამოხეთქავს უსამართლობის განცდით დაგროვილი უამრავი ადამიანის რისხვა, რომელიც მარტო „გასოდებულ“ ირაკლის კი არა, პროკურორ ადეიშვილის შემსრულებლებსაც წალეკავს. ვფიქრობ, არ ეყოფა ლაურას აქ დარჩენილ შვილებს ის დაცვა, რომლის დახმარებითაც დღეს გადაადგილდებიან, უბედურებაა, როცა თუნდაც ბოდიშის მოხდის სურვილიც არა აქვთ. ამ გაურკვევლობასთან ერთად კი საზოგადოებაში ნიჰილიზმის და საკუთარი ძალებით სამართლის პოვნის სახიფათო კომბინაცია – კიდევ უფრო საშიში და რეალურია.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მსოფლიო პრესის მიხედვით

გახდება თუ არა საქართველო ამერიკისა და ევროპისთვის პრიორიტეტი ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით?

„დასავლეთის ენერგეტიკული სტრატეგიის განვითარება შავი ზღვის რეგიონსა და მის საზღვრებს მიღმა“ – ამ თემაზე მომზადებულ მოხსენებაში ცნობილი სოვეტოლოგი, საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ამერიკელი ექსპერტი არიელ კოენი წერს, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი, მინიმუმამდე შეამციროს რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულება. მისი აზრით, საქართველო უნდა გახდეს ერთ-ერთი პრიორიტეტული ქვეყანა ევროპისა და ამერიკისთვის გაზის ალტერნატიული წყაროების ძიების მხრივ.

„ზოგიერთ ქვეყანას, რომლებიც დამოკიდებული არიან რუსეთის გაზზე ან წარმოადგენენ რუსეთისა და კასპიის გაზის მთავარ სატრანზიტო ქვეყანას, მართლაც აქვთ ენერგორესურსების დიდი მარაგი. ამ თვალსაზრისით, ასეთ ქვეყნებს შეუძლიათ გახდნენ დამოუკიდებლები ან თითქმის დამოუკიდებლები. მაგალითად, საქართველო ევროპისთვის გახდა ნახშირწყალბადის მნიშვნელოვანი წყარო“, – აღნიშნავს ამერიკის ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსებისა და გეოპოლიტიკის ცენტრის ხელმძღვანელი არიელ კოენი თავის მოხსენებაში.

კოენი მოსაზრებას გამოთქვამს კომპანია Frontera Resources-ის დაანონსებულ ინფორმაციაზეც. მოგეხსენებათ, 2015 წლის 8 ოქტომბერს ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კომპანიამ გააკეთა განცხადება საქართველოში მიმდინარე ძებნა-ძიების ოპერაციების შედეგებზე, კერძოდ, „სამხრეთ კახეთის გაზის კომპლექსად“ წოდებულ მწარეხევისა და ტარიბანის გაზის კომპლექსების მიმდებარე ტერიტორიაზე დაანგარიშებული გაზის შესაძლო მოცულობის შესახებ. კომპანიის შეფასებით, გაზის რესურსი 5 ტრილიონ კუბმეტრს შეადგენს. ქართველ ექსპერტთა ერთი ნაწილი „ფრონტერას“ აღმოჩენებს არ ენდობა და ფიქრობს, რომ კომპანიას ეს სხვა მიზნებისთვის სჭირდება. შესაძლოა, ეს მართლაც ასეა, რადგან, როგორც უცხოური სააგენტოები იუწყებიან, ბოლო პერიოდში „ფრონტერას“ აქციების ფასმა ექვსი პროცენტით მოიმატა. მიუხედავად ეჭვებისა და ამ კომპანიისადმი გარკვეული უნდობლობისა, საქართველოში გაზის შესაძლო რესურსების ამბავი ატლანტიკური საბჭოს ანგარიშში მოხვდა.

„თუ დამოუკიდებელი ექსპერტებიც დაადასტურებენ გაზის მოცულობას და გეოპოლიტიკური გამოწვევებიც წარმატებით დასრულდება, ეს იმას ნიშნავს, რომ დაბალშემოსავლიანი საქართველო გაზის იმპორტიორი ქვეყნის ნაცვლად შეიძლება მისი ესპორტიორი გახდეს. საქართველოს შეეძლება გაზი მიაწოდოს თურქეთს, რუმინეთს, უკრაინასა და ევროპულ ბაზარს“, – წერს კოენი.

მოხსენების თანახმად, საქართველო ამჟამად უზრუნველყოფს დაახლოებით ორი მილიონი ბარელი ნავთობის ტრანზიტს თურქეთსა და ევროპაში. სამომავლოდ, ენერგორესურსების ექსპორტისგან მიღებული უდიდესი მოგება ამ სახელმწიფოს გახდის მაღალშემოსავლიანს და განაპირობებს ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებას, სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესებას.

„საქართველოს ახლა აკისრია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ნავთობისა და გაზის ტრანზიტული ჰაბის როლი და თუ იგი ენერგორესურსების მწარმოებლისა და ექსპორტიორის სტატუსს შეიძენს, მისი რეგიონული აქტუალობა მოიმატებს. ამის გათვალისწინებით, საქართველოს ახლა აქვს შესაძლებლობა გაზარდოს თავისი მნიშვნელოვნება როგორც ნატოსთვის, ისე ევროპული ენერგოუსაფრთხოებისთვის. ამას ხელს უწყობს სტრატეგიული მდებარეობა: ერთი მხრივ, ესაზღვრება ნატოს ყველაზე პროდასავლურ თურქეთს და მეორე მხრივ – რუსეთს“, – წერს ავტორი.

არიელ კოენის მოსაზრებით, საქართველოს ახლა სჭირდება ხელისუფლების თავდადება, მეტი გამჭვირვალობა, კარგი მმართველობა, კანონის უზენაესობა, რომელთა გარეშე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გაძნელდება.

„სტრატეგიული ადგილმდებარეობითა და რეზერვებით, ჰიდროპოტენციალითა და თურქეთის ბაზრის სიახლოვით საქართველოს შეუძლია გახდეს ენერგორესურსების პერსპექტიული მიმწოდებელი არა მარტო მთლიანად შავი ზღვის რეგიონისთვის, არამედ მის საზღვრებს მიღმაც“, – წერს კოენი.

ანგარიშში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ საქართველოსთან თანამშრომლობა ნატოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად უნდა იქცეს.

ვის სჭირდება პოლიტიკური პარტიები ან დემოკრატიის თამაშები სოხუმში

წინა კვირას სოხუმში გაიმართა „ერთიანი აფხაზეთის“ ყრილობა, რომლითაც დამთავრდა აფხაზეთის პოლიტიკური ლანდშაფტის ჩამოყალიბება. ახლა ალბათობის დიდი ხარისხით შეიძლება ლაპარაკი შედეგების შეჯამებაზეც და სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებისას პოლიტიკური ძალების გავლენაზეც. მნიშვნელობა არ აქვს, პოლიტიკური პარტიები უკვე რეგისტრირებული არიან თუ დარეგისტრირდებიან მორიგი არჩევნების წინ. რა გვაქვს ხელთ, ამის დათვლა ახლაც შეიძლება, – წერს ცნობილი აფხაზი ჟურნალისტი იზიდა ჭანია.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველა პარტია მცირერიცხოვანია და ხალხის ნდობით არ სარგებლობს – აფხაზეთის არც ერთი პარტიული გაერთიანება არ იცავს მოქალაქეთა უფლებებს, ყოველ შემთხვევაში ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲫᲕᲔᲚᲜᲘᲡ მოქალაქეებს. ყველასთვის ცხადია, რომ ეს პარტიები იქმნება როგორც ხელისუფლებაზე ზემოქმედების ინსტრუმენტად, რათა გარკვეულ პირთა მცირე ჯგუფმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიოს.

ჩემი სუბიექტური მოსაზრებით,

ცხრა პოლიტიკური პარტიიდან, რომლებიც აცხადებენ თავიანთი არსებობის შესახებ, შვიდი მკაფიოდ გამოხატული პრორუსული მიმართულებისაა. განსაკუთრებით გამოირჩევა „ერთიანი აფხაზეთი“, რომლის ლიდერად წინა კვირას აირჩიეს პარლამენტის დეპუტატი სერგეი შამბა, რომელიც თვალდახუჭული მხარს უჭერდა აბსოლუტურად ყველა რუსულ პროექტს აფხაზეთში. და რევანშისტული პარტია „ამცახარა“, რომელსაც გაყიდვების საკითხებში (უძრავი ქონება თუ ნავთობი...) აგრესიული პრორუსული პოზიცია აქვს. მათგან ოდნავ განსხვავდება ძველი პარტიების პოზიციები. ასეთები არიან: აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმი, ცენტრისტული „ერა“, რომელიც სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებს ხოლმე არჩევნებს შორის პერიოდში, და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი ყველაზე ინდიფერენტული კომუნისტური პარტია. ახალშობილი და ჯერჯერობით დაურეგისტრირებელია „დემოკრატიული“ და სახალხო ფრონტი. ჩამოთვლილი პარტიებისგან განსხვავებულია „აინარი“, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მიღებას უცხოელებისთვის უძრავი ქონების მიყიდვის შესახებ, და აფხაზეთის სახალხო პარტია, რომლის ლიდერი იაკუბ ლაკობა ქვეყნის პარტიულ ისტორიაში შევიდა იმით, რომ 2011 წელს რუსეთის საანგარიშო პალატის ხელმძღვანელ სტეპაშინზე ცილისწამების გამო დააკავეს. არსებობს აგრეთვე ბევრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც „დათქმულ დღეს“ ამა თუ იმ პარტიის ან, უფრო სწორად, რომელიმე პოლიტიკური ბლოკის სატელიტებად იქცევიან.

აფხაზეთისთვის მეტისმეტად დიდ პარტიულ სიაში არ არსებობს არც ერთი ორგანიზაცია, რომელიც უპასუხებდა საზოგადოების მოთხოვნებს, იბრძოლებდა კორუფციის წინააღმდეგ, გააკონტროლებდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას ან თუნდაც კვების პროდუქტების ხარისხს. ნიუნსებს თუ არ ჩავუღრმავდებით, დიდი განსხვავება არ არის იმაში, თუ რომელი ბლოკი გაიმარჯვებს არჩევნებზე. პარტიულ სიაში დეპუტატების დამატება უბრალოდ იმის გარანტიაა, აფხაზეთში „გაათრიო“ ნებისმიერი, ყველაზე არაგონივრული და ქვეყნისთვის არახელსაყრელი პროექტი.

ეს დიდი პრობლემაა. ერთვექტორიანმა პოლიტიკამ – ხაზმა, რომელსაც პრეზიდენტი ბაღაფში ატარებდა აფხაზეთის აღიარების გამო რუსეთის მიმართ მადლიერების ნიშნად – ცუდი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას. აფხაზეთი ეტაპობრივად თმობს თავის ნაციონალურ ინტერესებს სტრატეგიული პარტნიორის სასარგებლოდ. ახლანდელმა არჩევნებმა, თუკი ის პროპორციული-მაჟორიტარული სისტემით გაიმართება, შეიძლება საბოლოო წერტილი დაუსვას დამოუკიდებელ სახელმწიფოზე ოცნებას.

„უფსკრულზე გადებული ხიდი“: რომის პაპისა და რუსეთის პატრიარქის პირველი შეხვედრა

„ისტორიული“ და „საკვირველი“ – ასე აფასებენ დასავლეთის მედიასაშუალებები და ანალიტიკოსები 12 თებერვალს კათოლიკური და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურების – ფრანცისკესა და კირილის კუბაში დაგეგმილ შეხვედრას. ეს მოვლენა დიდხანს მზადდებოდა და მასში მონაწილეობდა ახლანდელი პატრიარქი, ჯერ კიდევ მისი მიტროპოლიტობის დროს, და შესაძლებელი გახდა პაპ ფრანცისკეს დიპლომატიის წყალობით. ამერიკული გამოცემების შეფასებით,

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ეს შეხვედრა ორივე კონფესიისთვის მნიშვნელოვანია:

ეს იქნება პაპისა და რუსეთის პატრიარქის პირველი შეხვედრა მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა აღმოსავლურ და დასავლურ შტოებად გაიყო ათასი წლის წინ. შეხვედრის გადაწყვეტილება განაპირობა იმ სიძნელეებმა, რომლებსაც აწყდებიან ქრისტიანები მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში.

ეს არ არის ერთადერთი საბაბი, რომლის გამო შეხვედრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორი ეკლესიის ურთიერთქმედების რთული ისტორიის გამო. მართლმადიდებელი წინამძღვარი ესწრაფვის მიუახლოვდეს ორ სტრატეგიულ მიზანს: გადაავადოს საბოლოო განხეთქილება მოსკოვის საპატრიარქოსა და უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის, აგრეთვე კიდევ უფრო გაართულოს უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობა რომთან.

პაპი ფრანცისკე დაიცავს რუსეთსა და უკრაინაში მცხოვრებ კათოლიკეთა რელიგიურ თავისუფლებებს. ეს შეხვედრა პაპისთვის შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან მიღწევად ვატიკანის მისწრაფებებში, გადალახოს უთანხმოება ქრისტიანებს შორის.

პონტიფიკოსი სამი წელი არ არის ამ ტახტზე და მან მოახერხა ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძლეს მისმა წინამორბედებმა. XI საუკუნიდან მოყოლებული, ეკლესიებს შორის განხეთქილების შემდეგ, არც ერთი პაპი არ შეხვედრია რუსეთის ეკლესიის პატრიარქს (საპატრიარქო რუსეთის ეკლესიაში XVI საუკუნიდან არსებობს).

მალე უნდა დაიწყოს ყველაზე გამომსახველი ხიდის მშენებლობა გაჩენილ უფსკრულზე. ამას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა არათუ წინა ასწლეულებში, არამედ ამ საუკუნეშიც. ამ შეხვედრის ისტორიის მომზადების ათვლა იწყება 1964 წლიდან, როცა პაპი პავლე მეექვსე და მართლმადიდებელ პატრიარქებში „თანასწორებში უპირველესი“ კონსტანტინეპოლის პატრიარქი აფინაგორი ერთმანეთს შეხვდნენ. იოანე პავლე მეორესაც სურდა ასეთი შეხვედრის მოწყობა, მაგრამ მოსკოვის პატრიარქი სიფრთხილეს იჩენდა და აცხადებდა, რომ ეს ვერ მოხდებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის ტერიტორიაზე კათოლიკური „პროზელიტიზმის“ ან უკრაინაში მცხოვრებ ბერძენ-კათოლიკეებთან (რომლებმაც 1989 წელს თავისუფლება მოიპოვეს) დაკავშირებული პრობლემის გამო. მეგობრული ურთიერთობების დასამყარებლად ახლა პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელი დროა. ივნისში კუნძულ კრეტაზე გაიმართება სრულიადმართლმადიდებლური კრება, რომლისთვისაც მზადება 50 წელზე მეტია გრძელდება. რუსეთის პატრიარქს სურდა, პაპს ამ დიდ მოვლენამდე შეხვედროდა.

რომის პაპისა და რუსეთის ეკლესიის პატრიარქის შეხვედრა დაგეგმილია კუბის ხოსე მარტის საერთაშორისო აეროპორტში.

მოამზადა
გულბაათ ჭავჭავაძემ

ავსტრიული პროპაგანდა

ახალგაზრდა ავსტრიელი პოლიტიკოსის, ვენის მერის მოადგილის, ავსტრიის „თავისუფლების პარტიის“ წევრის (FRO) იოჰან გუდენუსის გამოსვლა საერთაშორისო კონფერენციაზე – „ევროპა უნდა განთავისუფლდეს აშშ-ს ბატონობისგან!“

იოჰან გუდენუსი: – „რუსეთის პრეზიდენტმა აბსოლუტური სიმართლე თქვა, ის უნდა იყოს ისეთი, როგორსაც ელის მისი ხალხი – ეს არის პრეზიდენტის, ქვეყნის მეთაურის ამოცანა!

ევროპელები, არ აქვს მნიშვნელობა, გერმანელები, ავსტრიელები, სერბები, ფრანგები – ყველას, ევროპელებს აქვთ უფლება, რომ მათი ხალხების წარმომადგენელი იყოს ისეთი, როგორსაც მისგან მისი ხალხი მოელის და არა ნატო-სა და ამერიკელების ინტერესების მიხედვით;

მათ აქვთ უფლება, ჰქონდეთ მოლოდინი, რომ კულტურა, ღირებულებები, სიმდიდრე, უფლებები, ცხოვრების წესი, რომელიც წინაპრებისგან გადმოეცათ ჯიჰადიზმისა და სალაფიზმისგან დაცული იყოს.

დიახ, ეს ასეა, ბრძოლა ძალზე მნიშვნელოვანია რათა დავიცვათ ჩვენი თავისუფლება ევროპაშიც, ეს არის ბრძოლა არაჯანმრთელი აზროვნების სახის წინააღმდეგ ევროკავშირში და სწორი დამოკიდებულება ტოლერანტობისა და თვითგანადგურების მიმართ. არაჯანსაღი მიამიტობა და გულუბრყვილობა, არაჯანსაღი უღმერთო აზრები, რომლებიც გაჩნდა ევროპაში – მოდით, ამის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ! ერთად ვიბრძოლოთ ქალბატონებო და ბატონებო!

ეს არის ევროპული სამყაროს ბრძოლა სალაფისტური ისლამიზაციის წინააღმდეგ, ბრძოლა ევროპისა და მისი ხალხების სიკვდილისგან გადარჩენისა. ამ ბრძოლას მხოლოდ მაშინ მოვიგებთ, თუ ჩვენ, ყველანი, ერთად, ერთობლივად გავაკეთებთ ერთ საქმეს – ეს ჩვენი პასუხისმგებლობაა და რა თქმა უნდა, ევროკავშირისაც, რომ გამოვიჩინოთ კეთილგონიერება და გადავდგათ ნაბიჯი რუსეთისკენ.

პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქმნება რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შეწყვეტა (ტაში). ერთის მხრივ, როგორც ურთიერთთანამშრომლობის სურვილის დადასტურების მტკიცება, მეორეს მხრივ, ჩენი ეკონომიკისა და ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ. ეს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ დაწესდა აშშ-ს ბრძანების შედეგად. აშშ-ის მიზანი ყოველთვის იყო ევროპის დაყოფა და მე მინდა გითხრათ, რომ რუსეთი ყოველთვის იყო ევროპის ნაწილი (ტაში). მხოლოდ ჩემ სამშობლოში, ავსტრიაში, რომელიც ძალიან პატარა ქვეყანაა, ექსპერტების შეფასებით, ამ სანქციების გამო, 45 000 ადამიანი დარჩა სამსახურის გარეშე და ეს იმ დროს, როცა ჩვენთან უმუშევრობის ისედაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია II მსოფლიო ომიდან მოყოლებული. თუ შემდგომშიც გაგრძელდება ეს კურსი, ავსტრიის ექსპორტი რუსეთში მეოთხედით შემცირდება, რაც 3 მლრდ ევროს დანაკარგია. არ შეიძლება ამას ასე უბრალოდ, უმოქმედოდ უყურეს მთავრობამ და ევროკავშირის მთავრობამ. ევროკავშირმა თავს ნება მისცა და ეს სანქციები აშშ-ის კარნახით მიიღო. აშშ-ს ბევრი რამის კარნახი უნდა... აშშ-ს ასევე უნდა, რომ კოსოვო გახდეს „იუნესკოს“ წევრი და ამ შემთხვევაში ჩვენც მოვაწერეთ ხელი პეტიციას, რომ ეს არასწორია და არ მიირეს კოსოვო „იუნესკოში“. ამ მაგალითით ჩანს, რომ ხალხის ზეწოლით ზემოქმედება აბსოლუტურად შესაძლებელია. აშშ-მა გვიკარნახა სანქციები რუსეთის წინააღმდეგ და ის არის ახლა ერთადერთი სახელმწიფო რომელსაც აქვს პლუსი ტვირთბრუნვაში რუსეთთან. გერმანიას შეუმცირდა, ავსტრიას შეუმცირდა და ა.შ ხოლო აშშ-ს პირიქით, გაეზარდა 10%-ით. Eეს რა პოლიტიკაა ამ ევროკავშირში, როცა ასეთს უშვებს, ესენი თავიანთი ხალხის წარმომადგენლობა კი არა, ესენი თავიანთი ხალხის გამყიდველები არიან, ქალბატონებო და ბატონებო!

დადგა დრო, რომ ეს პრობლემები წინა პლანზე გადმოვიტანოთ. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო – ევროპა არ არის მხოლოდ ევროკავშირი! ევროკავშირი უფრო და უფრო ხდება ანტიევროპული პროექტი. მე ვთვლი, რომ ჩემი და ჩემი კოლეგების ამოცანა უნდა იყოს ის, რომ დავაბრუნოთ ევროკავშირი სწორი მიმართულებით!

შემიძლია ვთქვა, რომ თუ ევროკავშირი, ერთის მხრივ, იღებს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, სანქციებს ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ, მოლაპარაკებას აწარმოებს თურქეთის ევროკავშირის წევრად გახდომაზე, ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ არასწორი მიმართულებით მიდის ევროკავშირი.

დასასრულს, მინდა გითხრათ – ევროპა უნდა განთავისუფლდეს ამერიკული უღლისგან!“

გუდენუსის გამოსვლის კვალდაკვალ ბულგარეთის დედაქალაქში პარლამენტის შენობის წინ გამოვიდა მოსახლეობა ნაციონალური დროშებითა და ნაციონალური გმირების: ვასილი ლევსკის, ხრისტო ბოტევის, ივან ვაზოვის პორტრეტებითა და ლოზუნგებით: „NATO გაეთრიე ქვეყნიდან!“ „შეწყდეს ამერიკული ოკუპაცია!“ ქვეყანაში არსებული განუკითხაობის გასაპროტესტებლად.

მღელვარება გამოიწვია იმან, რომ განათლების სისტემაში გამოიკვეთა ბულგარეთის ისტორიის გადაწერის მცდელობა, ასევე სასწავლო სახელმწიფოებიდან დიდი ბულგარელი ავტორების ამოღება. ხალხი სწორედ საკუთარი, შშობლიური ისტორიის დასაცავად გამოვიდა. ბულგარეთის ისტორიისა და ლიტერატურის მკრეხელური ხელყოფის დირექტივების ავტორად ბულგარელი ხალხი აშშ-ს თვლის, რომელიც ურცხვად ერევა ქვეყნის პოლიტიკაში და საკუთარი განზრახვების სისრულეში მოყვანას ხალხის ნების გამოხატულებად ნათლავს. აქციაზე დემონსტრანტების დაპატიმრებაც მოხდა, თუმცა, როგორც ინფორმაცია ვრცელდება, ესეც მოწყობილი იყო, რადგან მშვიდობიან დემონსტრანტებში შეშვებული იყვნენ ცივიარაღიანი (დანები) და ძალოსანური სპორტის ელემენტების კარგად მცოდნე პროვოკატორები, დაკავებით კი, დემონსტრაციის აქტიური მონაწილეები დააკავეს. როგორც მოსალოდნელი იყო, გადადგა განათლების მინისტრი, რაც არაფერს ცვლის, რადგან ევროსაბჭოს თავმჯდომარეს თანამზრახველებთან ერთად ღიად აქვს გამოცხადებული, რომ ისეთი ცნებები, როგორიცაა „ეროვნება“ და „სამშობლო“, ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ. იგივე წერია 2014 წელს მიღებულ მემორანდუმში საბერძნეთის შესახებ, რომ 11.12.2018 წლიდან უნდა მოხდეს საბერძნეთში საბერძნეთის ისტორიის გაუქმება და ბერძენთა აჯანყების შესახებ ინფორმაციის ამოღება სასკოლო პროგრამებიდან, სანაცვლოდ, ევროპის აღორძინებისა და საფრანგეთისა და იტალიის რევოლუციების საკითხებთან დაკავშირებული გაკვეთილების შემოტანა, – ასე ამბობს ევროსაბჭოს თავმჯდომარის ჰერმან ვან რომპეის ხელმოწერილი მემორანდუმი. ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით, ცხადია, საკუთარი ისტორიის დაკარგვა მხოლოდ საბერძნეთსა და ბულგარეთს არ ეხება და შეეხება ან შეეხო...

გიორგი ჩხეიძე

„ყველა თეატრში გარბის, ყველას სწყურია ოპერა...“

II ნაწილი

ხანძრის შემდეგ თეატრმა „დროებით“ თავი შეაფარა საინჟინრო უწყების ბაღში მდებარე თეატრს. ეს „დროებით“ 22 წელიწადს გაგრძელდა.

მაშინვე დაიწყო თეატრის რესტავრაციის საკითხზე მსჯელობა. თამამშევთან ორი წლის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო – ქარვასლაში თეატრის არსებობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. როცა უფასოდ მიცემული მიწის საფასური მოსთხოვეს, ადგილობრივ ხელისუფლებას, როგორც ამბობდნენ, 150 ათასი მანეთი მიუგდო. არაფერი უზარალია – შენობის დაზღვევის თანხა იმაზე მეტი გადაუხადეს, ვიდრე თვითონ ქალაქის ცენტრში დიდი ნაკვეთი დაუჯდა. თამამშევმა ისევ ვაჭრობა გააჩაღა, ხოლო 150 ათასი მანეთი ახალი თეატრის ასაგებად შექმნილი ფონდის საწყის კაპიტალად დაიგულეს.

მშენებლობის ადგილად შეირჩა მიწის ნაკვეთი გოლოვინის პროსპექტზე, იქ, სადაც ახლა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრია. მიწა რამდენიმე მფლობელისგან შეიძინეს (ზუბალაშვილი, ჩითახოვი, ემინოვი). თეატრის შენობის პროექტის კონკურსი 1876 წელს გამოცხადდა. წარმოდგენილი ოთხი პროექტიდან მოიწონეს პეტერბურგელი არქიტექტორის აკადემიკოს ვ. შრეტერის პროექტი, რომელიც მეფისნაცვალმა 14 თვის შემდეგ დაამტკიცა. 1880 წლის ივლისში მშენებლობა დაიწყო, მაგრამ ბევრი მიზეზის გამო გაჭიანურდა – ხან ადგილობრივმა წარმოებამ ვერ უზრუნველყო სამშენებლო მასალით, ხან აგურის ხარისხი არ ვარგოდა და ქუთაისიდან ეზიდებოდნენ, არქიტექტორი შრეტერი მშენებლობას თვალს ადევნებდა პეტერბურგიდან მანამდე, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ

ხანძარი ქარვასლა თეატრში

მიხვდა, რომ ასეთი რამ „უხერხული“ იყო და იგი არქიტექტორმა ზალცმანმა ჩაანაცვლა. ამას დაემატა ისიც, რომ ახალდანიშნულ მთავარმმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს დიდად არ აღელვებდა თეატრის მშენებლობა. ექვსი წელი დასჭირდა კედლების აგებას და გადახურვას, რადგან ხაზინა საჭირო თანხას არ იძლეოდა. ვიდრე ქალაქის საბჭო ორი წლის განმავლობაში მშენებლობის დამთავრების საკითხს განიხილავდა, თეატრისთვის განკუთვნილ შენობას სამხედრო-საინჟინრო უწყება საწყობად იყენებდა.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მშენებლობის გაჭიანურებას განიცდიდა პეტრე ჩაიკოვსკი, რომელიც 1886-1890 წლებში ხუთჯერ ეწვია საქართველოს და აღფრთოვანებას ვერ მალავდა ოპერისა და მთლიანად კლასიკური მუსიკისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებით. ამბობდა, **ჩემი ოპერები თბილისში უფრო ხშირად იდგმება, ვიდრე სხვაგან და იქნებ იმაზე მეტადაც უყვართ, ვიდრე რუსეთშიო.**

1890 წლით დათარიღებულ წერილში თბილისის საოპერო თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, ცნობილ კომპოზიტორ მიხეილ იპოლიტ-ივანოვს ჩაიკოვსკი სწერდა: **„სამწუხაროა, რომ საქმე შეფერხდა. შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ კვლავ აყვავდება მანდ ოპერა? საზოგადოდ, რა მდგომარეობაშია ახლა თეატრის მშენებლობის დამთავრების საქმე?“.**

ხაზინა სრულად არ იძლეოდა იმ თანხას, რაც მშენებლობის დასამთავრებლად და თეატრის მოსაწყობად იყო საჭირო. ნაწილ-ნაწილ გაცემული სუბსიდია კი სამშენებლო კომისიის შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა ხელფასებად იფლანგებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მეფის ბრძანებით ფინანსთა სამინისტრომ გასცა საჭირო თანხა, რომელიც გრძელვადიან სესხად გაფორმდა და იგი თეატრს 20 წლის განმავლობაში უნდა დაეფარა.

საბოლოოდ, თეატრი ისეთი არ გამოვიდა, როგორიც პროექტით იყო ჩაფიქრებული, მაგრამ 1896 წლის 3 ნოემბერს საგანგებოდ მოწვეულ პირთათვის თეატრი საზეიმოდ გაიხსნა მიხეილ გლინკას ოპერით „ივან სუსანინი“.

როგორც შალვა კაშმაძე წერს „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის“ ორტომეულში, **„ქარვასლის ხანძრიდან 22 წლის შემდეგ თბილისის ოპერამ ლაფიან ჩიხს გადმოაბიჯა და ნათელ გზაზე გამოვიდა. თეატრის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყებოდა“.**

კავკასიის მთავარმმართებლის მოვალეობის აღმსრულებელმა ი. ტატიშჩევმა დეპეშით აცნობა დიდ მთავარ მიხეილს ახალი სახაზინო თეატრის გახსნის ამბავი.

„ზედმიწევნით მოხარული ვარ, რომ როგორც იქნა თბილისის თეატრის მშენებლობა დამთავრდა და სპექტაკლები დაიწყო. იმედს ვიტოვებ, რომ თბილისელები ხშირად და სიხარულით იკლიან ამ თეატრში“, – ეწერა მიხეილისგან გამოგზავნილ წერილში.

ამ ბარათით და დიდი მთავრის განწყობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თბილისის ოპერის თეატრის გაჭიანურებული მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული დაბრკოლებების გამო რუსეთის მეფის კარზეც წუხდნენ.

1896-1897 წლების სეზონში ია კარგარეთელის დებიუტი გაიმართა „დემონში“. ახალგაზრდა ქართველი მომღერლის შესახებ ქართულ პრესაში დაბეჭდილ რეცენზიაში ვკითხულობთ: **„ჭაბუკი დებიუტანტი ჩვენებური ადამიანია. მუსიკალური განათლება მიღებული აქვს მოსკოვში და თბილისის სამუსიკო სასწავლებელში... სასიხარულოა, რომ დირექციამ ყურადღება მიაქცია ადგილობრივ ქართულ ძალას, რომლის შემდგომ განვითარებას დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს“.**

თბილისის სახაზინო თეატრს მსოფლოს სხვადასხვა ქვეყნის საოპერო და საბალეტო დასები, წამყვანი სოლისტები სტუმრობდნენ. 1905 წელს ჩამოყალიბებული ფილარმონიული საზოგადოების ხელშეწყობით უცხოური ოპერები (მათ შორის რუსულიც) ითარგმნა და ქართულად დაიდგა. პირველი ქართული ორიგინალური ოპერა კი 1918 წლის 17 ივნისს წარმოადგინეს – ეს იყო რევაზ გოგნიაშვილის „ქრისტინე“ (ეგნატე ნინოშვილის მიხედვით). 1919 წლის 5 თებერვალს დაიდგა ქართული ოპერის პირველი კლასიკური ნიმუში, დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ხოლო 21 თებერვალს – ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ სრულად (მისი ცალკეული მოქმედებები თბილისის სხვადასხვა თეატრში სრულდებოდა). ოპერას თვითონ ავტორი დირიჟორობდა. რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ აბესალომის პარტიას უკვე ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა. გამოჩენილი მომღერალი ბ. ზალიპსკი, აღფრთოვანებული ვანოს შესრულებით, ამბობდა: **ეს პარტია ასე რომ იმღერო, სარაჯიშვილად უნდა დაიბადო. აქ უშუალოდ მისი ბუნება ღაღადებს და ეს მომაჯადოებელი ბგერები სისხლში აქვსო.** „საქართველოს ბულბული“ და „ხმის გენიოსი“ ვანო სარაჯიშვილი მღელვარებით ასრულებდა აბესალომის პარტიას და გულწრფელად განიცდიდა თავისი გმირის ტრაგიკულ ბედს...

1919 წლის 11 დეკემბერს დაიდგა კიდევ ერთი ქართული ოპერა – ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“. თბილისის ოპერის თეატრში მხოლოდ ერთი სეზონის – 1920-1921 წლების რეპერტუარში იყო 28 ოპერა, რომ აღარაფერი ვთქვათ სიმფონიურ კონცერტებსა და საბალეტო დადგმებზე.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ზაქარია ფალიაშვილის სახელი 1937 წელს ეწოდა. ამავე წელს მოსკოვში არნახული წარმატება ხვდა ქართული ხელოვნების დეკადას, რომლის მონაწილეებს კრემლის დიდ სახლეში თავად იოსებ სტალინმა უმასპინძლა.

ქართული საოპერო სკო-

ქარვასლა თეატრი

პირველი გამოცემა
ავტორის უფლება კანონით დაცულია.

ПЕРВОЕ ИЗДАНИЕ
Авторское право законом охранено.

აბესალომ
და
ეთერი

ქართული ორიგინალური ოთხ მოქმედებიანი ოპერა-ლეგენდა.

მუსიკა ზაქ. ფალიაშვილისა.

აბესალომის და მურმანის „დუეტი“—„ამაღამდელო ღამეო“ (ტენორისა და ბარიტონისათვის)

АБЕСАЛОМ
и
ЭТЕРИ

Грузинская оригинальная 4-х актная опера-легенда.

Муз. Зах. ПАЛИАШВИЛИ.

Дуэт Абесалома и Мурмана „Длись же долго ночка эта“ (для тенора и баритона)

ფასი 1Თ.60Კ. Цена 1р.60к.

ЛИТ. ПОЛИГРАФ-ТР. В.С.Н.Х.Г. ГЛАВЛИТ №373. ТИРАЖ 1000.



უნიკალური ჭაღი

ლის გამოჩენილი მომღერლები გასტროლებით მოგზაურობდნენ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის საოპერო ტრადიციებით სახელგანთქმულ ქალაქებში. უდიდესი გარდატეხა მოახდინა ბალეტში ვახტანგ ჭაბუკიანმა, რომლის ქორეოგრაფიით დადგმულ საბალეტო სპექტაკლებს დღესაც უჩვენებენ მსოფლიოს საბალეტო სცენებზე, ხოლო თვითონ ვახტანგ ჭაბუკიანის, როგორც განუმეორებელი მოცეკვავის სახელი ლეგენდად დარჩა საბალეტო სამყაროში...

* * *

სახელოვანი ტრადიციების მქონე თბილისის ოპერის თეატრის შენობის დიდი ნაწილი 1973 წლის 9 მაისს საეჭვო ვითარებაში გაჩენილმა ხანძარმა შეიწირა. დღის დაახლოებით 3 საათზე გაჩენილი ცეცხლი საღამოს 7 საათზე ჩააქრეს. მთლიანად დაიწვა მაყურებელთა დარბაზი, სცენა, ცეცხლმა შთანთქა სერგო ქობულაძის უნიკალური ფარდა.

დადგინდა, რომ ხანძარი საგანგებოდ გააჩინეს პარტერში, საიდანაც მთელს შენობაში გავრცელდა. შედარებით უვნებელი გადარჩა თეატრის ფასადი. რესპუბლიკის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ სასწრაფო დადგენილება მიიღო ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუქციისა და აღდგენის შესახებ. გამოცხადდა კონკურსი, რომლის შედეგები შეჯამდა 1973 წლის ოქტომბერში. საუკეთესოდ აღიარეს არქიტექტორების, ლერი მეძმარიაშვილისა და მურთაზ ჩაჩანიძის პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შენარჩუნებულიყო შენობის არქიტექტურული ანსამბლი, თუმცა რეკონსტრუქციის შედეგად შენობის მოცულობა 40 პროცენტით გაიზრდებოდა. ავტორებმა სრულად შეინარჩუნეს შენობის ფსევდომავრიტანული, აღმოსავლური სტილი, რაც დეკორატიული კოშკურების, ისრული და ნალისებური თაღების, სტალაქტიტებით შემკული დეკორატიული კოშკურების, აღმოსავლური ორნამენტების ერთობლიობით იქმნება. რასაკვირველია, სრული მოდერნიზაცია განიცადა ტექნიკურმა საშუალებებმა, მანქანადანადგარებმა. ხელახლა აშენდა სცენა. მაყურებელთა დარბაზის მშვენებად იქცა ცენტრალური ჭაღი, რომლის ესკიზზე გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა 35 წლის მხატვარმა ნოდარ ერგემლიძემ. განათების სისტემაში გამოყენებული ბროლი დაამზადა იმ დროს უკვე ასწლიანი ისტორიის მქონე კომპანია „ჰაუპტმა“, რომლის ნახელავით გაწყობილია ნიუ-იორკის, ვენის, პარიზის საოპერო თეატრების ინტერიერები.



ქობულაძისეული აღდგენილი ფარდა

1973 წელსვე დაწყებული სარეკონსტრუქციო-აღდგენითი სამუშაოები 1977 წლის მაისში დამთავრდა. შეიძლება ითქვას, რომ თეატრი ფერფლისგან აღადგინეს. ნოემბერში თეატრალური სეზონი გაიხსნა...

* * *

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი რეკონსტრუქციიდან დაახლოებით 30 წელი იყო გასული, როცა მისი სრული რესტავრაციის პროექტი შემუშავდა. 2010 წელს დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულად დააფინანსა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“. ამჯერადაც პროექტის მთავარი არქიტექტორი ლერი მეძმარიაშვილი იყო.

შენობაში ყველაფერი განახლდა, მაგრამ გაახლეს ისე, რომ სტილი შეინარჩუნეს. შეიცვალა მარმარილო, ვიტრაჟები, ხელახლა მოიხატა კედლები, განახლდა თეატრის მშვენება – ცენტრალური ჭაღი და ყველა ბრა თუ სხვა სანათი. თეატრი თანამედროვე ტექნიკური მიღწევების გათვალისწინებით გადაიარაღდა, დამონტაჟდა ულტრათანამედროვე სცენა, როგორიც მსოფლიოს წამყვან თეატრებშია და როგორზედაც ბევრი ცნობილი კულტურის კერა იოცნებებდა. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც თეატრის რეკონსტრუქცია გაჭიანურდა, სწორედ სცენის რთულ კონსტრუქციას და მის მონტაჟს უკავშირდება. დიდი ძალისხმევა დასჭირდა დარბაზის აკუსტიკურ სამუშაოებს, რომლის შესასრულებლად ამ საქმის უცხოური ფირმები მუშაობდნენ. დამონტაჟდა ულტრათანამედროვე ვიდეო, აუდიო და განათების სისტემები. გაფართოვდა საორკესტრო ორმო, რომელიც 120 მუსიკოსს დაიტევს. თეატრი აღიჭურვა უმაღლესი ხარისხის ინსტრუმენტებით. მაყურებელთა დარბაზის სკამები დაამზადა უცხოურმა ფირმამ სახელწოდებით „თბილისი-სავარძელი“. გამყარდა შენობის ფუნდამენტი, დაემატა ღია ვერანდები და საგამოფენო სივრცე, თეატრს უკანა მხარეს მიაშენეს ნაგებობა, რომელშიც თეატრის დიდი კოლექტივისთვის სასადილო მოეწყო. და რაც მთავარია, თეატრის სცენა კვლავ დაამშვენა სერგო ქობულაძის ფარდამ.

ოპერის თეატრის სრული რეაბილიტაციისთვის 40 მილიონი დაიხარჯა. განახლებულმა თეატრმა 30 იანვარს პირველ მაყურებელს უმასპინძლა – XX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრებული, აგერ უკვე ასწლიანი ტრადიცია, სეზონის გახსნა ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“ არც ამჯერად დარღვეულა. მისი დამდგმელი რეჟისორია გიზო ჟორდანია, მხატვარი – გოგი ალექსი-მესხიშვილი, მთავარ პარტიებს პირველ წარმოდგენაში ასრულებდნენ თამარ ივერი, თეიმურაზ გუგუშვილი და ლადო ათანელი.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ახალი სიცოცხლე დაიწყო. ჩვენ მისი ახლად დაბადების მოწმენი ვართ. იგი ქართული კლასიკური მუსიკისა და ბალეტის, ზოგადად კულტურის დიდ კერად დაუბრუნდა მაყურებელსა და მსმენელს.

ელზა ნაბახტეველი

რა საიდუმლოს ინახავს სამეგრელოში აღმოჩენილი საძმო საფლავები?

დაახლოებით ერთი თვის წინ ჩვენი გაზეთი სენაკის რაიონის სოფელ ეკში მდებარე იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციის დროს აღმოჩენილ აკლდამაზე წერდა, რომელიც ადამიანის ძვლებით იყო სავსე. მასალაზე მუშაობის დროს გაჩნდა ვარაუდი, რომ ძვლები საქართველოს გასაბჭოების შემდგომ პერიოდში და 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ დახვრეტილ ადამიანებს ეკუთვნოდა. მოგვიანებით გავარკვიეთ, რომ სხვადასხვა დროს, მსგავსი სამარხები სამეგრელოს სხვა რაიონებშიც აღმოაჩინეს, თუმცა ეს ადგილები დღემდე სპეციალისტებისა და არქეოლოგების ყურადღების მიღმა რჩება. „საერთო გაზეთს“ „ადამიანის უფლებათა დაცვის აქრივისტთა კავშირის“ კულტურული მემკვიდრეობის განყოფილების ხელმძღვანელი მურმან ხუბულავა ესაუბრა:

– 1989 წლიდან ეროვნულ მოძრაობაში ვარ. იმ დროს ყველა ერთად ვიყავით: ზვიადი, მერაბი, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია და სხვები. 1989 წელს სენაკში ეროვნული მოძრაობის პირველადი ორგანიზაცია „ენა, მამული, სარწმუნოება“ გავხსენით. ორგანიზაციის გახსნა იყო და ფოთიდან ჩვენზე იეღოველთა შემოტევა დაიწყო. იეღოველებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ დიდძალი ლიტერატურა, იკრიბებოდნენ და მართლმადიდებელთა საწინააღმდეგო გამოსვლებს აწყობდნენ. ჩვენ კავშირი გვქონდა მეუფესთან და იეღოველთა აგრესიის საპასუხოდ, მათი ლიტერატურის განხილვას და დისკუსიებს ვაწყობდით. სწორედ იმ პერიოდში აღმოვაჩინეთ ადამიანთა მასიური სამარხი.

– სად და რა ვითარებაში აღმოაჩინეთ?

– სენაკის ცენტრში, საკირეს მთასთან არის მიტოვებული ადგილი. ხალხი ამ ადგილზე გავლას ერიდებოდა, ამიტომ ცხოველების საძოვრად და ნაგავსაყრელად იყო ქცეული. აქ მდებარეობდა უზარმაზარი, 10 მეტრი რადიუსის მქონე საკვამლე მილები. სწორედ ამ ტერიტორიაზე აღმოვაჩინეთ ჩვენ და სენაკის მოსახლეობამ უამრავი ადამიანის ჩონჩხი. ჩვენი ვარაუდით, ეს ძვლები 60-70 წელზე მეტის არაა. 200 და 300 წლის ძვალი მთლიანად გამოფიტულია და გამუქებულია, რაც ამ ძვლებზე არ შეინიშნება. ჩემი აზრით, ეს საქართველოს გასაბჭოების პერიოდის შემდეგ დახვრეტილი ადამიანების ძვლებია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ დროს ადამიანები უკვალოდ ქრებოდნენ. ტყავის ლაბადებში გამოწყობილი ადამიანები ღამით მოდიოდნენ და ადამიანები ლოგინებიდან მიჰყავდათ. შემდეგ მათი კვალი ქრებოდა და ოჯახის წევრს ხმის ამოღების და დაკარგულის მოძიების უფლებაც არ ჰქონდა. არ გამოვრიცხავ, რომ დახვრეტილ ადამიანთა სამარხები გარკვეულწილად, ე.წ. მეგრელთა საქმესაც უკავშირდებოდეს.

– თქვენი აღმოჩენის შესახებ ვინმეს თუ შეატყობინეთ?

– რა თქმა უნდა. მაშინვე საპატრიარქოს და ადგილობრივი ეკლესიის მესვეურებს გავაგებინეთ. სწორედ ეკლესიის დახმარებით, პრიმიტიულად, ხუთი დიდი კუბოს მსგავსი ყუთი შეიჭედა, სადაც ძვლები ჩაალაგეს და იმავე ტერიტორიაზე დამარხეს, მაგრამ მხოლოდ ის ძვლები დაიმარხა, რომელიც მიწის ზედაპირზე ჩანდა. მიწის ქვემოთ კაცმა არ იცის რამდენია.. 1989-90 წლებში ეს თემა ძალიან აქტუალური იყო ჩვენს რაიონში. ხალხი სუფრასთან იმ უბედურების შესანდობარს სვამდა და ღვინოს საკირეს მთისკენ ასხამდა, მაგრამ გავიდა დრო და ეს ამბავი ყველას მიავიწყდა. ალბათ, გახსოვთ, მაშინ გარდამავალი მთავრობები იყო და მასობრივად დახოცილი ადამიანებისთვის პატივის მისაგებად ვერავინ მოიცალა. მალე ის ადგილი ისევ სანაგვედ და შინაური ცხოველების სათარეშოდ იქცა. ამ საქმით არავინ დაინტერესებულა და არავითარი კვალიფიკაცია არ მისცემია, უბრალოდ, ჩვენ. როგორც ქრისტიანებმა, ეს ძვლები შევაგროვეთ და დავმარხეთ, მეტი არაფერი. ახლა იმ ტერიტორიაზე ეკლესია შენდება და ძვლებს

„გზაზე ეჭვი რომ არავის აეღო, ოჯახის წევრებმა საკუთარი მიცვალებული დაანაწევრეს, აბგაში ჩადებული გამოაპარეს და ღამით, ჩუმად დაკრძალეს.“

**– ეს ადგილი ოფიციალურ ინფორმაციით, ეროვნული ძეგლია. ეროვნული ძეგლის ტერიტორიაზე ასეთ ამბავს ადგილობრივ ხელისუფლებას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ეროვნულ არქივს, ეროვნულ მუზეუმს, ეროვნულ ინსტიტუტებს, ეროვნულ ბანკს, ეროვნულ ... ეროვნულ ... ეროვნულ ...

მიდიოდა ავტობუსი... ქუთაისისკენ

დიდი მოკრძალებით ვუძღვნი ბრწყინვალე კინორეჟისორს, ფილმ „ნეილონის ნაძვის ხის“ ავტორს, ბატონ რეზო ესაძეს.

სულ ხალხმრავლობაა, სულ საუბრებია დიდების ავტოსადგურში. ზოგი თავის სახლში მიიჩქარის, ზოგი – ახლობელთან, ზოგი – ლხინში, ზოგი – ჭირში...

ჩვენი ავტობუსი, მოცისფრო-მოთეთრო „მერსედესი“, თითქმის უკვე სავსეა...

„ეს ჩემი ადგილია, აი, ბილეთი! – თავზე ადგას კეპიანი მამაკაცი სათვალიან ქალს, რომელიც კროსვორდს ავსებს რომელიღაც ჟურნალში. „ჩემ ბილეთზეც ეს ადგილია“, – ბილეთს უჩვენებს ქალი. „ოხ, მე მაგათი დედა ვატირე!.. გამატარეთ, გამატარეთ. ერთ ადგილზე ორი ბილეთი გაუყიდიათ!“ ჩასასვლელთან ტყავისქურთუკიანი მაღალ-მაღალი მძღოლი დგას და კევს იცოხნება. „მალე წავალთ?!“ – ეკითხება „დვოინიკი“, ჩემ ადგილზე სხვა ჯდანა, კაცო! გავარკვევ ერთი!“ „მიდი, მიდი, მალე... ახლა ამას უცადე!..“ „რა ვქნა, ავიდე?“ – მოთმინებადაკარგული ეკითხება მძღოლს იქვე მდგომი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ორიოდე წლის ბუთხუზა ბიჭი აუტატეია. მეორე ხელით კი ჩანთა უჭირავს. „მაცალე, მაცალე... შეივსოს და დაგაჯენ მერე წინ... წამოდი, ეს ჩანთა საბარგულში ჩავდოთ“.



ავტობუსში შუახნის ზორბა კაცი შემოდის. მძღოლის კაბინის სიახლოვეს ორი ახალგაზრდა ბიჭი დგას, მგზავრებს ათვალიერებენ, ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან. „გადიხარ, ბიძის?“ – ეკითხებიან ზორბას. ისიც ცდილობს, ამ ბიჭებში გაეტიოს, მაგრამ უჭირს. „აბა, გამოდი, გამოდი!“ – ვითომ ეხმარებიან ბიჭები, თან ერთ-ერთი ჯიბეში ოსტატურად უცურებს ხელს. კაცი გზას მიიკვლევს თავისი ადგილისკენ და ერთ-ერთი ქალის გვერდით ძლივს-ღა ჯდება. ამ მომენტისთვის ავტობუსი გასუსულია. ქალი და კიდევ რამდენიმე მგზავრი მეზობელს თანაგრძნობით შეჰყურებენ. ბიჭები სალონის ბოლოში ვიღაცას გასძახიან (ეტყობა, მეგობარს): „ჩამოდი, წავედით, წავედით!“ და ჩადიან. „გაასუფთავეს“ ავტობუსი ამ ნაბიჭვრებმა!“ – ჩაილაპარაკა ვიღაცამ. „აბა, კაცო, აბა! ნახე, რა „ნაგლად“ მუშაობდნენ?“ ფანჯარასთან მჯდომი ქალი ზორბასკენ გადმოიხრება და უჩურჩულებს: „თქვენ წელან ფული ამოგაცალეს... აბა, ნახეთ ჯიბეში“. ზორბა შარვლის ჯიბეებს ჩხრეკს. „მართლა წაულიათ მაგ შობელძაღლებს“, – ამბობს გაფითრებული. „შემოსასვლელში რომ გამჭედეს, ალბათ, მაშინ ამომიღეს“... „ბევრი იყო?“ – ცნობისმოყვარე თვალებით შესცქერიან აქეთ-იქიდან. „იყო რა... ღორის ხორცი ჩამოვიტანე გასაყიდად... ავადმყოფი ბავშვი გვყავს სახლში“. ზორბა აგრძნობინებს, თავი დამანებეთო, საზურგეს მიეყრდნობა და თვალებს ხუჭავს, თავის ფიქრებში მიდის. გასუსული ავტობუსი უკვე გულმოცემული აყაყანდება: „აბა, უყურე, კაცო!.. ეს მძღოლი მაინც რას აკეთებს, რატო უშვებს ამ ოხრებს ავტობუსში!“ „მძღოლმა რა იცის!“ „ვინ არ იცის, შეკრულები არიან მაგათთან!“ უკანა რიგებში ქალი აკივლდება: „უიმე, ჩემი ხელჩანთა გაუხსნიათ!.. არ გაუთენდეთ ახალი წელი!“ მძღოლი უკვე ამოსულა, ახალგაზრდა ქალს ბავშვს ართმევს და იქვე, წინა ადგილზე დაჯდომაში შველის. „რა იყო, რა ხდება?“ – კითხულობს და თან ავტობუსს ქოქავს: – „ყველანი ვართ?! წავედით!“ ამასობაში „დვოინიკიც“ ამორბის – „გამოცვალეს ბილეთი, კიდე აქეთ დამდეს ბრალი“, – აქოშინებული ეუბნება მძღოლს. „ვერ შემოიხედე, ბიჭო, სალონში? გაძარცვეს ქურდებმა აქაურობა“, – საყვედურობენ მძღოლს. „ყურადღებით უნდა ვიყოთ, ყურადღებით, ხომ ხედავთ, რა დრო დადგა, მე რა, პოლიცია ვარ?!“ – მძღოლი კევის ღეჭვას განაგრძობს. სალონში გულმოსული გადალაპარაკება-გადმოლაპარაკება გრძელდება. „გაყაჩაღდა ქვეყანა...“ „კი არ გაყაჩაღდა, გააყაჩაღეს! ამდენ უმუშევარს ჭამა ხომ უნდა... თვითონ კაი დროს ატარებენ!“ „საკაშვილი გვეგონა ქვეყნის დამაქცევარი და ესენი, მგონი, უარესს აკეთებენ!..“ „რეები გამოავლინა ამ პატარა ბიჭმა, ელისაშვილია თუ ვიღაცა!... საერთოდ, რაზე ვლაპარაკობთ, ვინ ვართ ჩვენ, სამ ქურდბაცაცას ვერ გავეციით ხმა!“

ავტობუსი ბენზინგასამართ სადგურთან ჩერდება.

„ორმოცი ჩაასხით!“ – ეძახის მძღოლი სადგურის შენობად. „სპეცოვკიანი“ ყმაწვილი წამში ავტობუსთან ჩნდება.

„რა იყო, ბიჭო, თბილისში ვერ ჩაასხი? გვაგვიანდება ჩვენ!“ – ამბობს ვიღაცა.

„ნუ მასწავლი, სად ჩავასხა და რა გავაკეთო!“ – არ იბნევა მძღოლი, „სპეცოვკიანს“ ფანჯრიდან ფულს აწვდის და ავტობუსი ნელ-ნელა გამოჰყავს ბენზინგასამართი სადგურიდან. „ჩააქრეთ სიგარეტი, რა ხდება, რა ამბავია!“ უკანა რიგში მოკალათებული ბიჭების გასაგონად ამბობს ერთ-ერთი ქალბატონი. იქ ბიჭებს მცირე პურ-მარილი გაუშლიათ, პლასტმასის ჭიქებში არაყს ისხამენ, საქართველოს ადღეგრძელებენ, მისი ერთიანობისთვის დაღუპულ ვაჟკაცებს იხსენებენ და სასმელს პურს, მწნილს და ყველს აყოლებენ, სიგარეტსაც ისინი აფუილებენ. ერთ-ერთი ბიჭი დგება და ქალთან მიდის. „რა იყო, დეიდა, რა დაგიშავეთ?“ „ვერ ატყობთ, რომ ხალხი შეაწუხეთ?“ – არ ეპუება ქალი. – „აბა, ერთი, ვნახავ, ვის ვაწუხებთ“, – ბიჭს უკვე გვარიანად მოჰკიდებია არაყი. „თქვენ გაწუხებთ, უფროსო?“ – ეკითხება იქვე მჯდომ ბაკენბარდებიან კაცს. „მე რას მაწუხებთ, რაც გინდათ, ის ქენით“. „თქვენ გაწუხებთ, ბიძაჩემო?“ – ახლა მეორე კაცს მიადგა ბიჭი, რომელიც თვალმილულული ზის, ვითომ სძინავს და არაფერი ესმის. თვალებს ახელს: „რა იყო?“„აქ ჩვენ, თურმე, ხალხს ვაწუხებთ, მართალია?“ „მე მეძინა, რა ვიცი“. „ძალიან კაი“, – და სასმელმოკიდებული ბიჭი ახლა იმ „ბუნტარ“ ქალთან მიდის, – „გეიგე, დეიდა?.. არავინ არ წუხდება... და შენ ჭკვიანად იყავი!“ „ვინ იყოს, შე უზრდელო, ჭკვიანად!.. მე ვიყო ჭკვიანად? ამ მობილურს ხო ხედავ?! ამ წუთში დავურეკავ საპატრულო პოლიციას, აქვე იქნებიან სადმე ტრასაზე და ჩაგყრიან შენ და შენს მეგობრებს ძირს!.. სხვათა შორის, ეს თქვენი პაპიროსის კვამლის სუნი რაღაც სხვა სუნს მაგონებს, მე ექიმი ვარ და არ მეშლება!“ ბიჭი ფითრდება, ვეღარაფერს პასუხობს და თანამეინახეებთან ბანცალ-ბანცალით მიდის. ისინიც – „კაი, ბიჭო, შარზე ხარ?“ – ეუბნებიან.

ბნელა. ელექტრონის შუქი დროდადრო სადღაც შორიდან თუ გამოჭიატდება. ავტობუსის მგზავრებს, ზოგს ჩასძინებია, ზოგი – თვლემს... მძღოლი ტრასას აკვირდება... ახალგაზრდა ქალს არ სძინავს, თავისი ბიჭუნა მკერდზე მიუკრავს და კულულებზე ეფერება. ბიჭს მინიატურული ხუთჯვრიანი დროშის ტარი პაწია თითებით ჩაუბღუჯავს და დედის მკერდზე განაბულა. ავტობუსი უკვე ზესტაფონში შედის, რაღა დარჩა ქუთაისამდე!.. ღმერთო, მშვიდობით ჩაიყვანე ყველა, ღმერთო, მშვიდობა დაახვედრე ყველას იქ, სადაც მიეჩქარებათ! როდემდე ვიმეოროთ ვაჟას ვედრება: „ღმერთო, შეაყვარე ქართველს ქართველი!“ ღმერთო, დაიფარე ქართლოსიანთა მოდგმა!..

ვილენ მარდალეიშვილი

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– როდესაც მიმიღეს სამუშაოდ, ჩვენ შევთანხმდით გარკვეულ პირობებზე. ეს პირობები ჩავდეთ შესაბამის ხელშეკრულებაში. შრომით კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა ჩემი პირობები შეცვალა, რაც მე არ მაწყობდა. ჰქონდა თუ არა ჩემს დამსაქმებელს, ჩემი თანხმობის გარეშე ამ პირობების შეცვლის უფლება?

–ჰქონდა.

საქართველოს შრომითი კოდექსის მე–11 მუხლის მე–2 ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას.

აქვე მოგახსენებთ შემდეგს:

ამავე კოდექსის მე–4 ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად არ მიიჩნევა:

ა) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არა უმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს;

ბ) სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით;

ამ ორივე გარემოების ერთდროულად შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად.

* * *

– ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. ქმრის ოჯახმა ბავშვი წაართვა და ნახვის საშუალებას არ აძლევს. როგორ მოვიქცეთ?

– მიმართეთ სასამართლოს და სარჩელით მოითხოვეთ, რომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს თქვენი საცხოვრებელი მისამართი. სანამ ეს მოხდება, თქვენ შეგიძლიათ, ასევე, მიმართოთ განცხადებით სასამართლოს, განგისაზღვროთ ბავშვის ნახვის დღეები და საათები.

* * *

– განვქორწინდი მეუღლესთან სასამართლო წესით, მაგრამ განქორწინება არ დაგვირეგისტრირებია. ვითვლებით თუ არა განქორწინებულად?

– არა.

ქორწინება შეწყვეტილად ითვლება განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

გახსოვდეთ: განქორწინების დარეგისტრირება შესაძლებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს სამი წლის განმავლობაში, რომელიმე მეუღლის ინიციატივით. თუ ეს სამი წელი ისე გავიდა, რომ არცერთმა მეუღლემ გადაწყვეტილება რეგისტრაციაში არ გაატარა, ისინი კვლავ დაქორწინებულებად ჩაითვლებიან.

* * *

– უარს ვამბობ სამკვიდროდან ჩემი წილის მიღების შესახებ ძმის სასარგებლოდ. რა ფორმით, რა ვადაში უნდა გავაკეთო ეს?

– თქვენ უფლება გაქვთ, უარი თქვათ სამკვიდროს მიღებაზე როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. უარის თქმისთვის, კანონმდებლობით დადგენილია სამთვიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როცა თქვენ შეიტყვეთ ან უნდა შეგეტყოთ, რომ მიწვეული ხართ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად შეუდექით სამკვიდროს ფლობას – ამ დროს, ეს ვადა შეადგენს 6 თვეს.

* * *

– ჩემი ახლობელი სასამართლო წესით გარდაცვლილად გამოცხადდა. მისი მეუღლე გათხოვდა. რამდენიმე წლის წინ ქმარი დაბრუნდა. რა ბედი ელის ქალის ქორწინებას?

– თუკი განქორწინების შემდეგ, სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე გამოჩნდება,მაშინ გაუქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო–უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ. ქორწინება შეიძლება აღდგეს მეუღლეთა ერთობლივი განცხადების შეტანით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, ხოლო თუ ისინი სასამართლოს გზით იყვნენ განქორწინებულნი – სასამართლოში. ქორწინების აღდგენა დაუშვებელია.

გოგოლის ცხოვრების უცნობი დეტალები და თავის ქალის მისტიური ისტორია

„იდუმალი, ეგოისტური, ამპარტავანი არსება, რომელიც მუდმივად უნდობლობითაა გამსჭვალული, მიდრეკილია მისტიფიკაციისკენ და ტყუილისაკენ და ყველანაირ მსხვერპლს გაიღებს დიდებისათვის“, – ასე ახასიათებდნენ დიდ რუს მწერალს ნიკოლაი გოგოლს მეგობრები... გოგოლი, რომელიც მხოლოდ თავისი ნაწარმოებებისათვის სუნთქავდა და ცხოვრობდა, არც ფული აინტერესებდა და არც სახლი. მისი მთელი ქონება ერთ პატარა ჩემოდანში ეტეოდა და ოთხი თეთრეულისაგან შედგებოდა. იგი იძულებული იყო ზუსტად ამ ადამიანებისათვის ეთხოვნა დახმარება, მათ შორის ფულადიც, რომლებიც მას ასე ახასიათებდნენ, მისივე თანდასწრებით. უცნობია, როგორ და რატომ ითმენდა გოგოლი ასეთ შეფასებებს, მაგრამ ის მუდმივად ცდილობდა მათი ნდობის დაბრუნებას. მისი ცხოვრების მთავარი მიზანი იყო „მკვდარი სულების“ მეორე ნაწილის დასრულება, თვლიდა, რომ ეს ნაწარმოები ჩაიტევდა მისი სულის სიმდიდრეს, ამ ნაწარმოებით გამოჩნდებოდა ის სიყვარული, რაც მას სამშობლოსთან აკავშირებდა.

– ჩემი ყველაზე დიდებული ნაშრომი, ჩემი მხსნელი, - ასე მოიხსენიებდა „მკვდარი სულების“ მეორე ტომს, ამიტომ, კიდევ უფრო გაუგებარია, რატომ დაწვა ნაწარმოები სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე.

სახლი, რომლის პირველ სართულზეც გოგოლი ორ ოთახს ქირაობდა და სიცოცხლის ბოლო ოთხი წელი გაატარა, დღემდე უცვლელადაა შემონახული, რესტავრირებული და შეცვლილია მხოლოდ ბუხარი, რომელშიც მწერალმა „მკვდარი სულების“ მეორე ტომი დაწვა.

სახლის მეპატრონე გრაფი გახლდათ. გოგოლმა 30-იან წლებში გაიცნო და მათი ურთიერთობა ახლო მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა. გრაფი და მისი მეუღლე ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მწერალს თავისუფლად და მოხერხებულად ეცხოვრა. აქ გოგოლს ბავშვივით უიკვლიდნენ, საუზმე, სადილი, ვახშამი, ჩაი, ყველაფერ ამას მაშინ მიართმევდნენ, როცა მოისურვებდა. მწერალს არაფერზე უწევდა ზრუნვა. გარდა იმ მომსამსახურეებისა, რომლებიც გრაფის დავალებით ემსახურებოდნენ, მას ჰყავდა ახალგაზრდა მსახური ბიჭი - სემიონი, რომელიც ყოველთვის მისი ერთგული იყო. გოგოლის სიმშვიდეს არავინ არღვევდა, იგი ან იჯდა და წერდა, ან ოთახში ბოლთას სცემდა.

1852 წლის 26 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა გოგოლის ახლო მეგობრის მეუღლე ეკატერინე, რომელიც გოგოლს ძალიან უყვარდა და თვლიდა, რომ მასზე ღირსეული ქალი ცხოვრებაში არ შეხვედრია. „მე სიკვდილის შიშმა მიპოვნა“, – წერს მწერალი და მართლაც ზუსტად ამ წუთიდან, ყველა დღე მას სიკვდილთან აახლოებდა.

30 იანვარს, პანაშვიდის შემდეგ, მან მეგობრებს უთხრა, რომ დამშვიდდა, მაგრამ 1 თებერვალიდან ისევ ცუდად გახდა, 4 თებერვალს კი მისი სხეული უძლურებამ და დაღლილობამ მოიცვა. 5 თებერვალს გოგოლი ამტკიცებდა, რომ მას ძალიან აწუხებს მუცლის ტკივილი, რომელსაც იგი იმ ძლიერ წამლებს აბრალებდა, რომლებიც ექიმებმა გამოუწერეს.

8-9 თებერვალს ის მდღვდლის გარემოცვაში ატარებს.

11 თებერვალს უკვე ისეთი გამოფიტულია, რომ ვერ დადის და ფეხზე დგომაც კი უჭირს. ღამის სამ საათზე ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ სემიონს იძახებს, და უბრძანებს – მოუტანოს ჩანთა, რომელიდანაც იღებს ხელნაწერს და ბუხარში წვავს. მოსამახურე ემუდარებოდა, არ დაეწვა ნაშრომი, მაგრამ გოგოლმა მას გაჩუმება და ლოცვა უბრძანა. მას შემდეგ რაც ხელნაწერი ბოლომდე ჩაიფერფლა, გოგოლი დაწვა და დილამდე ტიროდა.



ნიკოლაი გოგოლი 21 თებერვლას გარდაიცვალა.

1931 წლის 31 მაისს გოგოლის საფლავთან 20-30 ადამიანი იყო შეკრებილი, მათ შორის იყვნენ: ისტორიკოსი ბარანოვსკაია, მწერლები ლუგოვსკი, სვეტლოვა, ლიდინი და სხვები. ზუსტად ლიდინია ავტორი იმ მისტიკური ისტორიებისა, რომლებიც მოსკოვში ელვისებურად გავრცელდა: კუბოს პოვნა გაჭირდა, რადგან, რატომღაც იქ კი არ ვიპოვნეთ, სადაც უნდა ყოფილიყო, არამედ მოშორებით, – ყვებოდა ის, – როცა კუბო გახსნეს, თავი ქალა ამოტრიალებული დაგვხვდა.

ლიდინის მონათხრობმა ყველას გაახსენა ხმები იმის შესახებ, როგორ ეშინოდა გოგოლს ცოცხლად დამარხვის ლეთარგიული ძილის დროს. მან სიკვდილამდე შვილი წლით ადრე დაიბარა და სთხოვა: სანამ მის სხეულს ხრწნის ნიშნები არ დაეწყებოდა, არ დაემარხათ, რადგან, როგორც ამბობდა, რამდენჯერმე უკვე ჰქონდა შემთხვევა, როცა გულის ცემა გაუჩერდა და პულსიც არ ესინჯებოდა, მაგრამ მალევე გამოიღვიძა. მისი თანამედროვენი ყვებოდნენ, რომ აგონიისას და გარდაცვალების დღესაც, იგი ხშირად იმეორებდა ფრაზას: ოღონდ, არ დამმარხოთ... იმის გათვალისწინებით, თუ რა ნახეს მისი კუბოს გახსნისას, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მისი ანდერძი არ იქნა ასრულებული და თუ ის ამ დროს ლეთარგიული ძილის მდგომარეობში იმყოფებოდა, ადვილი წარმოსადგენია, როგორი კოშმარული იქნებოდა მისი ნამდვილი გარდაცვალების წუთები.

უცნაურია, მაგრამ ექიმები დღემდე ცდილობენ გარდაცვლილ გოგოლს დიაგნოზი დაუსვან. მუდმივად ვიღაც იკვლევს მისი ექიმების ჩანაწერებს, იმედით, რომ რამეს აღმოაჩენს. არსებობს რამდენიმე ვერსია იმის შესახებ, მაინც რით გარდაიცვალა 42 წლის მწერალი.

პირველი ვერსია: მძიმე სულიერი მდგომარეობა. ზოგი იმასაც მიიჩნევდა, რომ გოგოლი გაგიჟდა, რადგან მას თავის დროზე არ დაუდგინდა დეპრესიის დიაგნოზი და სწორად არ მიმდინარეობდა მისი მკურნალობა. მაგრამ ადამიანები, რომლებიც მასთან იყვნენ სიცოცხლის ბოლო დღეებში, ამბობდნენ, რომ გოგოლი, მართალია, ზოგჯერ სრულ აგონიაში იყო, მაგრამ როცა ფხიზლდებოდა, საღ გონებაზე იმყოფებოდა. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, ის თითქოს გამოკეთდა მცირე ხნით, ესაუბრა მეგობარს და მის ერთ-ერთ ლექსში შესწორებაც კი შეიტანა.

მეორე ვერსია, რომელიც იმას გულისხმობს, რომ გოგოლი შიმშილით გარდაიცვალა, ასევე არ დასტურდება - ჯერ ერთი, ადამიანს შეუძლია საკვების გარეშე 30-40 დღე გასძლოს, გოგოლი კი 17 დღეში გარდაიცვალა, გარდა ამისა, ის ზოგჯერ მაინც იღებდა მცირედ საკვებს, ხან საკუთარი სურვილით, ხანაც – იძულებით...

1852 წელს მოსკოვში მუცლის ტიფი მძვინვარებდა, სწორედ ამიტომაც გოგოლის ექიმმა თავდაპირელად ივარაუდა, რომ მწერალს ტიფი ჰქონდა შეყრილი, მაგრამ მდგომარეობის გართულების შემდეგ რამდენიმე ექიმისგან შემდგარმა კონსილიუმმა დაასკვნა, რომ მწერალი მენინგიტს ებრძოდა და არა ტიფს.

1902 წელს დოქტორმა ბაჟენოვმა გამოსცა შრომა: „გოგოლის ავადმყოფობა და გარდაცვალება“. იკვლევდა რა ექიმების ჩანაწერებს და თვითმხილველების მონათხრობებს, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გოგოლის ზუსტად იმ მკურნალობისგან გარდაიცვალა, რომელიც მას მენინგიტისაგან გამოსაჯანსაღებლად დაუნიშნეს, რადგან მას არ ჰქონდა მენინგიტი, მაგრამ, მაშ, რით გარდაიცვალა მწერალი?

16 თებერვალს, როცა ექიმმა გოგოლი პირველად გასინჯა, ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „პულსი შესუსტებულია, ენა სუფთა, მაგრამ მშრალი, კანი ბუნებრივი ტემპერატურის, არ აქვს მაღალი ტემპერატურა, ცხვირიდან აღენიშნება სისხლდენა. პაციენტმა დაიჩივლა, რომ ხელისგულები ეყინება. მისი შარდი ბლანტია და მუქი ფერის“. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ექიმს არ გაუვლია კონსულტაცია ექიმ-ტოქსიკოლოგთან, რადგან ყველა ეს ნიშანი მოწამვლას ახასიათებს. შესაძლოა, მას შეხება ჰქონდა რამე ქიმიურ ელემენტთან, ან თხევად ლითონთან, ქრონიკული მოწამვლისას შარდის ფერი მუქი ხდება, ხოლო სისხლდენები აღინიშნება, როგორც შინაგანად, ისე, ზოგ შემთხვევაში, ცხვირიდანაც. როგორც ყვებოდნენ, გოგოლი ხშირად ითხოვდა წყალს, რაც ქრონიკული მოწამვლის კიდევ ერთი ნიშანია.

სავარაუდოდ, მისი მდგომარეობის გართულებაში დიდი როლი შეასრულა პრეპარატმა კალომელმა. ზუსტად ეს იყო ის „ძალიან ძლიერი წამალი“, რომელმაც, როგორც თავად მწერალი ამბობდა, მუცლის ძლიერი ტკივილი გამოიწვია და იგი მან პირველად 5 თებერვალს მიიღო ექიმისგან, რომელიც მალე თავადვე გახდა ავად და ვეღარ განაგრძო მისი მკურნალობა. ახალმა ექიმმა, არ იცოდა რა, რომელი წამალი ჰქონდა მას მიღებული, შესაძლებელია, ისევ დაუნიშნა მას კალომელი. მესამედ იგივე წამალს გოგოლი უკვე მესამე ექიმის დანიშნულებით იღებს.

არსებობს კიდევ ერთი ისტორია: საუბრობენ იმაზეც, რომ გოგოლის თავის ქალა გაქრა. ვის და რაში სჭირდებოდა მისი თავის ქალა, უცნობია. ამბობდნენ, რომ ის სექტანტებმა მოიპარეს, რადგან სჯეროდათ, რომ მისი თავის ქალის გამოყენებით მისტიკური ძალების გამოხმობა იყო შესაძლებელი. არსებობს ვერსია, რომ მეცენატმა, კოლექციონერმა და თეატრალური მუზეუმის დამაარსებელმა ბახრუშინმა მოისყიდა მღვდელი, რომ მას მისთვის თავის ქალა მოეტანა. (როგორც ცნობილია, გოგოლი გადაასვენეს და ვარაუდობენ, რომ ეს გადასვენებისას მოხდა). მოსკოვის ბახრუშინის სახელობის თეატრალურ მუზეუმში ინახება სამი უცნობი თავის ქალა, თვლიან, რომ მათგან ერთი თავის ქალა ცნობილ ხელოვანს შეჰკინს ეკუთვნის, ერთიც – გოგოლს, აი, მესამე ვისია – არავინ იცის.

ისტორიები გოგოლის მოპარული თავის ქალის შესახებ, მოგვიანებით გამოიყენა მიხეილ ბულგაკოვმა თავის უკვდავ რომანში „ოსტატი და მარგარიტა“.

მოამზადა
თამუნა კეშელავამ
555 46 08 04

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com